საინფორმაციო-განყოფილების
კომპლექტი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეხუთე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტის და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცენტრ. აღმასკომის ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი 24 მეორე სართული, ტელეფონი 10—49.

რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 ს.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76 (მდივანის 10—58

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახ. 75 კ., დანარჩენებისათვის: ქალაქში 1 მ. ქალაქს გარეშე—1 მ. 20 კ., ხელისმომწერნი მიიღებენ „ჩირაღდანს“ და „მეცნიერება და ტეხნიკას“. განცხადებები: ნომპარელის სტრიქონი—20 კ., აწყობა ციფრებით—25 კ. სამგლოვიარო—5 მან. დოკუმენტების დაკარგვა 50 კ. განცხად. მიიღება 3 ს.
ექსპედიციის ტელეფ. 5—43, სტამბის ტელეფონი 13—80.

დღევანდელი ნომერი შეიცავს 6 გვერდს

კვირა, 1 მარტი 1925 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კ. № 49 (1204)

დღიური

— პარიზს გაემგზავრა საბჭოთა დელეგაცია საფრანგეთის მთავრობასთან მოსალაპარაკებლად.

— გარდაიცვალა გერმანიის პრეზიდენტი ებერტი.

— ორ მარტს ლიონის (საფრანგეთში) ბაზრობაზე გაიხსნება საბჭოთა პავილიონი.

— ინგლისის თემთა პალატაში დამოუკიდებელი მუშათა პარტიის წარმომადგენლებმა შეიარაღების წინაალდეგ გაილაშქრეს.

გაუმარჯოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირს,—ურყევ საფუძველს ერთა მშვიდობიანობისას

სალამი დიდ მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს კანონმდებლებს

ახალგაზრდა ჭაღარა მოსილ თბილისს, მთელ საქართველოს, მთელს ამიერ-კავკასიას საუკუნეთა განმავლობაში უხილავს მრავალი სტუმარი მოპატიჟებული და დაუპატიჟებელი. რომის ლეგიონები, ბიზანტიის სატრაპები, მონღოლები და არაბები, სპარსელი დამპყრობელები და ოსმალოს მხედრობა დიდ ტალღასავით გაგორებულან ამიერ-კავკასიის კორიდორზე. ისინი იპყრობდენ, ანადგურებდენ, ფეხქვეშ სთელავდენ და ხარკს ადებდენ.

120 წლის წინათ მეფის ორთავიანმა არწივმა, უზრუნველყო რა ჩვენი საზღვრები სხვა მტაცებლებისაგან, თვითონ განუყოფლად გაბატონდა ამიერ-კავკასიის ერებზე, ორნაირი პრესით სთელავდა „ინოროდცებს“, სანამ ის არ დაიმხო და მას ყელი არ გამოსჭრა რუსეთის პროლეტარიატმა, ოქტომბრის რევოლუციამ, რომელმაც გამოაცხადა მშრომელთა კლასობრივი განთავისუფლება და მეფის რეჟიმისაგან დაჩაგრულ ერების ნაციონალური თავისუფლება.

ქართველი მენშევიკები, სომეხი დაშნაკები, აზერბაიჯანელი მუსავატელები ალუდგნენ პროლეტარულ რევოლუციას და მოისურვეს იმპერიალიზმის რეჟიმი, რომლის ყაჩაღური ბუნება შეამსუბუქეს ფარისევლური დემოკრატიის ნიღაბით და რევოლიუციონური იდეის გამხრწნელის — მეორე ინტერნაციონალის ლაყბობით.

მუშათა და გლეხთა ხელისუფლების ძლევამოსილი ჯარის მოახლოვებამ კავკასიის ქედთან გააძევა ამიერ-კავკასიიდან იმპერიალიზმის შეიარაღებული ძალები, მაგრამ იმპერიალიზმის აგენტურა — მენშევიზმი და დაშნაკიზმი, რომლებიც გარშემორტყმული იყვენ პუანკარე-კერზონის მთავრობების „ანგელოზებით“, დარჩენ იმისათვის, რომ შეუწყვეტელი ინტრიგები და ბრძოლა ეწარმოებიათ საბჭოთა ფედერაციის მუშების და გლეხების წინააღმდეგ. საბჭოთა გადატრიალების ქარტეხილმა ჯერ აზერბაიჯანში, შემდეგ სომხეთში, ბოლოს კი საქართველოში მოსპო ამიერ-კავკასიაში იმპერიალიზმის შხამიანი ნაშთები.

ახლა ამიერ-კავკასიაში ჩრდილოეთიდან და აღმოსავლეთიდან მოდიან სხვადასხვა ერების და რასების რამოდენიმე ასეული წარმომადგენლები — მუშათა და გლეხთა იმ დიდი სახელმწიფოს კანონმდებლები, რომელიც აგებული იქნა მეფის მთავრობის ციხეების ნანგრევებზე და განმტკიცებული პროლეტარიატის და გლეხობის კავშირით, ერთნაირათ თავისუფალ და თანასწორ ერების კავშირით.

ეს — ახალი ისტორიული ეპოქის დასაწყისია ამიერ-კავკასიის ერების ცხოვრებაში.

წარსულს ჩაბარდა ძალადობა, დამონავება, ჩაგვრა!

ჩვენს წინაშე გადაშლილია შრომაში ჩაბმულ ძმების ერთიანობის სურათი.

წინ კი — თვალწარმტაცი პერსპექტივები საბჭოთა ქვეყნების დიდი კავშირის ყველა მოსახლეების წინსვლისა, პერსპექტივები იმისა, რომ წინ წავა და განვითარდება თვითეული პატარა ქვეყანა, რომელიც აქამდი დაჩაგრებული იყო და რომელმაც თავისი ბედი დაუკავშირა შრომით მოპოვებულ ციხესიმაგრეს, რომელსაც საბჭოთა კავშირი ეწოდება.

გაუმარჯოს განთავისუფლებული ერების ამ ციხე-სიმაგრეს!

გაუმარჯოს მის მშენებლებს — ყველა ერების მშრომელებს!

გაუმარჯოს მშრომელთა რწმუნებულებს — საბჭოთა კავშირის ცაკის წევრებს!

მ. ორახელაშვილი.

სალამი!

არა შერეული სისხლის ბრწყინვალე გვირგვინოსანთ, მათ პროკონსულებს და რუსეთის წარჩინებული წრეების ბობოლა მოხელეთ, რომელნიც მოხერხებით გვთიშავდენ ჩვენ და ბატონობდენ ჩვენზე, არა მათ, ვინც ხელოვნურათ აწყობდა ხალხთა ხოცვა-ჟლეტას, რომ დაღუპულთა სისხლსა და ძვლებზე განემტკიცებია თავისი პოლიტიკური ძლიერება, არა დამპყრობ გენერლებს და ეკლესიის თავადებს, რომელნიც ავრცელებდენ მართლმადიდებლობის საწამლავს სხვა სარწმუნოების ხალხთა შორის, არა კაპიტალის მაგნატებს, რომელნიც მოეშურებოდენ ჩვენსკენ ხელის მოსათბობათ და ჯიბის გასასქელებლათ, არა მათ, ვინც ბატონი იყო გუშინ და ზიზღით შეჰყურებდა მცირე ეროვნებათ, როგორც დაბალ რასას, — ვეგებებით ჩვენ ხვალ.

ბეგები და თავადები, ბურჟუები, შეიხები და საქრისტიანო ეკლესიის ბატონები კი არ ეგებებიან ხვალ თავის სტუმრებს.

მონები კი არ ეგებებიან თავის ბატონებს.

არამედ ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა რესპუბლიკების, და კერძოდ საქართველოს, თავისუფალი და დამოუკიდებელი ხალხნი, რომელთაც, ძველი რუსეთის კოლონიალური რეჟიმის დამამხობელი მუშების დახმარებით, თავიდან მოიშორეს თავიანთი პარაზიტების მძიმე უღელი, — ეგებებიან რუსეთის სოც.-ფედ. საბჭ. რესპუბლიკის, უკრაინის, ბელორუსიის, უზბეკისტანის და თურქმენისტანის მუშათა და გლეხთა საუკეთესო წარმომადგენლებს.

თავისუფალი და თანასწორი პლებეები ეგებებიან თავისუფალ და თანასწორ პლებეებს.

ნაციონალისტური ბურანისაგან განთავისუფლებული ხალხნი, რომელთაც თავიანთი ბედ-იღბალი სიხარულსა და მწუხარებაში ერთმანეთს შეუერთეს და შექმნეს მტკიცე კავშირი გარეშე მტრებთან საბრძოლველათ და ბრწყინვალე ახალი ცხოვრების დასამყარებლათ — ეგებებიან თავიანთ ძმების — მოკავშირე რესპუბლიკების მშრომელთა წარმომადგენლებს.

უზენაესი ორგანო საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა, რომელიც მთელს მსოფლიოში თავისუფალ ხალხთა ერთად ერთი თავისუფალი კავშირია, — ეს უზენაესი ორგანო — ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ესტუმრება ხვალ თბილისს, რომ ჩვენთან ერთად, როგორც თანასწორ მოძმეებთან — თანასწორი უფლებითა და მოვალეობით, განახორციელოს კავშირის მშრომელთა ნება-სურვილი, გადასწყვიტოს მუშათა და გლეხთა, დიდი კავშირის მრავალრიცხოვან ხალხთა ბედიღბალის საკითხები.

მშრომელთა საქართველოს თვალი — თბილისის მუშები და ჩვენი ინტერნაციონალური არმია მიესალმებიან თავის ძვირფას ამხანაგებს, რათა დასდონ ფიცი ჩვენი კავშირის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს წინაშე, რომ მზად არიან დაიცვან საბჭოთა ხელისუფლება — ერთად-ერთი საფუძველი მშრომელთა განვითარებისა, დაიცვან ამიერ-კავკასიაში მუშათა და გლეხთა ხელისუფლების წყალობით დამყარებული ეროვნული მშვიდობიანობა და კი არ დაარღვიონ, არამედ განამტკიცონ ჩვენი უდიდესი მონაპოვარი — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მესამე სესია თავისი მუშაობით უჩვენებს მთელ ქვეყანას, რომ საბჭოთა ხელისუფლებას აქვს უნარი დაამყაროს ახალი ცხოვრება და შეუძლიან გააძლიეროს და მტკიცე ნიადაგზე დააყენოს ფართო მასსებისათვის საჭირო მატერიალური სიმდიდრის წარმოება.

სესიის მუშაობა ჩვენი თვალის წინ ჩატარდება და მთელი ქვეყანა და მასთან ერთად საქართველოს მუშები და გლეხები კიდევ ერთხელ დარწმუნდებიან, თუ რა სიყალბეს წარმოადგენს ნ. ჟორდანიას ლაყბობა, რომელიც ფიქრობს, რომ შედეგად „აუცილებელი“ ეროვნული შეხლა-შემოხლისა ჩვენ „აუცილებლად“ განადგურება მოგველის.

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისმ ესამე სესია ერთხელ კიდევ ნათელჰყოფს განთავისუფლებულ ერთა ინტერესების მთლიანობას და მათ ურყევ გადაწყვეტილებას, რომ მზად არიან სრულ გამარჯვებამდე იბრძოლონ და იშრომონ აღმშენებლობის ყველა სფეროში, რათა არ დაირღვეს და საბოლოოდ განმტკიცდეს ჩვენი დიდი კავშირი.

მხურვალე მუშურ-გლეხური სალამი დიდი კავშირის მუშათა და გლეხთა რესპუბლიკების უზენაეს ორგანოს.

შ. ელიავა.

ყველა ქუჩაზე!

ქ. თბილისის მუშებს, მუშა-ქალებს, ყველა მშრომელებს.

ძვირფასო ამხანაგებო!

თბილისის პროლეტარიატს წილათ ხვდა უდიდესი ბედნიერება 2 მარტს თბილისში მიიღოს ძვირფასი სტუმრები.

2 მარტს წითელი საქართველოს და მთელი ამიერ-კავკასიის დედა-ქალაქში — თბილისში მოხდება საბჭოთა კავშირის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის მე-3 სესიის საზეიმო გახსნა.

მთელი საბჭოთა კავშირის ცენტრალური ხელისუფლება პირველათ წარსდგება თქვენს წინაშე იმისათვის, რომ თქვენს წრეში და თქვენთან ერთად ჯამი გაუკეთოს შესრულებულ მუშაობას და შეიმუშაოს ახალი ღონისძიებები საბჭოთა ქვეყნების კულტურული აღორძინებისა და სამეურნეო განვითარებისათვის.

ამიერ-კავკასიის მუშებს და გლეხებს პირველათ აქვთ საშუალება დაიკმაყოფილონ თავისი კანონიერი სურვილი — მიესალმონ აქ, ამიერ-კავკასიაში, საბჭოთა კავშირის უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენლებს, საკავშირო მთლიანობის მატარებლებს.

ოქტომბრის დიდმა რევოლიუციამ საბოლოოთ მოსპო მეფის და კაპიტალისტების ძალა-უფლება და გაანთავისუფლა შორეული განაპირა ქვეყნების დაჩაგრული ერები საუკუნოებრივი ნაციონალური ჩაგვრისაგან.

მუშათა და გლეხთა ხელისუფლებამ გასწმინდა გზა ერების ძმური თანამშრომლობისათვის და გააერთიანა ისინი საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების ნებაყოფლობით კავშირში.

მხოლოდ ჩვენი ძმური კავშირი, ჩვენი მუშურ-გლეხური სახელმწიფო აძლევს საშუალებას კავშირის ტერიტორიაზე დასახლებულ მრავალრიცხოვან ერებს სრულათ და ყოველმხრივ განავითარონ თავისი ცხოვრება, ამასთანავე მშრომელთა რესპუბლიკა მუდმივ დახმარებას და მზრუნველობას უწევს მათ.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ უზრუნველყო ყველა ერების თავისუფალი განვითარება. ბურჟუაზიულმა საზოგადოებამ ვერ შესძლო ნაციონალური საკითხის გადაწყვეტა. მხოლოდ „საბჭოთა რესპუბლიკების მჭიდრო კავშირმა, — როგორც გვიანდერძა ლენინმა, — შექმნა ნაციონალური მშვიდობიანობის ნიმუში, რომელიც შეუძლებელი იყო ბურჟუაზიის ბატონობის და ბურჟუაზიული წესწყობილების დროს“.

საბჭოთა ხელისუფლებამ გამოძებნა საშუალება ნაციონალური საკითხის გადასაწყვეტათ — ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის სახით, რომელიც ლენინის აზრით, „პრინციპიალურათ, აბსოლიუტურათ სწორი იყო და ის უეჭველათ უნდა განხორციელებულიყო“; ეს საკითხი გადაწყვეტილი იქნა საბჭოთა ფედერაციის ყველა რესპუბლიკების ძმური კავშირის — საბჭოთა კავშირის შექმნის გზით.

ცაკის სესიას, რომელიც თბილისში იხსნება, უდიდესი მნიშვნელობა აქვს საკავშირო რესპუბლიკების წარმომადგენელთა შორის მჭიდრო ძმური კავშირის დამყარების საქმეში და ამასთანავე ის საუკეთესო დამამტკიცებელია იმის, რომ საბჭოთა საქართველო თანასწორუფლებიანი მოკავშირე რესპუბლიკაა.

ამიერ-კავკასიის, კერძოთ საქართველოს, მშრომელთა საჭიროებების და ყოფა-ცხოვრების უშუალოთ გაცნობა ხელს შეუწყობს იმ საკითხების სწორათ გადაწყვეტას, რომლებიც ამიერ-კავკასიას შეეხება, და აგრეთვე ხელს შეუწყობს შეძლებისდაგვარი დახმარების გაწევას საბჭოთა ამიერ-კავკასიის ყველა რესპუბლიკებისათვის.

საბჭოთა კავშირის ცაკის სესიის საზეიმო გახსნის დღეს — 2 მარტს — თბილისის კომიტეტი და თბილისის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭო მოუწოდებენ ყველა მუშებს, მუშა ქალებს და მშრომელებს გამოვიდენ ქუჩაზე, დაანახვონ ყველას თავისი შეკავშირებული ძალა, ერთგულება საბჭოთა ხელისუფლებისადმი და სოლიდარობა მთელი საბჭოთა ფედერაციის მშრომელთა ინტერესებთან და ერთსულოვნათ მიესალმონ მუშათა კლასის და გლეხობის მჭიდრო ძმურ კავშირს — საბჭოთა კავშირის სახით.

ყველა მუშები და მშრომელები, მთელი წითელი თბილისი ქუჩაზე უნდა იყოს!

სალამი საბჭოთა კავშირის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის მე-3 სესიას!
გაუმარჯოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების დიდ კავშირს — საბჭოთა კავშირს!
გაუმარჯოს ა|კ. ს. ფ. ს. რ. მშრომელთა ძმურ კავშირს!
გაუმარჯოს მუშურ-გლეხურ საბჭოთა საქართველოს!
გაუმარჯოს მუშათა კლასის მოწინავე რაზმს — რუსეთის კომუნისტურ პარტიას!
გაუმარჯოს საერთაშორისო პროლეტარული რევოლიუციის მებრძოლ შტაბს — კომუნისტურ ინტერნაციონალს!

საქ. კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტი.
თბილისის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭო.
საქართველოს პროფსაბჭო.

რადიო-დეპეშები

(„ზაკროსტა“-ს ცნობები)

საფრანგეთთან მოლაპარაკების დაწყების წინ

სათათბირო კომიტეტი

პარიზი. 27 თებერვალი. ერრიომ რესპუბლიკის პრეზიდენტს წარუდგინა ხელისმოსაწერად დეკრეტი სპეციალური სათათბირო კომიტეტის დაარსების შესახებ. კომიტეტმა უნდა დაიცვას რუსეთის ფასიან ქაღალდების კერძო მეპატრონეების ინტერესები. კომიტეტის წარმომადგენლები მონაწილეობას მიიღებენ სათათბირო ხმის უფლებით საფრანგეთის დელეგაციის მუშაობაში საბჭოთა კავშირთან მოლაპარაკების საქმის მოსაწესრიგებლად.

საბჭოთა დროშა ლიონის ბაზრობაზე

პარიზი. 27 თებერვალი. საბჭოთა პავილიონი ლიონის ბაზრობაზე მზათ იქნება 2 მარტს. ამ დღეს პავილიონზე აღმართავენ საბჭოთა კავშირის დროშას.

საბჭოთა წარმომადგენლები გაემგზავრენ პარიზში

მოსკოვი. 28 თებ. პარიზში გაემგზავრენ საგარეო ვაჭრობის სახ. კომისარი და საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი საფრანგეთში — **კრასინი**, ამხ. **პრეობრაჟენსკი** — თავმჯდომარე იმ კომისიისა, რომელიც საბჭოთა კავშირის სახელით მოლაპარაკებას აწარმოებს საფრანგეთთან და საგარეო ვაჭრობის ბანკის გამგეობის თავმჯდომარე — ტარატუტასთან.

ოსმალეთის ამბები

საუბარი ოსმალეთის რწმუნებულთან მოსკოვში

მოსკოვი. 28 თებერვალი. ანგორიდან მიღებულ ცნობების გამო ოსმალეთის აღმოსავლეთ პროვინციებში აჯანყების დაწყების შესახებ, „როსტას“ თანამშრომელმა მიმართა ოსმალეთის რწმუნებულს მოსკოვში უნის-ბეის, რომელმაც ამ ამბების შესახებ შემდეგი სთქვა:

„რაც შეეხება აჯანყების ხასიათს და აჯანყების ფარულ მიზეზებს, არავითარი ოფიციალური ცნობები არა გვაქვს, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამ **მოძრაობაში მონაწილეობას იღებენ კონტრ-რევოლიუციონური ძალები, რომელთა იარაღს წარმოადგენს სეიდი.**

მაგრამ არავითარ საფრთხეს მთავრობას და მთელ ქვეყნის მშვიდობიანობისათვის ეს მოძრაობა არ წარმოადგენს. შეიხ სეიდი გამოდის სარწმუნოებრივ ლოზუნგებით. ამიტომ ადვილი შესაძლებელია, რომ ოსმალეთში მოინახებიან ზოგიერთი რეაქციონერები, რომლებიც თანაუგრძნობენ შეიხ სეიდის მოძრაობას. მაგრამ ხალხთა ფართო მასსები უსათუოთ შორს სდგანან იმ მოძრაობიდან. რომელიც მიმართულია მთავრობის და არსებულ წესწყობილების წინააღმდეგ.

მე ეჭვი არ მეპარება იმაში, რომ როგორც აისორთა ტომის შარშანდელი აჯანყება სწრაფად იქნა ჩაქრობილი მთავრობის მიერ, ისე დღევანდელი აჯანყება დასრულდება შეიხ სეიდის სრული დამარცხებით. რაც შეეხება იმას, რომ ოსმალეთის ხალხი მხარს უჭერს მთავრობის ღონისძიებებს, ამ მხრივ არ შეიძლება იყოს რაიმე ეჭვი. ოსმალეთის სახელმწიფოებრივი წესწყობილება, მისი კონსტიტუცია და საპარლამენტო ხელისუფლება ამტკიცებს იმას, რომ მთავრობა ნამდვილათ არის ხალხის ინტერესების გამომხატველი; ამიტომ მთავრობის მიერ მიღებული ყოველგვარი ზომები აჯანყების ჩასაქრობად, მოწონებული და დადასტურებული იქნება.

ამ მხრივ, როგორც მეჯლისი, ისე საზოგადოებრივი აზრი იჩენენ სრულ ერთსულოვნობას. ოსმალეთის მთელი პრესა, კლერიკალურიც კი, იწონებს მთავრობის მოქმედებას, ამასთანავე უკანასკნელი (კლერიკალური პრესა) კიდეც სთხოვს მთავრობას მიიღოს გაბედული და რადიკალური ზომები აჯანყების ჩასაქრობად“.

ებერტის გარდაცვალება

ბერლინი, 28 თებ. დღეს, დილის 5 საათზე, გერმანიის პრეზიდენტის ებერტის ჯანმრთელობის მდგომარეობა უეცრად გაუარესდა. დილის 9 საათზე და 55 წუთზე ის გარდაიცვალა.

ებერტი.

რუსეთის საგარეო პოლიტიკა

რუმინეთის გარეშე საქმეთა მინისტრის განცხადება

დამოკიდებულება გერმანიასთან

ვენა. 27 თებერვალი. რუმინეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა დუკამ პარლამენტის გარეშე საქმეთა კომისიაში განაცხადა, რომ რუმინეთი მზად არის დაიწყოს მოლაპარაკება გერმანიასთან, თუ უკანასკნელი ხელს შეუწყობს რუმინეთის პრეტენზიების დაკმაყოფილებას.

საბჭოთა კავშირის შესახებ.

შეეხო რა საბჭოთა კავშირთან ურთიერთობას, დუკამ განაცხადა: **რუმინეთი მიისწრაფვის რუსეთთან ნორმალური ურთიერთობის დამყარებისაკენ** იმ პირობით, თუ დაცული იქნება რუმინეთის ყველა უფლებები და პრეტენზიები. არავითარი საბუთი არ გვაქვს ვიფიქროთ, რომ ის სახელმწიფოები, რომლებმაც ხელი მოაწერეს ბესარაბიის ოქმს, უეცრად უარს იტყვიან თავიანთ ხელმოწერაზე.

ერრიოს განცხადება

პარიზი. 27 თებერვალი. ერრიომ, როცა განმარტებებს აძლევდა სენატის გარეშე საქმეთა კომისიას, განაცხადა, რომ ამჟამად სავსებით მეგობრული მოლაპარაკება სწარმოებს ინგლისთან მოკავშირეთა ვალების საკითხის შესახებ. რაც შეეხება საფრანგეთის ვალს ამერიკისადმი, ამ საკითხის მდგომარეობა ისეთივეა, როგორიც იყო შარშან.

დასასრულ ერრიო შეეხო ვრანგელის ფლოტის საკითხს და განაცხადა, რომ საფრანგეთს უფლება აქვს დააგვიანოს ფლოტის დაბრუნება, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ რუსეთში არსებული განწყობილება.

ძირს შეიარაღება

მუშათა კლასი არ დაიცავს ბურჟუაზიის სამშობლოს

ლონდონი, 28 თებ. თემთა პალატაში საჰაერო ფლოტის სამინისტროს ბიუჯეტის გარშემო გამართულ კამათის დროს მუშათა პარტიის მემარცხენე ფრთის წევრმა მაკსტონმა განაცხადა, რომ მისი თანამოაზრეები ხმას არ მისცემენ თუ გინდ ერთი კაპეიკის გადადებას შეიარაღების საჭიროებებისათვის, **ხანამ „მუშათა კლასს არ ექნება ისეთი რამ, რისი დაცვაც საჭირო იქნება“.**

მაკსტონის შემდეგ გამოვიდა მუშათა პარტიის მემარცხენე ფრთის ბელადი ლანსბერი, რომელმაც განაცხადა, რომ საერთო მშვიდობიანობის იდეა უზრუნველყოფილი ვერ იქნება შეიარაღების გაძლიერებით, რადგან თვითეული ომი განადგურების უფრო საშინელ იარაღებს შექმნის, ვიდრე წინეთ იყო. „მე რომ დარწმუნებული ვიყო, რომ შეიარაღებას რაიმე სარგებლობა მოაქვს მაშინ **მე შევიარაღდებოდი არა გერმანიის წინააღმდეგ, არამედ კაპიტალისტური წესწყობილების წინააღმდეგ, და შევუერთდებოდი კომუნისტურ პარტიას. მაგრამ თუ სოციალური პრობლემები გადაწყვეტილი არ იქნა ახლო მომავალში, მაშინ თანდათან უფრო მეტი ხალხი იწამებს ძალადობის მეთოდებს“.**

უკანასკნელი ცნობები

ინგლისის პროფკავშირების საგარეო საქმეთა კომიტეტი.

ლონდონი. 27 თებერვალი. ინგლისის პროფკავშირთა გენერალურმა საბჭომ აირჩია საგარეო საქმეების შესახებ მუდმივი კომიტეტი 10 კაცის შემადგენლობით. კომიტეტის მთავარი მიზანია რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს წარმომადგენლებთან ერთად დაუყოვნებლივ კონფერენციის მოწვევა.

კომიტეტში არჩეულ არიან: თავმჯდომარე პერსელი, წევრები მშენებელთა კავშირიდან ხიგსი, ტრანსპორტიდან ბენ-ტილეტი, სამთომადნო მუშებიდან სმილი, ქალებიდან და შავი მუშებიდან ვარლი, გაზის წარმოებიდან ხეიდე, მელითონეებიდან პუგი, მეტყავეებიდან ცულტონი, ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეებიდან ბოუენი, შავი მუშებიდან ტორნი.

პერსელი და ხიგსი წარმომადგენლებია მემარცხენე მიმდინარეობის, შემდეგი ოთხი — ცენტრის და უკანასკნელი ოთხი კი მემარჯვენე ფრთის.

პერსელი, ხიგსი და პრამლი შედიან ქვეკომისიაში, რომელიც გამოიმუშავებს კომიტეტის მოქმედების გეგმას.

ამნაირათ ინგლისის პროფკავშირები იწყებენ დამოუკიდებელ საერთაშორისო პოლიტიკის წარმოებას.

აჯანყება ოსმალეთში

ანგორა. 27 თებერვალი. ანგორაში განუწყვეტელი თათბირებია აჯანყების გამო. აჯანყებულები იმყოფებიან დიარბექირიდან 25 კილომეტრის მანძილზე.

დიარბექირის ქუჩებში ღამით გააკრეს პროკლამაციები, რომლითაც აბდულ-ჰამიდის ერთერთ შვილს ქურთების მეფედ აცხადებენ.

აჯანყებულ რაიონში გამოცხადებულია ნაწილობრივი მობილიზაცია. ისმეტ-ფაშამ მოიწონა მთავრობის მოქმედება. 24 თებერვალს აჯანყებულებმა დაიკავეს ქალაქი ხარფუთი.

გერმანია-საფრანგეთის სავაჭრო შეთანხმება

ბერლინი. 27 თებერვალი. გერმანიის პრესა კმაყოფილებას გამოსთქვამს იმის გამო, რომ გერმანია-საფრანგეთმა მიაღწიეს დროებითი სავაჭრო შეთანხმების ძირითად საფუძვლებს. შემდეგში ამავე საფუძველზე მიღებულ იქნება ხელშეკრულება.

მოითხოვენ ჩინეთის იმპერატორის დასჯას

პეკინი. 27 თებერვალი. მონარქიის მოწინააღმდეგეთა ლიგა ჩინეთში მონარქიული გადატრიალების საშიშროების გამო მოითხოვს ყოფილ იმპერატორის სიკვდილით დასჯას, მისი ოჯახის წევრთა დაპატიმრებას და მის მომხრეთა დასჯას.

საფრანგეთის საოკუპაციო ჯარების ძალმომრეობა.

ბერლინი. 27 თებერვალი. ლანდაუში 2 კომუნისტ მუშას საფრანგეთის საოკუპაციო ჯარების სამხედრო სასამართლომ, ჯარებში რევოლიუციონური პროპაგანდის გაწევისთვის მიუსაჯეს 2 წლით დაპატიმრება.

„თეთრი გვარდიის“ დაშლა

ნიუ-იორკი. 27 თებერვალი. მექსიკის მთავრობამ გასცა განკარგულება დაშლილ იქნას ეგრეთ წოდებული „თეთრი გვარდია“, რომელიც მოაწყო სანავთო კამპანიებმა მუშების დაშინების მიზნით.

ყოფილ ჯარისკაცების კავშირის დემონსტრაცია

ბერლინი. 27 თებერვალი. ყოფილ ჯარისკაცების წითელმა კავშირმა ლეიპციგში მოაწყო საპროტესტო მიტინგი ლიუტერის მთავრობის და ეგრედწოდებულ „გერმანიის ჩეკა“-ს პროცესის წინააღმდეგ.

ერრიოს გამოსვლა სენატის გარეშე საქმეთა კომისიაში

პარიზი. 27 თებერვალი. სენატის გარეშე საქმეთა კომისიაში ერრიომ განაცხადა, რომ საფრანგეთის მთავრობა სცდილობს მოაგვაროს საკითხი რუსეთის სახელმწიფო და კერძო ვალების შესახებ. ამასთანავე ერრიომ დაუმატა: „ეჭვს გარეშეა, რომ რუსეთის მთავრობა და რუსეთის ხალხი, რომლებმაც საშუალება მიიღეს კომისია გაეგზავნათ ბიზერტში ვრანგელის ესკადრის მატერიალური მდგომარეობის გამოსარკვევათ, ელოდენ, რომ ეს ესკადრა დაბრუნებული იქნებოდა ყოველგვარი პირობების გარეშე. მაგრამ საფრანგეთის მთავრობა ამ საკითხში აყენებს იმ პირობებს, რომლებიც წამოყენებული იყო წინამორბედ მთავრობის მიერ: ვრანგელის ფლოტი საფრანგეთში დარჩება იმ დრომდი, სანამ შესრულებული არ იქნება ეს პირობები. ამის შემდეგ მიღებული იქნება ყველა ზომები იმისათვის, რომ თავიდან აცილებული იქნეს შავი ზღვის სანაპირო სახელმწიფოების უკმაყოფილება და დაცული იქნეს მათი ინტერესები“.

ბრამლის წინადადებები

ლონდონი. 27 თებ. პრამლიმ მოითხოვა, რათა ტრედიუნიონების გენერალურმა საბჭომ ფორმალური პროტესტი განაცხადოს უდევენტის სიტყვის წინააღმდეგ. გენერალურმა საბჭომ უნდა მოიწვიოს 3 თვეში კონფერენცია ამსტერდამის წარმომადგენლებისაგან.

გერმანიის „საგანგებო კომისიის“ საქმე

მოსკოვის ადვოკატურის პროტესტი.

მოსკოვი. 28 თებერ. მოსკოვის ადვოკატურის პრეზიდიუმმა მიმართა ლეიპციგის და ბერლინის ვექილთა კავშირს და ვექილ ზამტერს და როზენფელდს დეპეშით, რომელშიაც ესალმება დამცველებს, რომელთაც დასტოვეს ე. წ. გერმანიის „საგანგებო კომისიის“ სასამართლოს სხდომა და უერთდება მათ პროტესტს სასამართლოს მოქმედების წინააღმდეგ, რაც გამოიხატა დამცველ ზამტერის დაპატიმრების ცდაში და ბრალდებულთა უფლებების დარღვევაში.

საფრანგეთ-გერმანიის სავაჭრო შეთანხმება

პარიზი. 27 თებერვალი. შაბათს მოხდა გაცვლა-გამოცვლა ოქმების, რომლებიც შეიცავენ საფრანგეთის და გერმანიის დროებითი სავაჭრო შეთანხმების ძირითად საფუძვლებს 9 თვის ვადით. გერმანია მიიღებს უპირატესობის მქონე ნაციის უფლებებს, საფრანგეთის მთავრობა წავიდა ისეთ დათმობაზე, რომელიც მას დღემდე შეუძლებლად მიაჩნდა. თავის მხრივ გერმანია დათანხმდა მისცეს საფრანგეთს მნიშვნელოვანი შეღავათი საფრანგეთის საექსპორტო მთავარ საქონელზე.

საფრანგეთის საზოგადოებრივი აზრი დადებითად აფასებს შეთანხმებას.

ხუთი კვირის სიმშილობა

ვენა 72, თებერვალი. რუმინეთის კომპარტიის დაპატიმრებულ ბელადის დობროჯიანუს მდგომარეობა სერიოზულია. მას უკვე ხუთი კვირაა გამოცხადებული აქვს სიმშილობა. ის სავსებით ღონემიხდილია, მაგრამ საჭმელის მიღებაზე მაინც უარს ამბობს.

უზენაესმა სასამართლომ მახლობელ დღებში უნდა გამოიტანოს გადაწყვეტილება დობროჯიანუს განთავისუფლების შესახებ.

ს. ს. ს. რ. საქ. კომისართა საბჭოს
საინფორმაციო-განყოფილების
კომპლექტი

კომუნისტი

მიიღება ხელის მოწერა მარტისათვის

თვიური ხელისმომწერლები უფასოთ მიიღებენ „ჩირაღდანს“ „მეცნიერება და ტეხნიკა“-ს

გაზეთი დამატებით თვიურათ ღირს

მუშა-მოსამსახურეებისათვის, წითელ-არმიელების, მოსწავლე ახალგაზრდობისა და მასწავლებლებისათვის—75 კაპ.
დანარჩენებისათვის თბილისში—1 მ., თბილისს გარეთ—1 მ. 20 კაპ.

სალამი საბჭოთა კავშირის ცაკის მესამე სესიას!

თბილისის მთავარ სახელოსნოს მუშებისაგან

თბილისის მთავარ სახელოსნოების მუშა-მოსამსახურენი მხურვალე და გულწრფელ სალამს უძღვნით თბილისში ჩამოსულ საბჭოთა კავშირის ცაკის წევრებს და უსურვებთ მათ ნაყოფიერ მუშაობას პროლეტარიატის და გლეხობის საკეთილდღეოდ.

ჩვენ ყოველთვის მზად ვართ თქვენს პირველ გამოძახილზე ავიღოთ იარაღი მთელ მსოფლიო კაპიტალიზმის დასამხობათ და ოქტომბრის რევოლიუციის გასამარჯვებლად.

გაუმარჯოს საბჭოთა რესპუბლიკების ხელმძღვანელ ორგანოებს!

გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარულ რევოლიუციას!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ცაკის მესამე სესიას!

თბ. რკინისგზის მთავარ სახელოსნოების მუშა-მოსამსახურეთა მონდობილებით **ჯიოშვილი.**

თბილისის სარონოდო განყოფ. მუშებისაგან

მხურვალე მუშური სალამი თბილისში მესამე სესიაზე ჩამოსულ საბჭოთა კავშირის ცაკის წევრებს: თბილისის სარონოდო განყოფილების მუშები მზად ვართ მხარში ამოგიდგეთ თქვენ საპასუხისმგებლო და მძიმე მუშაობის დროს. საზღვარგარეთ გახიზნული სოციალისტ-გამყიდველები, მსოფლიო ბურჟუაზიის ბინძური საქმის მონაწილენი ჩვენთან ვეღარ გაიჭაჭანებენ!

თქვენი ჩამოსვლა და მუშაობა საბჭოთა საქართველოს დედა-ქალაქში კიდევ უფრო მეტათ განამტკიცებს ჩვენს ურყევ კავშირს საბჭოთა რესპუბლიკების და მთელი მსოფლიოს მუშათა კლასთან.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ცაკის წევრებს!

გაუმარჯოს საკავშირო ცაკის მესამე სესიას!

გაუმარჯოს მსოფლიო სოციალისტურ რევოლიუციას!

მონდობილობით: დეპოს მუშა **შაგხოფლელი.**

საქართველოს ინჟინერ-ტეხნიკოსთა მეორე ყრილობა

გუშინ, საღამოს 7 საათზე, საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს დიდ დარბაზში გაიხსნა საქართველოს ინჟინერ-ტეხნიკოსთა ყრილობა, რომელსაც დაესწრო ასამდე დელეგატი საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან.

ყრილობას ესწრება, სხვათა შორის, საბჭოთა კავშირის ინჟენერ-ტეხნიკოსთა სექციათაშორისო ბიუროს წარმომადგენელი ამხ. იაკოვლევი.

ყრილობა გახსნა საქართველოს ინჟენერ-ტეხნიკოსთა სექციის ცენტრალურ ბიუროს თავმჯდომარემ ამხ. ტიშკოვმა, რომელმაც ყრილობას მიმართა მოკლე მისასალმებელი სიტყვით, რის შემდეგაც ყრილობა შეუდგა პრეზიდიუმის, სამდივნოს და სამანდატო კომისიის არჩევას.

პრეზიდიუმი:

პრეზიდიუმში არჩეული იქნენ: ამხ. ამხ. ზაბოლი, მარდალეიშვილი, მარკაროვი, ჯორჯაძე, ამირაჯიბი, ჭიპინაძე, კაციტაძე, გიორგობიანი და ტოვსტონოგოვი.

სამდივნო:

ეპელბაუმი, კაკაბაძე და ჯაფარიძე.

სამანდატო კომისია:

ვაშკლევიჩი, კვეზერელი-კოპაძე და ქემერაძე.

საპატიო თავმჯდომარეები:

ყრილობა საპატიო თავმჯდომარეებათ ირჩევს შემდეგ ამხანაგებს: რიკოვი, ტროცკი, ბუხარინი, მიხა ცხაკაია, ორახელაშვილი, ელიავა, სემკოვი, ყურულაშვილი, სტროევი და კალინინი.

ამხ. შ. ელიავას მოხსენება.

ყრილობამ დაამტკიცა ცენტრალურ ბიუროს მიერ წარმოდგენილი დღის წესრიგი, რის შემდეგაც მოისმინა ამხ. **შ. ელიავას** მოხსენება საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა საბჭოთა კავშირის ცნობა მთელ რიგ ბურჟუაზიულ სახელმწიფოების მიერ და დაწვრილებით გააშუქა საბჭოთა კავშირის და, კერძოთ, საქართველოს მრეწველობის და სოფლის მეურნეობის აღორძინება.

მისალმებები

ამხ. ელიავას მოხსენების შემდეგ ყრილობას მიესალმენ: საქართველოს პროფსაბჭოს სახელით—ამხ. **ათოევი**, ა|კ. პროფსაბჭოს სახელით—ამხ. **ხემკოვი**, ლითონის ტრესტის სახელით—ამხ. **ყამარაული**, საბჭოთა კავშირის ინჟენერ-ტეხნიკოსთა სექციათაშორისო ბიუროს სახელით—ამხ. **იაკოვლევი**. მელითონეთა კავშირის სახელით—ამხ. **რუპცოვი**, გამომგონებელთა ასოციაციის სახელით—თევდორაძე და საამშენებლო დარგის მუშების პროფკავშირის სახელით—ამხ. **სირაძე**. წაკითხულ იქნა აგრეთვე აზერბეიჯანის პროფსაბჭოსთან არსებულ სამეცნიერო-ტეხნიკურ ძალთა სექციის ცენტრალურ ბიუროს მისასალმებელი დეპეშა.

საბჭოთა არჩევნები საქართველოში

თბილისი

კრება ჩოდრიშვილის სახელობის კლუბში

26 თებერვალს ჩოდრიშვილის სახელობის კლუბში თავი მოიყარეს თბილისის საბჭოს გასული წლის მუშაობის შესახებ მოხსენების მოსასმენად და ახალ დეპუტატების ასარჩევათ აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკის, საინჟენერო სამართველოს, ქიმიურ ქარხნების, შინა მრეწველობის, ცხენების მოსაშენებელი სახელმწიფო თავლის და კომუნალურ მეურნეობის მუშაკთა საქარხნო შეგირდობის სკოლის მუშა-მოსამსახურეებმა. კრება გახსნა რაიონის საარჩევნო კომისიის სახელით ამხ. ბარხუდაროვმა. თბილისის საბჭოს წარსულ საქმიანობის შესახებ ილაპარაკა ამხ. ფარნიევმა.

ახალ დეპუტატებათ აირჩიეს: 1. ნონიევი (კომუნისტი), 2. ვლ. იუდინი (კომ.), 3. ან. ავხლედიანი (უპარტ.), 4. ჩხიკვიშვილი (უპარტიო).

ქ.

სტუდენტთა შორის

თებერვლის 27-ს საღამოს 5 საათზე თბ. სახ. უნივერსიტეტის ეზოში შესდგა სახ. უნივერსიტეტის და მასთან არსებულ მუშფაკის სტუდენტთა საერთო კრება, რომელზედაც არჩეულ იქმნენ დეპუტატები ქალაქის საბჭოში.

კრებაზე მოხსენება საბჭოს მოღვაწეობის და მისი მიღწევების შესახებ გააკეთა ამხ. მიხა ცხაკაიამ, რომლის ტრიბუნაზე გამოჩენას დამსწრე სტუდენტობა მქუხარე ტაშის ცემით შეეგება და მხურვალე ოვაციები გაუმართა.

ამხ. მომხსენებელი შეეხო ჩვენი ქვეყნის "კულტ ეკონომიურ მდგომარეობას და ხაზი გაუსვა იმ აღმშენებლობით საქმიანობას, რომელსაც ადგილი აქვს ჩვენს ქვეყანაში.

ორატორმა მოიგონა აგრეთვე საბჭოების სულის ჩამდგმელი და პროლეტ. რევოლიუციის ბელადი, ჩვენთან ფიზიკურად ამჟამად არ მყოფი ამხ. ლენინი.

შემდეგ ამისა, კრებამ მოხსენების შესახებ მიიღო შესაფერისი რეზოლიუცია და ახალ დეპუტატთა სახელმძღვანელოდ გამომუშავებული „ნაკაზ“-ი და გადავიდა არჩევნებზე.

არჩეულ იქმნენ შემდეგი ამხანაგები: **უნივერსიტეტიდან**—1. ოკუჯავა მიშა (კომ.), 2. ოდილავაძე შალვა (კომ.), 3. ნუცუბიძე გალ. (კომ.), 4) ხუნდაძე გრ. (კომ.), 5. ჩიხლაძე სიმონი (კომ.), 6 მახარაძე. ნინო, 7. ნიკოლავა ივ. (კომ.), 8. ცინცაძე ნიკ. (კომ.), 9. ცინცაძე ქსენია (კომ.), 10. ხვედელიძე სერგი (კომკავშ.), 11. პეტრაია გიორგი (უპ.), 12. ჩაჩავა მ. (უპ.), 13. ძიგრაშვილი ამბ. (უპ.), 14. ჭანკვეტაძე ვახტ. ნიკოლოზის-ძე (უპ.) და **მუშფაკიდან**: 15. კალანდაძე ემელ. (კომ.), 16. ჯაში ბენია (კომ.), 17. ლაფანაშვილი გიორგი (კომ.), 18. დინიბეგოვი მ. (კომკავშ.), 19. ნადარეიშვილი მარიამ (კომკავშ.), 20. გუბაშვილი შ. (უპ.), 21. მათიაშვილი ოლღა (უპ.).

საპატიო წევრებათ კრების მიერ ერთპირ არჩეულ იქმნენ, რევოლიუციის ვეტერანები ამხ. ამხ. **მიხა ცხაკაია და ფილიპე მახარაძე.**

კრება დაიხურა ინტერნაციონალით.

ამხ. მიხა, სტუდენტებმა ხელზე აყვანილი მიიყვანეს ავტომანქანამდე და ასეთის ოვაციებით გააცილეს.

ტოსკა.

მეოჯახე ქალთა შორის

მუშათა ცენტრ. კლუბში

26 თებერვალს, საღამოს 6 სათზე, მუშათა ცენტ. კლუბის დარბაზში თავი მოიყარეს თბილისის საბჭოს დეპუტატების ასარჩევად დიასახლისებმა. დარბაზი გაჭედილია მეოჯახე ქალებით.

კრებას ხსნის ამხ. მიხაილოვი. თბილისის საბჭოს წარსული წლის მუშაობის შესახებ ილაპარაკა ამხ. არ. მიქაძემ.

კრებამ დეპუტატათ აირჩია შემდეგი ამხანაგები: ტრამვაელ მუშა ქალებიდან—1. მდივანი (კომკ.), 2. ვოლკოვი (უპარტიო), 3. ბუდიაშვილი (უპარტიო), 4. მიქაძე არჩილ (კომ.); მელითონებიდან—1. კიდიაში (კომუნისტი), 2. ივანოვა (უპარტიო), 3. ხურდა (კომუნისტი); მეთამბაქოებიდან—1. მიხაილოვა (კომ.), პივნენკი (კომუნისტი); მილიციიდან—1. მირიჯანაშვილი (კომ.); კოლოფების ფაბრიკებიდან—1. კუზმინა (კომ.), 2. ტაშიევა (კომ.), 3. ჩიხლაძე (კომ.); შინა მრეწველობის მუშათა დიასახლისებიდან—ამხ. თალხანოვა; სამხედრო პოლიტიკურ სკოლიდან ამხ. თარბეევი.

მუშა **ნ. კ—ძე.**

კრება პოლიტეხნიკუმის კლუბში

თბ. პოლიტეხნიკუმის კლუბში 27 თებერვალს საღამოს 6 საათზე შესდგა საქალაქო რაიონის მეოჯახე ქალების კრება. თბ. საბჭოს მოღვაწეობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. არ. რუხაძემ. მოხსენების გამო კრებამ მიიღო შესაფერი რეზოლიუცია.

შემდეგ მოხდა არჩევნები. არჩეული იქნენ დეპუტატებათ შემდეგი პირები: ამხ. ქლეატი (კომკავშირელი), არსიმოვა, ჩოდრიშვილი, ბულიავცევა, ამატუნი, შულგინა, (პარტიის კანდიდატები), ალავერდოვა, კონოროვა (კომ.).

კანდიდატებათ ამხ. მღებრიშვილი (უპ.), გელიანიძე (უპ.), ჯალხაძე (უპ.).

რ.

თბილისის მაზრა

მაისის (მარტყოფის) თემი

ახალსოფლის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეთ აირჩიეს ამხ. შ. მართიაშვილი.

ნორიოს სასოფლო საბჭოს არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 1374 ამომრჩეველმა, მათ შორის 389 ქალმა. საბჭოს თავმჯდომარეთ აირჩიეს ივ. თეზაშვილი.

დიდი ლილოს საბჭოს არჩევნებზე გამოცხადდა 483 ამომრჩეველი, მათ შორის 172 ქალი. საბჭოს თავმჯდომარეთ აირჩიეს კ. გაბათაშვილი.

მაისის სოფლის საბჭოს არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 6,117 ამომრჩეველმა, მათ შორის 1752 ქალმა.

თემის აღმასკომში

არჩეული იქნა შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარეთ—ამხ. შ. სოლოღაშვილი, წევრებათ: ოშაკმაშვილი მ., თეზაშვილი ივ., გაბათაშვილი კ., მართიაშვილი შ., და კორძახია ვ.

სამაზრო ყრილობის დელეგატებათ

ერთხმათ არჩეული იქნენ: ლადო სუხიშვილი, ვარ. მესხი, ფილიპე მახარაძე, კ. ხომერიკი, ალ. სეხნიაშვილი, შ. ადიკაშვილი, ივ. თეზაშვილი, კორძახია ვ., თავბერიძე ანნა, გაბათაშვილი კ. სოლოღაშვილი შ. და თოდუა პლ.

გ.

ხელახალი არჩევნები ასურეთის თემში

თბილისის სამაზრო საარჩევნო კომისიამ უკანონოთ სცნო და გააუქმა ამას წინათ ასურეთის თემში მომხდარი საბჭოთა არჩევნები, ვინაიდან, როგორც გამოირკვა ასურეთის თემის საარჩევნო კომისიის მიერ წარმოდგენილი მასალებიდან საზოგადო საარჩევნო კრებებზე საარჩევნო უფლების მქონე მოქალაქეთა საჭირო ნორმა არ დასწრებია. ამიტომ თბილისის მაზრა-ქალაქის საარჩევნო კომისიამ წინადადება მისცა ასურეთის თემის საარჩევნო კომისიას ხელმეორეთ ჩაეტარებია საბჭოთა არჩევნები და ფართოთ ჩაება მასში საარჩევნო უფლების მქონე მოქალაქენი. ამ მიზნით ასურეთის თემში მივლინებული იქნა საინსტრუქციოთ ამხ. გვალია. თემში მცხოვრებთა აღწერის და საბჭოთა საარჩევნო დებულების მესამე მუხლში გათვალისწინებული საარჩევნო უფლება წართმეულ მოქალაქეთა რაოდენობის გამორკვევის შემდეგ, თემის საარჩევნო კომისია შეუდგა სოფლად ცალ-ცალკე არჩევნების ჩატარებას, სადაც უფლების მქონე მოქალაქეთა 80 პროცენტზე მეტმა მიიღო მონაწილეობა არჩევნებში და სოფლად არჩევნები დამთავრდა 23 თებერვალს ღამით, ხოლო 24 თებერვლისათვის მოწვეული იყო თემის საბჭოთა ყრილობა, რომელიც ამავე დღეს დამთავრდა. ასურეთის თემში სულ არჩეულია 62 დეპუტატი (საბჭოს წევრები), ამათგან 14 კომუნისტი, 7 კომკავშირელი და დანარჩენი 41—უპარტიო. ხოლო დეპუტატების 62 რიცხვიდან არჩეულია 7 ქალი, 4 სოფლის მასწავლებელი და 1 აგრონომი. თემ-აღმასკომში არჩეული არიან შემდეგი ამხანაგები:

1) თემის აღმასკომის თავმჯდომარეთ ამხ. **თეთროაშვილი ალექსანდრე**—(კომუნისტი).

2) მისი მოადგ. და ასურეთის სოფლის საბ. თავჯმდ.—ადგილობრივი უპარტიო გლეხი ნემეცი—ამხ. **ლანგშტეინი ემანუილი.**

3) **ყრუაშვილი ნიკოლოზ**—უპარტიო იგივე კოდის სოფლის საბჭოს თავმჯდომარე.

4) **ყულპერაშვილი ალექსი**—კომუნისტი—იგივე ვაშლოვანის სოფ. საბჭ. თავმჯდ. (ადგილობრივი გლეხია).

5) **დალაქიშვილი არტემი**—ადგილობრივი გლეხი—კომუნისტი (იგივე ბოგვის სოფ. საბ. თავმჯდომარე. კანდიტატები: 1) არუთინოვა ს. ადგილობრივი გლეხ-ქალი—კომუნისტი. 2) ცეპპი ალბერტი—ადგილობრივი გლეხი ნემეცი—პარტიის წევრი.

სამაზრო ყრილობაზე დელეგატებათ არჩეულ იქნენ საპატიო დელეგატებათ—ამხ. მიშა ოკუჯავა და არჩილ რუხაძე.

გარდა ამისა—6 დელეგატი გადამწყვეტი და სამი სათათბირო ხმით.

კლიმენტი.

თელავის მაზრა

მაზრაში დასრულდა საბჭოთა სამაზრო ყრილობა. მონაწილეობას ღებულობდა 108 დელეგატი. ამათგან 89 მამაკაცი, 19 ქალი (17,6 პრ.) კომუნისტი 58, ახკომკავშირელი 5, უპარტიო 45, გლეხი 45.

სამაზრო აღმასკომში აირჩიეს 25 კაცი. მათ შორის 4 ქალი (16 პრ.), 5 გლეხი, კომუნისტი 21 (84 პრ.).

„კომუნისტი“

თბილისის ხელისმომწერთა საყურადღებოთ

„კომუნისტი“-ს კანტორა

ღია იქნება

ხელისმომწერის მისაღებათ

კვირას 10 საათიდან 3 საათამდე.

პროფკავშირებში

შრომის ხელფასიდან ანარიცხების შესახებ

ცირკულიარი № 16.

კავშირების ყველა ცენტ. გამგეობებს, სამაზრო და საქალაქო პროფბიუროებს, აჭარისტანის, აფხაზეთის და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ რესპუბლიკების პროფსაბჭოებს, ტფილისის, ხაშურის, სამტრედიის და ბათომის რკინის გზ. საუბნო კომიტეტებს, მეზღვაურთა კავშირის ბათომ-გაგრის რაიკომს და სახალხო შეერთების კავშირს.

ძვირფასო ამხანაგებო!

სრულიად საკავშირო რესპუბლიკების მე-6-ე ყრილობამ გაითვალისწინა რა მუშათა ბიუჯეტის დატვირთვა, რაც გამოიხატება სხვადასხვა საზოგადოების სასარგებლოდ ანარიცხების აღრიცხვაში, დაადგინა, რომ კავშირთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში მონაწილეობისათვის პროფკავშირთა წევრების ხელფასიდან ანარიცხი არ უნდა აღემატებოდეს 4 პროცენტს, რომლიდანაც 2 პროც. კავშირის საწევრო გადასახადია, 1 პროც. უმუშევართა ფონდი ა, და ურთიერთ დამხმარე სალაროსი და 1 პროც. დანარჩენ სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციების (რემ დასს, საჰაერო ფლოტის მეგობართა, ქიმიის მრეწველობის მეგობართა, წითელი ჯვრისა, ბავშვთა მეგობრის საზოგადოების და სხვა).

მიუხედავად ამისა შემჩნეულია, რომ პროფკავშირთა სრულიად საკავშირო რესპუბლიკების მე-6-ე ყრილობის დადგენილებისა და საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს დირექტივებს, რომელიც მოცემული ჰქონდათ 1924 1-ლ ნოემბერს მე-2 № ცირკულიარით, ადგილები ცხოვრებაში არ ატარებენ. განსაკუთრებით ეს შეეხება სხვადასხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციების (არა კავშირის) სასარგებლოდ აღებულ ანარიცხებს, რომლებიც ყრილობის მიერ დაწესებულ პროცენტს საგრძნობლად აღემატებიან.

ამ არანორმალური მოვლენას, რომ დაედოს საზღვარი და მოწესრიგდეს, საქართველოს პროფკავშირთა საბჭომ დაადგინა.

1) საჰაერო ფლოტია მეგობართა საზოგადოების, რემდასს, ქიმიის მრეწველობის მეგობართა საზოგადოების, წითელი ჯვრის, და ბავშვთა მეგობრის საზოგადოებების საწევრო წლიური გადასახადი თითოეული საზოგადოების სასარგებლოდ, არ უნდა აღემატებოდეს 25 კაპ. კლუბის სასარგებლოდ არ უნდა აირიცხოს 1|4 პროც. მეტი.

2) დაწესდეს კავშირის საწევრო გადასახადი ხელფასიდან 2 პროც.

3) უმუშევართა ფონდში აირიცხოს ხელფასის ნახევარი პროც.

4 ურთიერთ დამხმარე სალაროში წევრთა ხელფასიდან აირიცხოს ნახ. პროც.

5) სხვადასხვა ნიშნების, ლიტერატურის და სხვ. გავრცელება უნდა მოხდეს სრულიად ნებაყოფლობით და პირადათ (ინდივიდუალურად) თვითეულ შემთხვევაში საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს ნებართვით.

ს. პ. კ. ს. წინადადებას გაძლევთ სასწრაფოდ გაატაროთ ცხოვრებაში ზემოდჩამოთვლილი დადგენილებები და აგრეთვე 1924 წ. პირველ ნოემბრის თარიღით გამოგზავნილ მე-2 ნომრის ცირკულიარში ნაჩვენები დირექტივა, იმის შესახებ, რომ ყოველი დროებითი, დრო-გამოშვებით (პერიოდიული) ან მუდმივი ანარიცხის აღება კავშირის წევრებიდან შესაძლებელია გატარდეს მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს ნებართვით.

ს. პ. კ. ს. პ. მგ. მდივანი: **გ. ყურულაშვილი.**

ს. პ. კ. ს. საორგანიზაციო განყოფილების გამგე: **ნ. ათოევი.**

ს. პ. კ. ს. საორგანიზაციო განყოფილების მდივანი: **ღვინეფაძე.**

მუშათა კომისიის მოღვაწეობა

(ოქტომბერი 24 წ.—თებერვალი 25 წ.)

კომისიის მუშაობა დაიწყო ფრიად მძიმე პირობებში.

ჯერ კიდევ აგვისტოს გამოსვლამდე მუშების ერთ ნაწილში არსებობდა აზრი, რომ სოც.-დემოკრ. პარტიის არალეგალური მუშაობა უაზრო და უნიადაგო იყო, ამიტომ ეს წრე განზე იდგა ამ მუშაობიდან და ამავე დროს დარწმუნებული იყო, რომ ადრე თუ გვიან იგი, ე. ი. ც. კ. შეცვლიდა ასეთ მუშაობის ტაქტიკას და მთელი ცენტრ. კომიტეტი და, მაშასადამე, პარტია მონახავდა სხვა გამოსავალ გზას და დაადგებოდა არსებულ ხელისუფლებასთან შეგუებულ კულტურულ და ეკონომიურ მუშაობას. ხოლო, როცა ხსენებულ წრის ყურამდე მიაღწიეს ხმებმა, რომ ც. კ—ს გადაუწყვეტია შეიარაღებული გამოსვლები,—ამ წრეში შეიქნა მითქმა-მოთქმა, თუ როგორ შეეშალათ ხელი ამ უაზრო გადაწყვეტილებისათვის. ამ აზრით ერთი ჯგუფი ამხანაგებისა მივიდა ც. კ. წარმომადგენელთან ამ საკითხის გამოსარკვევათ; ამ ჯგუფმა გადაჭრით განუცხადა მას, რომ ეს იქნებოდა დამღუპველი და ყოველი ასეთი ხმები უნდა თავიდანვე მოსპობილ იქნას. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ეს ხმები ტყუილია, ასეთებს, თვით ბოლშევიკები ავრცელებენო.

ჩვენი ჯგუფი დარწმუნებული იყო, რომ ის პარტია, რომელიც ამაყობდა საუკეთესო წარსულით, რომელიც ათეული წლების განმავლობაში სწორეთ დაშნაკების ასეთ ტაქტიკას გაფთრებით ებრძოდა,—ახლა თვით არ ჩაიდენდა ასეთ მიუტევებელ შეცდომას.

უნდა ავღნიშნო, რომ 10 აპრილს მიღებული რეზოლიუციის ძალით ბევრი მუშა ამხანაგი, მიუხედავათ არალეგალური მუშაობის წარმოებისა, ამ მუშაობაში მონაწილეობას თავიდანვე არ იღებდა, არ იზიარებდა ც. კ.-ის ხაზს, მაგრამ ამავე დროს აქტიურათ მის წინააღმდეგ არ გამოდიოდა და არც ხელისუფლებას უშლიდა მუშაობას.

უცაბედათ არაფერი იბადება, ყველა მოვლენას აქვს თავისი ღრმა მიზეზები. არც მუშათა კომისია და მისი ჟურნალი „ახალი გზა“ გამოცხვებოდა ვიღაცის თონეში. ამ კომისიის შედგენას და ჩამოყალიბებას წინ უსწრობდა დიდი რყევა, ღუღილი...

ბევრი ღამეები უძილოდ თავს დასთენებია თვითეულ წევრს საბედისწერო კითხვის გადაჭრაში; კვლავ ძველი გზით გაგვეგრძელებინა სიარული, თუ გვეცვალა... ბრძნული იყო ძველი ხაზი თუ ბეცური.

გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ჩვენ იმ დამღუპველ კოშკთან ვიდექით, რომელსაც აწერია: შემოხვალ—ინანებ, არ შემოხვალ—მაინც ინანებ... ე. ი. განგვეგრძო ძველი გზა, თუ ახალის ძიებას დავდგომოდით.

ძველი გზით სიარული იყო სავაგლახოც და საბედისწეროც, ან როგორ არ უნდა ყოფილიყო სავაგლახო, როცა რწმუნდები ის შეცდარია, დამღუპველია, მაგრამ მაინც ჯიქურად მას მისდევ... იმიტომ, რომ ესაა გმირობად მიჩნეული, ესაა მენშევიზმის „მარტვილობა“, მენშევიზმის ათ მცნებაშიაც ეწერა: „ეჭვი არ შეგეპაროს ძველს გზაში“... და ყველას განდეგილურად სწამს იგი, ყველა მოთილისმულია იმ რწმენით, რომ იგია უმოკლესი, იგია ერთად ერთი ჭეშმარიტი გზა ხსნისა და არა არის რა სხვა მის გარეშე.

თუ წინეთ ვერ ვერკვეოდით,—თანდათან, რაც გახურებული შუბლი გვიგრილდებოდა, ვრწმუნდებოდით, რომ იმ გზით მივილტვოდით, რასაც არ ამართლებდა არავითარი საღი მოსაზრება. ასეთივე გარდატეხა ხდებოდა ფართო მასსებშიც.

ყველაფერი გვიკარნახებდა იმას, რომ აღარ შეიძლებოდა ძველი გზით სიარული, დავრწმუნდით, რომ ბრძოლის ძველი საშუალებანი ისევე უნდა უარგვეყო და გადაგვეყარა, როგორც ძველი დაბრანძული სალცეები. მაგრამ... „არ შემოხვალ—მაინც ინანებ“... ე. ი. აირჩევ ახალ გზას და შენ გამოგიცხადებენ ჯვაროსნულ ომს, ყბად აგიღებენ და ბოლოს მოღალატის დაღს დაგაჭდევენ შუბლზე.

მაგრამ ჩვენი აზრი უფრო მომწიფდა ამა წლის აგვისტოს პირველ რიცხვებში მომხდარ დემონსტრაციაზე. იქ უცაბედათ შევხვდით ერთმანეთს ძველი ამხანაგი მუშები. გვქონდა აზრთა გაცვლა-გამოცვლა ჩვენს მდგომარეობაზე. თუ წინეთ განუსაზღვრელის ნდობით და თითქმის ფანატიკური მოწიწებით ვიხსენიებდით ხოლმე ჩვენი მენშევიკური პარტიის არალეგალურ ცეკას და მის მუშაობას, ახლა ასე აღარ იყო. ჯერ ფრთხილათ დავიწყეთ ცეკას ზოგიერთ მიზანშეუწონელი ნაბიჯების განსჯა და თანდათან უფრო გაიზარდა უკმაყოფილება. ხანგრძლივი მუსაიფის შემდეგ გამოირკვა, რომ თვითეულ ჩვენთაგანს კარგა ხანია დაჰკარგვია რწმენა ძველი გზისა. და ასეთ პირობებში წარმოიშვა მუშათა კომისია.

ვინც სისხლის ფურცლებს გვიჭერს ისტორიაში, მას უნდა უბრუნოთ პირი, ის უნდა აღმოვფხვრათ გულის სიღრმიდან.

სხვათა შორის, მინდა აქ გავიხსენო ერთი ისტორიული ფაქტი იმის დასამტკიცებლად, რომ ჩვენ, ერთი ჯგუფი მუშებისა, თავიდანვე წინააღმდეგი ვიყავით გამოვყოფოდით რუსეთის მუშებს ბრძოლაში და ცალკე გვეწარმოებინა ბრძოლა კაპიტალის წინააღმდეგ. ეს მაშინ იყო, როცა ცხოვრების ისტორიულმა პირობებმა დააყენა საქართველოს წინაშე გამოყოფის საკითხი. მაშინ ხსენებული ჯგუფი ქ. წერეთელთან ერთად წინააღმდეგი იყო გამოყოფის, ხოლო როცა კრებაზე ამის შესახებ ა. ზურაბოვი გამოვიდა და მის სიტყვებში დავინახეთ ჩვენდამი მტრული განწყობილება, ჩვენ იძულებული ვიყავით ხმა მიგვეცა გამოყოფის სასარგებლოდ და ჩვენს გზაზე დავდექით.

გადავედივარ ჩვენი **კომისიის** მუშაობის მოთხრობაზე.

უკვე პირველ გამოსვლების დროს ქიათურაში, როცა მთავარ სახელოსნოებში მოხდა მიტინგი, ჩვენ მოგვეცა საშუალება გამოგვეთქვა უკვე ხმა-მაღლა ჩვენი აზრი ამ გამოსვლების შესახებ და დაგვეგმო იგი: ამ კრებაზე ჩვენ აღვნიშნავდით გამოსვლების დამღუპველობას და მოუწოდებდით მუშებს არ მიეღოთ მონაწილეობა ამ გამოსვლებში, არამედ მხარი დაეჭირათ საბჭოთა ხელისუფლებისათვის, დახმარებოდენ მას და გაემაგრებინათ იგი.

არალეგალური წრეებიდან ამის გამო ჩვენ მოგვივიდა მუქარა, სადაც ისინი ჩვენ გვტუქსავდენ და აღნიშნავდენ, რომ თუ არა ჩვენი გამოსვლა მათ წინააღმდეგ, დიდი ნაწილი მუშა ისა მხარს დაუჭერდა მათ გამოსვლას.

გამოსვლების შემდეგ რამდენიმე კვირისა პლეხანოვის სახელობის კლუბში დანიშნული იყო ს. ორჯონიკიძის მოხსენება; ამ მოხსენებაზე ვიყავით ჩვენც და გვქონდა სჯაბაასი შექმნილ პირობების გარშემო, გამოვთქვამდით იმ აზრს, რომ ჩვენ უკვე თავი გვაქვს დანებებული მენშევიკურ მიმართულებას და არც ბოლშევიკებთან ვმუშაობთ, მაშ რაიმე გზა უნდა გამოვნახოთ. ნერვიული მდგომარეობა უაღრეს წერტილამდე იყო ასული. დადიოდა მრავალნაირი ცრუ და პროვოკაციული ხმები. საჭირო იყო რაიმე გზის გამონახვა.

ჩვენი ბაასის დროს ჩვენს გვერდით გაიარა გოლდბაუმმა. ჩვენ მივმართეთ მას, რომ ენახვებია ჩვენთვის ს. ორჯონიკიძე. ამანაც გადასცა სერგოს ჩვენი სურვილი. პირველსავე შეხვედრის დროს სერგომ ჩვენზე ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ ჩვენ ვიგრძენით შესაძლებლობა მასთან მუშაობისა. ის დაგვპირდა ჩვენ და გაგვიცხადა: თუ მუშებს სურთ გამოსთქვან თავისი აზრი, ჩვენ მაგის წინააღმდეგი არ ვიქნებით და გადავწყვიტეთ მოგვეხდინა კრება მთავარ სახელოსნოში.

მეორე დღეს მთავარ სახელოსნოს მუშებმა ალანიას, პაპიძის, რაზმაძის, ამის და სხვ. თანდასწრებით ვიქონიეთ თათბირი, თუ როგორ უნდა მოგვეწვია კრება.

ვინახულეთ სეით დევდარიანი. ვთხოვეთ მას გაეკეთებინა მოხსენება, ის შეგვპირდა.

კრება მოწვეულ იქნა 7 და 8 ოქტომბერს. კრებაზე იქნა არჩეული მუშათა კომისია. მივიღეთ რეზოლიუცია (იხ. „ახალი გზის“ № 2). ამ კრებას დაესწრენ მთავარ სახელოსნოს ყველა მუშები და თბილისის მთელი კვანძი. კომისიას დაევალა ჩამოევლო რკინის გზის ხაზზე მუშათა უბნები.

ხოლო შემდეგში, როცა ჩვენ ამ საქმეს შევუდექით და მუშებში კრებებს ვმართავდით, ჩვენმა მუშაობამ მიიღო ფართე ხასიათი. მუშაობის მსვლელობამ დაგვანახვა, რომ საჭიროა აგრეთვე კრებების მოხდენა თბილისის მასშტაბით, ხოლო შემდეგში დავინახეთ, რომ იგივე მუშაობა უნდა გავრცელდეს პროვინციებში და ამნაირათ მთელი საქართველოს მასშტაბით. ჩვენც შევუდექით ამ მუშაობას.

იმავე ნაძალადევის კრებაზე გადაწყდა აგრეთვე რუსეთში გადასახლებულებთან მოსალაპარაკებლად გამგზავრება, აგრეთვე საზღვარ-გარეთ. ამ გადაწყვეტილებას, თითქმის ყველა კრებაზე გვიდასტურებდენ მუშები როგორც აქ, თბილისში ისე პროვინციაში და გვთხოვდენ მალე წავიდეთ რუსეთში.

როცა ჩვენ რკინის გზის ხაზზე, მუშათა უბნებში კრებებს ვახდენდით და ვეცნობოდით ადგილობრივ მდგომარეობას, ვამჩნევდით, რომ ხელისუფლების ადმინისტრაცია და მუშაკები არ იდგენ თავის სათანადო სიმაღლეზე. ემჩნეოდა, რომ ისინი თავისი მოქმედებით კი არ იახლოვებდენ და უახლოვდებოდენ მშრომელ ხალხს, არამედ იშორებდენ. ამ მხრივ ადმინისტრაცია თავისი დანიშნულების სიმაღლეზე ყოფილა.

ბევრ ადგილს ჩვენ გვისაყვედურებდენ, რატომ უფრო ადრე არ მოვედით მათთან ჩვენი განზრახვებით და რაო დავიგვიანეთ.

როცა ჩვენ პირველ რაიონში მოქმედება დავიწყეთ, შევამჩნიეთ შემდეგი გარემოება: ის პირნი, რომელნიც ჩვენ პირადათ გვიცნობდენ, ნდობითაც გვეპყრობოდენ, მუშაობაშიც ხელს გვიწყობდენ.

გურიაში ჩვენმა მუშაობამ დაგვანახვა შემდეგი: აქ მშრომელი ხალხი, გაცილებით და მეტად შეგნებულია, პოლიტიკურათ მომზადებულია, ვიდრე სხვა საქართველოს ადგილებში. გურულმა გლეხმა ძალიან კარგათ იცის, რომ გადასახადი უნდა არსებობდეს, რომ ეს საჭიროა სახელმწიფოსთვის, ხოლო ისიც იცის, რომ გადასახადის განაწილებაში თვითონ უნდა მიიღოს მონაწილეობა. ქართლელ გლეხს კი რომ ეტყვი გადასახადის შესახებ, ის გეტყვით გადასახადი სულ არაა საჭიროო. ამიტომ საჭიროა გურიაში ხელისუფლების წარმომადგენლები სათანადოთ მომზადებული და თავის სიმაღლეზე იდგნ. გურულ გლეხს უნდა გამოსთქვას თავისი აზრი და შეხედულება გზის გაყვანის შესახებ სკოლის და ხიდების აშენების შესახებ. ამიტომ მათ უნდათ საქმე იქონიონ უფრო დარბაისელ პიროვნებასთან, როგორც ისინი ამბობენ „წვერულვაშებიანთან“. როცა კრებაზე გამოდის გლეხი თავის მოსაზრებებით და მის წინააღმდეგ სდგას ახალგაზრდა მუშაკი, რომელიც ვერ უძლებს გლეხის მიერ წამოყენებულ დებულებებს, მაშინ უკანასკნელი თავის წინადადების გასაყვანად მიმართავს არა დარწმუნებითი მეთოდს, არამედ მუქარას. გლეხზე ეს ცუდ შთაბეჭდილებას სტოვებს.

გურიაში გლეხები ყველგან კარგათ შემხვდენ. მათთან კრების გარდა სჯა-ბაასს ვმართავდით ცალკე პატარა ჯგუფებთანაც, გვინდოდა გაგვეგო ნამდვილი მათი სულისკვეთება და ვამჩნევდით, რომ მათში მომხდარია სულიერი გარდატეხა; ისინი მზად არიან ხელი შეუწყონ საბჭოთა ხელისუფლებას მუშაობაში.

მხოლოთ ლანჩხუთში მოგვიხდა შემდეგი ამბავი. კრებაზე განაცხადეს, რომ ისინი ვერაფერ რეზოლიუციას ვერ მიიღებენ, რადგან ლანჩხუთში **ითვლებოდა 400 პარტიის წევრი და ახლა კი აქ მხოლოდ 150 კაციით.**

მასწავლებელმა, რომელიც ამ კრებას თავმჯდომარეობდა, განაცხადა: საბჭოთა ხელისუფლების ნიადაგზე ვდგევართ და სხვა რა გინდათ, სხვა კითხვებს ჩვენ არ გვინდა შევეხოთო და სხვა.

ჩვენ დავტოვეთ კრება. ხოლო გლეხები მაინც არ დაიშალენ. თვით გამოიტანეს რეზოლიუცია და ჩვენც მიგვიწვიეს კრებაზე, სადაც ეს რეზოლიუცია გადმოგვცეს.

კრებებზე გლეხებს ეძლეოდათ საშუალება ხმამაღლა გამოეთქვათ თავიანთი აზრი და კრების დაშლისას აცხადებდენ კმაყოფილებას.

ნაგომარში მივიდენ გლეხები საჩივრით. სხვათა შორის, ასეთ შემთხვევას ჰქონია ადგილი: ვინმე ლესნიჩს ორი წიგნაკი ჰქონია ტყის მოჭრის ნებართვის გასაცემათ. ერთში, რომელიც ოფიციალური მთავრობისაგან იყო მოცემული და მეორე კიდევ თავისი, საკუთარი. პირველ წიგნაკით მას მიუცია ოთხი ნომერი, ხოლო მეორეთი 104 ნომერი. გლეხმა, რომელმაც გამომიღლავნა ეს ამბავი და მერე შეიტყო, რომ კრებაზე მისი სახელი ახსენეს,—ჩამოგვისწრო ჩოხატაურში და გაგვიცხადა: ნუ დამღუპავთ, ნუ გამიმაცხადებთ, თორემ იმ ლესნიჩმა, რომელიც დაჭერის შემდეგ ისევ დაუბრუნდა თავის ადგილს, მომდგა და საშველს აღარ მაძლევსო.

ბათომში ჩვენი პირველი მუშაობა სწარმოებდა მხოლოთ რკინის გზის მუშებში, სადაც გვყავდა რწმუნებულები, ხოლო შემდეგ,—მუშაობის გაგრძელებამ დაგვიმტკიცა, რომ საჭირო იყო აგრეთვე, რათა ეს მუშაობა გავრცელებულიყო ქალაქშიც და ამნაირათ შევაერთეთ რკინის გზელები ქალაქთან, რამაც დიდი ნაყოფი გამოიღო.

მათ შორის რწმუნებულები არიან ძველი პარტიული მუშები, გოგოლაძე და კოპლატაძე.

გოგოლაძემ ჯერ კიდევ 1923 წელს გაზაფხულზე მოათავსა წერილი გაზ. „კომუნისტში“ და აგრეთვე გაუგზავნა წერილი არალეგალურ ცეკას, სადაც იგი აღნიშნავდა წარმოებულ გზის დამღუპველობას და ეუბნებოდა, რომ საჭიროა საერთო ენის გამონახვა. ხოლო, ეს წერილი ჩეკას ჩაუვარდა მის შემდეგ, რადგან მას მაშინ არ ეყო გაბედულება გადასულიყო მმართველი ხელისუფლების მხარეზე, მას მოუხდა არალეგალურად ცხოვრება, ხოლო პარტიაში კი არ მუშაობდა.

ბათომს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ჯერ როგორც ქალაქს და მერე კიდევ გურიისთვის, რადგან მთელი გურია იქით იცქირება, ამიტომ ჩვენი მუშაობის გულისყური უნდა იქნეს მიქცეული ბათომისკენ, რომელიც ერთნაირ ჭიშკარს წარმოადგენს სხვადასხვა ილლიუზიებისათვის და თუ ბათომში იქნება წარმოებული შესაფერი მუშაობა, ამით გურიასაც მოესპობა ის საშუალება ილლიუზიებით კვებისა, რომელიც ხდება ბათომის მეოხებით.

ბათომის შემდეგ ვიყავით ქუთაისში, სადაც ავარჩიეთ რწმუნებულები: მუშაობის სამი კვირის განმავლობაში გამოირკვა, რომ მთელი მუშები ყოფილი მენშევიკები დაადგნენ ჩვენ გზას, გარდა ერთი პიროვნებისა, რომლის შესახებ ჩვენ ვერ გავიგეთ მისი ასავალ-დასავალი.

საზოგადოთ უნდა აღინიშნოს, რომ არის სურვილი კომპარტიაში შესვლის, ხოლო ამას ხელს უშლის ის პირობები, რომელიც საჭიროა ფორმალურად შესრულებულ იქნას. ასე მაგალითად: რომელიმე ძველ მუშას გადაწყვეტილი აქვს პარტიაში შესვლა. ამისთვის საჭიროა ხელი მოუწეროს ხუთმა პარტიულმა. ბევრს არ უნდა მიმართოს ხელის მოსაწერათ. ჩემის აზრით ამისთვის საჭიროა კოლლექტიური ხელმოწერები, რომელსაც შემდეგ რაიონული კოლლექტივი განიხილავს და ყოველ ფორმალურ მხარესაც შეასრულებს. სასაკლაოს მუშებიდან პარტიაში შესვლა განაცხადა 62 კაცმა.

საზოგადოთ, ჩემის აზრით, საჭიროა პოლიტიკურ მოძრაობაში ჩაბმულ იქნას ძველათ მენშევიკების მიმდევართა რაც შეიძლება ფართო მასსა, რომელსაც ამოძრავება უნდა, და ამით ხელისუფლებაც ძალიან ბევრს მოიგებს, მაშინ ის დაეყრდნობა ამ მასსას.

2 მარტის დემონსტრაციის ჩატარების გეგმა

ალლუმის შემდეგ სამხედრო ნაწილებს მიყვება ახალგაზრდა პიონერების თბილისის ორგანიზაცია, მათ მიჰყვებიან მუშათა ორგანიზაციები რაიონების მიხედვით.

1. ლენინის რაიონი: მუშაობა ყველა წარმოებებსა და დაწესებულებებში სწყდება დღის პირველ საათზე. შეკრების ადგილიდან რაიკომის ჩვენებით, მწყობრი რიგებით დემონსტრაცია მიემართება ჩერქეზიშვილის, მალაკნების, ვაგზლის, ელისაბედის, პიროგოვის, პლეხანოვის, პასტერის, კამოს და კირკის ქუჩით და მიდის ყოფ. ზემელის აფთიაქთან დღის 2 ნახ. საათზე, მაგრამ არ გამოდიან ლენინის ქუჩაზე. სამხედრო ნაწილების და ახალგაზრდა პიონერების გავლამდე.

2. არსენალის რაიონი: მუშაობა ყველა წარმოებებსა და დაწესებულებებში სწყდება დღის 2 ნახ. საათზე და შეკრების ადგილიდან რაიკომის ჩვენებით დემონსტრაცია მიემართება პლეხანოვის პროსპექტიდან კირკის ქუჩით და სრულ 3 საათზე სდგება კამოს ქუჩასთან და ელოდება ლენინის რაიონის დემონსტრანტების გავლას და იკავებს პლეხანოვის პროსპექტს, პასტერის ქუჩიდან კარლ მარქსის მოედნამდე, მთელ კირკის ქუჩას ჩერქეზიშვილის ქუჩამდე.

3. ავლაბარ-ხარფუხის რაიონი: მუშაობა ყველა წარმოებებსა და დაწესებულებებში სწყდება დღის 1 საათზე. შეკრების ადგილიდან (პარტიის რაიკომი) დემონსტრაცია მოდის ციციანოვის დაღმართით 19 თებერვლის ქუჩით, ჩერდება კარლ მარქსის მოედანთან, სრულ 3 ნახ. საათზე და ელოდება არსენალის რაიონის გავლას.

4. ქალაქის რაიონი: მუშაობა დაწესებულებებსა და წარმოებებში სწყდება დღის 3 საათზე. შეკრების ადგილებიდან რაიკომების ჩვენებით დემონსტრაცია იკავებს რუსთაველის პროსპექტის პარალელურად მდებარე ქუჩებს დღის 4 საათზე და მიემართება რუსთაველის პროსპექტით სასახლისაკენ ავლაბარ-ხარფუხის რაიონის შემდეგ.

საქ. კომპარტიის ტფილისის კომიტეტი.

დემონსტრაციის ჩატარების გეგმა არსენალის რაიონში

პირველი გუნდი

ხელმძღვანელები: **ამხ. რონზანი და ლევშიცი, სახალხო სახლიდან „აპოლოს“ მიმართულებით** 1. ტრამვაი ორკესტრით, 2. ლითონის განყოფილება, 3. ავოზსარემონტო ქარხანა, 4. პროლეტკულტი, 5. ელექტრონზე მომუშავენი და მელითონეთა საქარხნო კომიტეტი, 6. სახელმწიფო ღვინის ტრესტი, 7. ალექსანდრეს საავადმყოფო და სახელმწ. საქ. სავაჭრ. სამმართვ. („გრუზმედტორგი“).

მეორე გუნდი

ხელმძღვანელები: **ამხ. ვარდოიანი, და ბოჭორიშვილი, რაიკომიდან ჩერქეზიშვილის ქუჩისაკენ.** 1. არსენალი ორკესტრით, 2. რ. ლიუქსემბურგის სახელობის თამბაქოს ქარხანა, 3. თამბაქოს ფაბრიკა „პროლეტარი“ 4. წყალსადენის სახელოსნო, 5. მკერავები, 6. სააღმშენებლო დარგის მუშები, 7. მეეზოვეთა ადგილკომი, 8. თვალსაჩინო სახელმძღვანელოების ინსტიტუტი. 9. 2-ე საქარხ. კომიტეტი, 10. 5-ე საქარხნო კომიტეტი.

მესამე გუნდი.

ხელმძღვანელები: ამხ. ფრიდინოვი, კრონტალი. რაიკომიდან კარლ მარქსის მოედნისაკენ. 1. კოლოფების ქარხ. მუშები ორკესტრით, 2. „ცენტროტრამოტი“, 3. „ზაკავტოპრომტორგი“. 4. შოფერების ადგილკომი, 5. „სანტეხი“, 6. სახერხავი ქარხნები, 7. დამზღვევი სალარო და შრომის ბირჟა, 8. თვითმშრომელები, 9. მუშათა მთლიანი კოოპერატივი, 10. მიხეილის საავადმყოფო, 11. სახ. ჯანმრთელობის კომისარიატი, 12. განათლების მუშაკთა ადგილკომი, 13. სახალ. კვების მუშათა ადგილკომი 14. საქართველოს სახელმწიფ ვაჭრ. საპაიო ამხან. („გრუზგოსტორგი“), 15. ცეკავშირი, 16. „ზაკსოიუზი“, 17 სახ.. მეურნ. უმაღლესი საბჭო.

რაიკომის მდივანი—მელაძე.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

სიმინდის თესლის შესყიდვა ამერიკაში

მოსკოვი, 28 თებერვალი. რიკოვის კომისიამ მიზანშეწონილათ დაინახა, სიმინდის მოსავლის გადიდების მიზნით, შეისყიდოს ამერიკაში 300.000 ფუთი საუკეთესო ხარისხის სიმინდის თესლი; ამასთანავე კომისიამ სიმინდის გასაშრობი ადგილების მოსაწყობათ გადასდო 1 მილ. მანეთი.

წითელი ჯვრის ახალი წესდების პროექტი

მოსკოვი, 28 თებერვალი. რ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოში დასამტკიცებლათ წარდგენილია რ. ს. ფ. ს. რ. წითელი ჯვარის ახალი წესდების პროექტი. ახალი წესდება მოქმედი წესდებისაგან განსხვავდება იმით, რომ ის შესამჩნევათ აფართოვებს რუსეთის წითელი ჯვარის საზოგადოების მოქმედების ფარგლებს და არჩევნების პრინციპი შეაქვს საზოგადოების ყველა ორგანოებში. წესდების დამტკიცების შემდეგ მოწვეული იქნება რუსეთის წითელი ჯვარის საზოგადოების ყრილობა.

კულტურული მეურნეობა

ვლადიმირი, 28 თებერვალი. საგუბერნიო აღმასკომმა 300 მან. პრემია მისცა კოვროვის მაზრის სოფელ ლენინოს გლეხებს სოფლის მეურნეობის კულტურულათ გაძღოლისათვის. გლეხებმა შეერთებული თანხებით იყიდეს ფორლზონის სისტემის ტრაქტორი და ტეხნიკურათ გააუმჯობესეს თავისი მეურნეობა.

მრეწველობის აღორძინება.

ვლადიმირი, 28 თებ. ვლადიმირო-ალექსანდროვსკის ბამბის ქსოვილების ფაბრიკების ტრესტმა ერთი წლის განმავლობაში მიიღო 4,200,000 მან. მოგება. პროდუქციის თვითღირებულება შესამჩნევათ შემცირდა. დაიწყო მუშაობა ყველა ფაბრიკების ელექტრონის სისტემაზე გადასაყვანათ. მუშების ბინების აგებაზე ტრესტმა დახარჯა ერთი მილიონი მანეთი. მომავალში ამ საქმისათვის გადადებული იქნება 2 მილიონი.

მღვდლის წერილი

კიევი, 28 თებერვალი. სოფ. ლისიანკის მღვდელმა გაზეთებში მოათავსა წერილი, რომელშიაც კრულვით იხსენიებს იმ საათს, როდესაც მღვდლათ გახდა და აცხადებს, რომ მან გადასწყვიტა დაანახვოს გლეხებს, რომ მათ სჭირდებათ არა რელიგია, არამედ განათლება.

კიევის ბაზრობაზე

კიევი, 28 თებ. კონტრაქტიულ ბაზრობაზე დადებულია მთელი რიგი ხელშეკრულებები, რომლებიც ეხება ფერადი ლითონების ყიდვა-გაყიდვას. „ურალმედ“-მა გაყიდა 15 ვაგონი შავი ლითონი, ლითონის სინდიკატმა—12 ვაგონი მავთული.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

დახმარება ცეცხლისგან დაზარალებულებს.

ქუთაისი. 26 თებერვალი. ქუთაისის აღმასკომმა ცეცხლისგან დაზარალებულ ხუთ ოჯახს ერთდროული დახმარების სახით მისცა 2,600 მანეთი.

ახალი საექიმო პუნქტები.

ქუთაისი. 28 თებერვალი. აღმასკომის პრეზიდიუმის დადგენილებით მაზრაში გაიხსნა ორი ახალი საექიმო პუნქტი.

რადიო მიმღებთა მოწყობა.

ქუთაისი. 26 თებერვალი. სამტრედიაში და ხონში ახლო მომავალში მოეწყობა რადიო-მიმღებნი.

არჩევნების შედეგები სამტრედიაში.

ქუთაისი. 26 თებერვალი. სამტრედიის ქალაქის საბჭოში არჩეულია 134 დეპუტატი, აქედან კომუნისტი—45, უპარტიო—79, კომკავშირის წევრი—10, მუშა—50, გლეხი—63, საბჭოთა მოსამსახურე—17, მამაკაცი—120, ქალი—14.

ინვალიდთა კოოპერატიული გაერთიანება.

ქუთაისი, 28 თებ. ქუთაისში სოციალური უზრუნველყოფის სამმართველოს ხელმძღვანელობით არსდება ინვალიდთა კოოპერატიული გაერთიანება.

სომხეთი

აგრონომიული კაბინეტები

ერევანი, 26 თებერვალი. ეკონომიურმა თათბირმა დაადგინა გახსნას მაზრებში აგრონომიული კაბინეტები.

ქოხ-სამკითხველოების კონკურსი

ერევანი. 26 თებ. ქოხ-სამკითხველოების კონკურსი სომხეთში მასიურ ხასიათს ღებულობს. უკვე დაიბეჭდა მასალები 32—ქოხ-სამკითხველოს შესახებ. დასაბეჭდად გამზადებულია მასალები კიდევ 60 ქოხ-სამკითხველოს შესახებ.

ელექტრო-ტეხნიკური ლაბორატორია.

ერევანი. 25 თებერვ. აკადემიკოს ტამანიანის პროექტის მიხედვით სომხეთის სახალხო მეურნეობის საბჭოსთან ეწყობა ელექტრო-ტეხნიკური ლაბორატორია.

აზერბეიჯანი

ნავთი ბულგარეთისათვის.

ბაქო. 25 თებერვალი. ნავთის სინდიკატმა განკარგულება გასცა მიეცეს უცხოეთის ფირმას „მელ პეტროლ“ 700 ტონა ბაქოს ნავთი ნავთი იგზავნება ბულგარეთში.

საკურორტო საწოლები მუშებისათვის.

ბაქო, 25 თებერვალი. საქართველოს კურორტებზე წელს სამთო-მადნო მუშების კავშირმა თავის ხარჯზე აიღო 50 საწოლი.

მუშების ბიუჯეტის გამოკვლევა

ბაქო, 25 თებერვალი. აზერბეიჯანის პროფკავშირთა საბჭოს განზრახული აქვს მუშების ბიუჯეტის გამოკვლევა. გამოკვლეული იქნება წყალზე მომუშავების, სამთო-მადნო მუშების, ფეიქრების და განათლების მუშაკთა ბიუჯეტი.

საქართველოს წითელი ჯვრის სამდღიური

ხვალ, ორ მარტს ჩვენი რესპუბლიკის მთელს ტერიტორიაზე იწყება საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების სამდღიური. იგი მიზნათ ისახავს გააცნოს მშრომელ მასებს წითელი ჯვრის დანიშნულება და ნივთიერად გააძლიეროს მისი არსებობის საფუძველი.

რას წარმოადგენს საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება? იგი საქართველოს საბჭოთა საზოგადოებრივობის ორგანიზაციაა. მისი წევრობა შესაძლებელია მხოლოთ ნებაყოფლობით. და მის წევრთა შემადგენლობა უაღრესათ მუშურ-გლეხურია.

რას ისახავს მიზნათ ეს საბჭოთა საზოგადოებრივობის ორგანიზაცია?

იგი დამხმარეა, იგი მფარველია, იგი ჭირისუფალია უბედურების მსხვერპლთა, რის შედეგიც არ უნდა იყოს ეს უბედურება—ბუნების თუ საზოგადოების ამა თუ იმ ძალთა განწყობილებისა. იგი ეხმარება, მფარველობს, ჭირისუფლობს როგორც ომის, ისე წყალდიდობის, ხანძარის, მიწისძვრის მსხვერპლთ. იგი ებრძვის სოციალურ ხასიათის ავადმყოფობას და ყოველგვარ მოარულ სენს.

დიდმნიშვნელოვანია მისი საქმიანობა ომისა და სტიქიურ უბედურებათა დროს, მაგრამ უფრო დიდმნიშვნელოვანია ეს საქმიანობა მშვიდობიანობის დროს. მედგარი, გეგმაშეწონილი, სისტემატიური ბრძოლა სოციალურ ხასიათის სენებთან—მალარია, ჭლექი, ვენერიული სენი—აი როგორია საქმიანობა წითელი ჯვრის საზოგადოებისა მშვიდობიანობის დროს.

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება ამჟამათ აწარმოებს მედგარ ბრძოლას მალარიასთან, ამ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის გამანადგურებელ ჭირთან. საქართველოს მოსახლეობის დიდმა უმრავლესობამ ჯერ კიდევ არ იცის, თუ რა დიდი ზიანი მოაქვს მისთვის მალარიას. მან ჯერ კიდევ არ იცის, რომ თუ მალარიის წინააღმდეგ სისტემატიური ბრძოლა არ იქნა წარმოებული, იგი საბოლოოთ დააქვეითებს ქვეყანას ეკონომიურათ და უქადის მის მოსახლეობას ფიზიკურათ განადგურებას და გაწყვეტას. ყოველწლიურათ ერთი მესამედი მოსახლეობისა ავად ხდება მალარიით, ყოველ წლიურათ 800 000 კაცი დაავადებულია მალარიით იმ დროს, როცა სოფლის მეურნეობაში მუშაობის სეზონია, რვაასი ათასი მუშა ხელი ეკარგება ქვეყანას რამოდენიმე თვის განმავლობაში და მის მაგივრათ, რომ მათ მიერ შეიქმნას ახალი ღირებულება, მოსახლეობის ეს დაავადებული ნაწილი საზრდოობს სხვის მიერ შექმნილ ღირებულებით. ნაწილი ამ დაავადებულთა მსხვერპლი ხდება მალარიისა, იგი სიცოცხლეს ესალმება, ხოლო მეორე ნაწილი სავსებით ვერა რჩება მალარიისაგან, იგი ფიზიკურათ სუსტდება, სხვა ავადმყოფობის წინააღმდეგ შებრძოლების უნარს ჰკარგავს და უმთავრეს შემთხვევაში ავად ხდება ჭლექით, რომელიც ასალმებს მას სიცოცხლეს.

ეკონომიურათ დაქვეითება ქვეყნისა, ფიზიკურათ გადაგვარება და ბოლოს გაწყვეტა მოსახლეობისა—აი შედეგი მალარიის მძვინვარებისა ჩვენს ქვეყანაში.

აი, ამ საშინელ სენს ებრძვის წითელი ჯვარი ხელისუფლების ორგანოსთან — ჯანმრთელობის კომისარიატთან—ხელი-ხელ ჩაკიდებული. მალარიასთან ნაყოფიერათ ბრძოლა ნიშნავს ამ სენის მოსპობას; სენის მოსპობა კი თავდებია მოსახლეობის გაჯანსაღებისა და ქვეყნის ეკონომიურათ აყვავებისა. — მოსახლეობის გაჯანსაღება, ქვეყნის ეკონომიური აყვავება—ეს საბჭოთა ხელისუფლების გამაგრებაა, ეს საბჭოთა რესპუბლიკის გაძლიერებაა.

ვინც მოსურნეა საბჭოთა ხელისუფლების გამაგრებისა, ვინც საბჭოთა რესპუბლიკის გულის შემატკივარი მოქალაქეა, ვინც მშრომელთა გულწრფელი მეგობარია, ვინც არა მარტო სიტყვით, არამედ საქმით ემსახურება მათ, იგი დაეხმარება წითელი ჯვარს თავის ამოცანათა განხორციელებაში, იგი შეიტანს თავის წვლილს მალარიასთან ბრძოლის საქმეში.

პ. კიკალიშვილი.

პარტიული ცხოვრება

მშრომელ ქალთა საერთაშორისო დღისათვის

(მომხსენებლებისათვის და სკოლებისათვის)

საბჭოთა ხელისუფლებამ თავისი არსებობის პირველი დღიდანვე მოსპო და გააუქმა ყველა ის კანონები, რომელიც ამცირებდა ქალს და გაცილებით უფრო უუფლებო მდგომარეობაში აყენებდა, ვიდრე მამაკაცს. საბჭოთა ხელისუფლება ამით არ დაკმაყოფილებულა: მან გააუქმა ყველა ის კანონები, რომელიც დაწესებული იყო მდიდრებისა და კაპიტალისტების მიერ ქალის დასამცირებლად, როგორიც იყო, მაგალითად: კანონი განქორწინებისა და მასთან დაკავშირებული ფორმალური მხარეების შესახებ, „კანონიერ“ და „უკანონო“ შვილების შესახებ და სხვა ასეთი უხეში კანონები, და მშრომელი ქალი სრულებით გაათანასწორა პოლიტიკური უფლებებით მშრომელ მამაკაცთან. ამით მშრომელ ქალს მიეცა სრული საშუალება სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში მონაწილეობის მისაღებად.

არც ერთ სხვა სახელმწიფოში კანონმდებლობის დარგში არ გაკეთებულა იმის ერთი მეასედიც, რაც გაკეთდა ჩვენს საბჭოთა რესპუბლიკებში ბავშვთა და ქალების შრომისა და დედობის დაცვის დარგში; არც ერთ სახელმწიფოში არ არსებობს, მაგალითად, ისეთი კანონი, როგორიც ჩვენში, სახელდობრ: თანასწორი შრომისთვის ქალმაც და კაცმაც უნდა მიიღონ თანასწორი სამუშაო ხელფასი.

მაგრამ მარტოოდენ ეს კანონები არ კმარა ჩაგვრა-მონობისაგან ქალთა სრული განთავისუფლების განსახორციელებლად. ჩვენ დაგვრჩა კიდევ ჩვენი ცხოვრების ერთი კუთხე, სადაც ჯერ კიდევ არ მომხდარა ქალის სრული განთავისუფლება და სადაც ქალი დღემდე დაჩაგრულ-დამცირებულ მდგომარეობაში იმყოფება. ეს არის ოჯახი და ოჯახური მეურნეობა.

გარდა ყანაში და მინდორში, ან კიდევ დაზგასთან მუშაობისა, მშრომელ ქალს ადევს კისერზე კიდევ ერთი დამატებითი შრომა—ოჯახის მოვლა და სამსახური, ოჯახური მეურნეობის შესრულება. გარდა იმისა, რომ ცალკე ოჯახური მეურნეობა უნაყოფოა, იგი მეტის-მეტად დამქანცველია ქალისთვის და იწვევს აგრეთვე მის მოწყვეტას საზოგადოებრივ მუშაობიდან, კარჩაკეტილობას და გონების დახლუნგებას. სწორედ ოჯახის მოვლა და ჯაფა იყო ყოველთვის ქალის მონობისა და დამცირების მთავარი მიზეზი და ასეთივე დარჩა იგი დღესაც, საბჭოთა კანონების დროსაც, რომელთა მიზანსაც შეადგენს მშრომელი ქალის უფლებით გათანასწორება მშრომელ მამაკაცთან.

ყოველთვის არ ყოფილა ქალი ოჯახის მონა. იყო დრო, როდესაც ქალი ფაქტიურად მამაკაცთან თანასწორი უფლებებით იყო აღჭურვილი. ეს იყო მაშინ, როდესაც ცალკე ოჯახური მეურნეობა არ იყო ჯერ კიდევ გამოყოფილი საერთო მეურნეობიდან, როდესაც ქალი ისეთივე როლს თამაშობდა ამ მეურნეობაში, როგორც მამაკაცი.

მაგრამ შემდეგ, როდესაც საზოგადოებრივი დანაწილების საქმე განვითარდა და გაღრმავდა, ოჯახური მეურნეობა გამოეყო საერთო საზოგადოებრივ მეურნეობას, უფრო და უფრო ჩამოსცილდა მას და ჩამოყალიბდა განცალკევებულ ოჯახურ მეურნეობად. ამას შედეგად მოჰყვა ქალის მოწყვეტა საერთო შრომიდან და იგი ჩაება განსაკუთრებით ოჯახურ მეურნეობაში და გადაიქცა მუდმივ დიასახლისათ, ერთგულ და მორჩილ ცოლათ, მთელი ოჯახის დაუღალავ ძიძათ და ქმრის ყურმოჭრილ მონათ. ქალის შრომა არ ფასდება, ოჯახის მოვლა და სამსახური მეტად უმნიშვნელო შრომათ გადიქცა მამაკაცის შრომასთან შედარებით: მამაკაცი ამუშავებდა მიწას, ან ეწეოდა ხელოსნობას, ჰქმნიდა აუცილებლად საჭირო და სასარგებლო საგნებს, მოჰყავდა ჭირნახული და თითონვე მიაჩნდა თავი და იყო კიდეც მის მიერ შექმნილი ღირებულების ბატონ-პატრონი; აქედან იგი გახდა ოჯახის ბატონ-პატრონიც და ცოლი გახადა თავის ყურმოჭრილ მონათ.

შემდეგ, კაპიტალიზმის განვითარებასთან ერთად მშრომელ ქალს კიდევ ახალი მონობის უღელი დაედგა კისერზე.

კაპიტალიზმმა შეუბრალებლად დაარღვია ოჯახი. პირველად მან მოსწყვიტა ოჯახს მამაკაცი, ჩამოაცალა გუთანსა და სახელოსნოს და აიძულა იგი წასულიყო მუშაობის საძებნელად და დაჭირავებოდა მემამულეს ან ქალაქის კაპიტალისტს, შესულიყო ქარხანაში სამუშაოდ. შემდეგ კაპიტალიზმმა მოსწყვიტა ოჯახს ქალიც, ბავშვებიც და ყველანი თავის სამსახურში ჩააბა. კაპიტალიზმმა შექმნა უმუშევრობა, მუდმივი ბრძოლა ლუკმა პურისათვის, მანვე წარმოშვა სილატაკე და მათხოვრობა, პროსტიტუცია, უპატრონო ბავშვები, ბოროტმოქმედნი, და მთელი სიმძიმე და გაჭირვება გადაიტანა უმთავრესად მშრომელ ქალმა.

ოქტომბრის რევოლიუციამ შესამჩნევად გამოუთხარა ძირი კაპიტალისტურ წყობილებას, მაგრამ მან ჯერ კიდევ ვერ შესძლო სრული თავისუფლება მიენიჭებია მშრომელი ქალისთვის, ვინაიდან საბჭოთა ხელისუფლებას უხდება მუშაობა მეტის მეტად მძიმე პირობებში. საუკუნოების განმავლობაში ჩამოყალიბებული და განმტკიცებული ოჯახური ყოფა-ცხოვრება, შექმნილი ადათი და ჩვეულებანი არ აძლევენ მას საშუალებას ერთი დაკვრით მოსპოს და გაანადგუროს ქალის დამჩაგვრელ-დამამცირებელი გარემოება, მისი ორმაგი მონობა. მაგრამ ოქტომბრის რევოლიუციამ ნათლად გვიჩვენა გამოსავალი ამ მდგომარეობიდან, მან შექმნა პირობები ამ მონობის ძირიან-ფესვიანად აღმოსაფხვრელად.

რაში მდგომარეობს ეს გამოსავალი?

გამოსავალი იმაში კი არ მდგომარეობს, რომ დაუბრუნდეთ უკანვე ძველ წყობილებას, როდესაც ქალი მიმაგრებული იყო კერაზე და წარმოადგენდა ქმრისა და საკუთარი ოჯახის ყურმოჭრილ მონას. ჩვენ არ შეგვიძლია უკან დაბრუნება, ვინაიდან ეს გამოიწვევდა კაპიტალიზმის აღდგენას, ოჯახის დარღვევას. იგი კვლავ შექმნიდა მშრომელი ქალისთვის ორმაგ მონობას—კაპიტალისტურსა და ოჯახურს.

არც იმაშია გამოსავალი, რომ მამაკაცს, ქმარს ჰქონდეს იმდენი შემოსავალი, რომ ცოლი მისი სარჩენი გახდეს და, მაშასადამე, გახდეს კვლავ მისი ყურმოჭრილი მონა.

მშრომელ ქალს არ სურს მონად ყოფნა, მას სძაგს მონობა, როგორიც არ უნდა იყოს იგი. მაშინ ჩვენ გვრჩება ერთად-ერთი გამოსავალი, რომელიც დაგვისახა ოქტომბრის რევოლიუციამ. ესაა—მშრომელი ქალის ბრძოლა კომუნისტური საზოგადოების განსახორციელებლად, კომუნისტური წყობილების დასამყარებლად.

ამ ბრძოლისთვის კი საჭიროა მშრომელი ქალის განთავისუფლება ოჯახის მოვლისაგან, ოჯახური მეურნეობის სიმძიმისაგან, რომელიც დღითი-დღე ხრწნის მას ზნეობრივად და ფიზიკურად.

ოჯახური მეურნეობა—უმთავრესი მტერია მშრომელი ქალისა; იგია მთავარი დამაბრკოლებელი მიზეზი თავისუფლების მოპოვების საქმეში.

ოჯახური მეურნეობისაგან თავის განსათავისუფლებლად მშრომელი ქალი უნდა სცდილობდეს ისეთი დაწესებულებების დაარსებას, რომელნიც გასწევენ მის მაგიერობას ოჯახის მოვლა-პატრონობის საქმეში და რომელთაც დაეკისრებათ სავსებით ოჯახურ მოვალეობათა შესრულება. საზოგადო სასადილოები, საზოგადო სამრეცხაოები, ძუძუმწოვარ ბავშვთა საზოგადოებრივი მოვლა, საბავშვო სახლები და ბაღები, „დედის სახლი“ და სხვა,—აი, ის დაწესებულებები, რომელთაც შეუძლიათ საქმით გაანთავისუფლონ ქალი ოჯახის მოვლა-პატრონობისაგან, ოჯახის სამსახურისაგან და ფაქტიურად გაათანასწორონ იგი მამაკაცთან.

ამ ღონისძიებათა განსახორციელებლად საჭიროა თვით მშრომელ ქალთა თავდადებული მუშაობა, მათი საქმიანი და მხურვალე მონაწილეობა საერთო მუშაობაში. მთელი თავისი ძალღონე უნდა შესწიროს მუშა-ქალმა ამ საზოგადოებრივ მუშაობას, ვინაიდან მხოლოდ ასეთი მუშაობა განთავისუფლებს ქალს ოჯახური მონობისაგან და მისცემს მას საშუალებას ისარგებლოს ჩვენი კულტურის ნაყოფით.

საზოგადოებრივ მუშაობაში მონაწილეობის გზით მშრომელი ქალი ფრიად მნიშვნელოვან სამსახურს უწევს კომუნიზმის დამყარების საქმეს. ოჯახური კარჩაკეტილობა, ცალკე ოჯახური მეურნეობა ახლუნგებს არა მარტო ქალის, არამედ ქმრისა და შვილების გონებასაც. მაგრამ, როდესაც ქალი დაადგება საზოგადოებრივი მუშაობის გზას, იგი ამით იზიდავს ამავე მუშაობისაკენ ქმარსა და შვილებს, იგი იზიდავს მათ აზრიან და ბედნიერ ცხოვრებისაკენ, ე. ი. კომუნიზმის განხორციელებისაკენ.

მხოლოდ აქტიური მონაწილეობის გზით საზოგადოებრივ და სახელმწიფო მშენებლობის საქმეში, მხოლოდ საზოგადო წესით ოჯახის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების გზით და ბავშვების საზოგადოებრივი აღზრდის მეოხებით შესძლებს მუშა ქალი ჩაგვრა-მონობისაგან სრული თავისუფლების მოპოვებას. სხვა გზა არ არსებობს ამისთვის.

ამიტომ საჭიროა მშრომელი ქალები შევიდნენ როგორც ქალაქის, ისე სოფლის საზოგადოებრივ ორგანიზაციებში და კომპარტიასთან ერთად იმუშაონ ამ ორგანიზაციებში ჩვენი ცხოვრების გადასახალისებლად კომუნიზმის საფუძველზე.

საბჭოთა ხელისუფლებამ გზა გაუკაფა მშრომელ ქალებს კომუნისტური საზოგადოების დამყარების საქმეში აქტიური მონაწილეობის მისაღებად. სამწუხაროდ, ასეთი არაა მშრომელი ქალის მდგომარეობა ბურჟუაზიულ ქვეყნებში, სადაც ბატონობს კაპიტალი.

იქ მუშა-ქალი ჯერ კიდევ იმას სცდილობს, რომ მოიპოვოს თანასწორი უფლებები მამაკაცთან საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის მისაღებად. იქ ჯერ კიდევ არაა გაუქმებული პოლიტიკური უთანასწორობა მამაკაცსა და ქალს შორის. იქ ჯერ კიდევ ამ უთანასწორობის წინააღმდეგ იბრძვიან მშრომელი ქალები და ბრძოლით სცდილობენ უხეში კანონების გაუქმებას და უთანასწორობის მოსპობას.

წელს, ისე როგორც წინა წლებში, 8 მარტის საზეიმო დღეს ბურჟუაზიულ ქვეყნების ყველა შეგნებული მუშა-ქალები გამოეფინებიან ქუჩებში და მოითხოვენ უფლებებს საზოგადოებრივ და სახელმწიფო მშენებლობაში მონაწილეობის მისაღებად.

ჩვენც, ს. ს. რ. კავშირის მუშა-ქალები, გამოვალთ აგრეთვე ამ საზეიმო დღეს ქუჩებში და თვალნათლივ დავანახვებთ მთელს ქვეყნიერებას ჩვენს ძალას, დავანახვებთ ყველას—როგორ გაიზარდენ და განმტკიცდენ ჩვენი რაზმები, რომელნიც იბრძვიან მსოფლიო კაპიტალიზმის დასამხობად და კომუნიზმის განსახორციელებლად.

ჩვენი სოლიდარობა და სიმტკიცე თავზარს დასცემს მსოფლიო ბურჟუაზიას.

მშრომელ ქალთა გაერთიანება მსოფლიოს პროლეტარ მამაკაცებთან კომინტერნის ხელმძღვანელობით ძირიან-ფესვიანად აღმოფხვრის კაპიტალისტურ წყობილებას და დაამყარებს საერთაშორისო ძმურ კომუნისტურ საზოგადოებას.

გაუმარჯოს ოჯახური მონობისაგან განთავისუფლებულ მშრომელ ქალს!

გაუმარჯოს მშრომელ ქალთა საერთაშორისო გაერთიანებას კომინტერნის დროშის გარშემო!

გაუმარჯოს კომუნიზმს—მშრომელი ხალხის საყოველთაო განთავისუფლებას!

გაუმარჯოს რვა მარტს—კომუნიზმისათვის მებრძოლ ქალთა საერთაშორისო დღეს!

საქართვ. კომპარტიის ცენტრალ. კომიტეტის მუშა-ქალთა და გლეხ-ქალთა შორის მუშაობის განყოფილების გამგე მარიამ ორახელაშვილი.

მე-11 კომუჯრედი

პარასკევს, 20 თებერვალს, შესდგა მე-11 კომუჯრედის მორიგი სხდომა უპარტიო ამხანაგების თანდასწრებით. დღის წესრიგში იდგა ამხ. სიმონ ჯუღელის მოხსენება წითელ ჯარში ტერიტორიალურ სისტემის შემოღების და მისი მნიშვნელობის შესახებ. მომხსენებელი გარკვევით აღნიშნავს ყველა იმ დადებით მხარეებს, რომლები უნდა მოჰყვეს ამ სისტემის ცხოვრებაში განხორციელებას, კერძოდ ხაზს უსვამს ტერიტორიალურად სისტემის მნიშვნელობას ჩვენი საბჭოთა რესპუბლიკის სოციალისტურ აღმშენებლობის საერთო საქმეში და ამბობს: „წითელ ჯარში ამ ახალი რეფორმის გატარებით ერთის მხრივ ჩვენ შევსძლებთ ხელი შეუწყოთ ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ-ფინანსიურად გაძლიერებას, ხოლო მეორეს მხრივ ამ სისტემის შემოღებით თვითეულ გლეხს და მუშას მიეცემა საშუალება თავის სახლთან, თავის სოფელში მიიღოს სამხედრო ცოდნა, სამხედრო მომზადება, რითაც შესაძლებელი გახდება გაწვრთნილი, ყოველმხრივ შეიარაღებული წითელი არმიის შექმნა მსოფლიო იმპერიალიზმისათვის სასიკვდილო ლახვარის ჩასაცემად“.

შემდეგ კრებამ მოხსენების გამო მიიღო სათანადო რეზოლიუცია.

დასასრულ უნდა ვსთქვათ, რომ აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ხშირ-ხშირად იმართებოდეს ასეთი ღია კრებები, რომ უფრო მჭიდროდ დაუახლოვდეთ უპარტიო მასებს.

პარტკორი პაა—ლი.

რამ დაგვღუპა და რა გვიხსნის

VIII *)

დიახ, ჩვენს სამშობლოს ასეთი სირცხვილი არასოდეს არ უნახავს. მრავალჯერ უხილავს მას მწარე დღეები, მაგრამ ამ ზომად მწარე და სამარცხვინო არასოდეს. მძიმე, მეტად მძიმე ტვირთად უნდა გვაწვეს ყველა ჩვენს მთელ ეხლანდელ თაობას. ეს საშინელი უბედურებაა. შევძლებთ თუ არა მის გამოსწორებას, დაკარგული თავისუფლების აღდგენას, საშინელი სირცხვილის ჩვენი ერისაგან წარხოცას? მთელს ერში ყველაზე უფრო მძიმეა ჩვენი პარტიის მდგომარეობა. ჩვენ გვაწევს ამ საშინელ დანაშაულის უდიდესი ნაწილი და ჩვენც მეტი თავგანწირვა, მეტი მამულიშვილობა დაგვჭირდება, რომ ეს დანაშაული ოდნავადაც მაინც გამოვისყიდოთ მომავალში. მე ვიცი, მე ვგრძნობ, როგორ სტანჯავს ამ ბრალდების სიმძიმე ბევრს ჩვენს ამხანაგს, ყველას, ვისაც შერჩენია იდეური სიწმინდე, იდეური პატიოსნება, ეს მძიმე დანაშაული უწამლავს ცხოვრებას. მაგრამ ჩვენს შორის ისეთებიც ბევრია, რომელნიც არაფერს ასეთს არ განიცდიან. მათ თუ რამ შეიძინეს ქვეყნის დაღუპვით, თორემ დაკარგვით არაფერი დაუკარგავთ. ზნეობა და პატიოსნება კი მათ აღარ შერჩენიათ. მათი ერთად ერთი ცდაა სხვადასხვა მანქანებით და ოინებით მიჩქმალონ დანაშაულის სიმწვავე, დაივიწყებას მისცენ ის. მათ კარგათ იციან, რომ ეს საზიანოა ეროვნულ განთავისუფლებისათვის, ეროვნული გაჯანსაღებისათვის. მაგრამ ეს ხელსაყრელია მათთვის, მათი პირადი ინტერესებისათვის.

მე კარგათ ვიცი, რომ ამ საშინელებათა მხილებას ისინი არამც თუ პარტიულ ღალატათ, არამედ ეროვნულ ღალატათ ჩაგვითვლიან. საბუთი ასეთი იქნება—ჩვენ შეცდომათა და დანაშაულთა გამომჟღავნება დააზიანებს ჩვენ განთავისუფლების საქმეს. რატომ დააზიანებს, ამას ისინი ვერ აგვიხსნიან. მე კი ვფიქრობ, რომ წარსულ შეცდომათა და შეცოდებათა მხილება, ჩადენილ დანაშაულებათა გამომჟღავნება მხოლოდ ხელს შეუწყობს იმ წრეების გაჯანსაღებას და განკურნებას, რომელნიც სავსებით მოწამლული არ არიან ანგარების საწამლავით. ხალხისათვის სიმართლის დამალვა სასარგებლოც რომ იყოს ჩვენი პარტიისათვის, ეს უმიზნო და შეუძლებელიცაა, რადგან ხალხმა ჯერ კიდევ ჩვენ დროს შეიგნო მრავალი ჩვენი შეცდომა და, ეროვნული კატასტროფის შემდგომ, აბა რამ უნდა დააჯეროს იგი ჩვენი პოლიტიკის სიმართლეში. უცხოთა წინაშე დასაფარავი არაფერია, ვინაიდან მათ ჩვენი უბედურების მიზეზები კარგათ იციან და თუ რასმეს დავფარავთ, ეს ყოველივე ჩვენს ერს დაატყდება თავს მძიმე ბრალდებათ. უცხოელთათვის ორში ერთი იქნება უდაო: ან ჩვენ დავღუპეთ შემცდარი პოლიტიკის მიზეზით და ეს კიდევ არ მოასწავებს ჩვენი დამოუკიდებლობის იდეის დასამარებას, ან და პოლიტიკა იყო სწორი და მაშინ ერი გამოდის სუსტი, უძლური და თავისუფლებისთვის მოუმზადებელი. ზოგიერთს პარტიულ ნიღაბამოფარებულ კაცუნებისთვის იქნებ უმჯობესია, რომ უცხოელებისათვის ასე გამოიყვანონ ჩვენი ეროვნული სახე; ხოლო ყველა თავისი ერის მოყვარული ვალდებულია თავიდან ააშოროს ერს ის ბრალდებანი, რომელიც მას კი არ ეკუთვნის, არამედ ერის მცირე ნაწილს, პარტიას თუ ჯგუფს.

არა ერი პარტიისთვის, არამედ პარტია, ჯგუფი და პიროვნება ერისათვის. დროა, შევიგნოთ ეროვნული პოლიტიკის ეს ანბანური ჭეშმარიტება.

ჩვენს პარტიას შინაურობაში, ვიწრო პარტიული პოლიტიკის გასამართლებლად, ერთად ერთი საბუთი მოჰყავთ: ძალა-უფლება რომ არ აგვეღო ჩვენ, ან პარტიული პოლიტიკა შეგვეცვალებინა, ვის შეეძლო ჩვენი ადგილის დაჭერა, რომელ პარტიას ჰყავს ჩვენისთანა მომზადებული პირები. უეჭველად შეიძლება იმოქმედოს ასეთმა კვეხნამ, მაგრამ ვინც იცნობს ჩვენ პარტიულ ძალებს და იცის რა იყვნენ ჩვენი ეხლანდელი მეთაურები რევოლიუციამდე და რა არიან ისინი დღეს, იმისთვის ამ აზრის უსაფუძვლობა აშკარა იქნება. ჩვენ კარგათ გვახსოვს, რამდენათ ნაკლებად პოპულიარული იყვნენ რევოლიუციამდე ჩვენი მეთაურები ფართო საზოგადოებაში და რასაკვირველია, სრულიად გამოუცდელი სახელმწიფოებრივ მუშაობაში. რევოლიუციის დროს პარტიული ადმინისტრაციის მიერ პარტიაში შემორეკილი ხალხი ხომ ვერაფერს შეჰმატებდა პარტიულ შემოქმედებას! საზოგადოთ, მთელ საქართველოში რომ ყოვლად უვარგისი პირები ამოგვერჩია და მათთვის ჩაგვებარებინა ძალა-უფლება, ნუ თუ შესაძლებელია, რომ ამაზე უფრო სარცხვინო ყოფილიყო მათი მუშაობის შედეგი და ბოლო. არა, ჩვენ არა გვაქვს უფლება ასეთი ცუდი წარმოდგენისა ვიყვეთ ჩვენ ხალხზე. თუ რევოლიუციის დროს ყველგან და ყოველთვის ჩვენ ვხედავთ ყველა საქმის სათავეში, ეს, რასაკვირველია, არ ნიშნავს, რომ ჩვენს ერს სახელმწიფო მმართვა-გამგეობისათვის უფრო წესიერი და გამოცდილი ხალხი არ მოეპოვოს.

ჩვენი ერის და თვით ჩვენი პარტიის ინტერესები მოითხოვს, რომ ეროვნულ ცხოვრებაში ყოველ ჯგუფს და ყოველ პარტიას თავისი ძალისა და უნარის შესაფერი ადგილი უნდა დაეთმოს. ჩვენ პარტიას, როგორც მშრომელთა ინტერესების დამცველ პარტიას, მუდამ ექნება თავისი მიზანი და დანიშნულება. ის უნდა განიწმინდოს ისეთი ელემენტებისაგან, რომელნიც პირადი კარიერისა და ანგარებისათვის უერთდებიან მას. ასეთ ელემენტებს მხოლოდ ზიანი მოაქვთ პარტიისათვის და სახელს უტეხენ მას და ხშირად მძიმე დანაშაულობასაც აკისრებენ თავის ხალხის წინაშე.

როგორი უნდა იყოს მომავალში მუშაობა და პოლიტიკა ჩვენი პარტიის ერთგულთა და იდეურათ ნამდვილ მიმდევართა? რა გზას უნდა დავადგეთ, რომ მომავალში მაინც გამოვასწოროთ ჩადენილი საბედისწერო შეცდომანი და მით ქვეყნის და მშრომელი ხალხის საქმე გამოვასწოროთ.

მწარე გამოცდილებით ჩვენ უკვე გავეცანით მთელი ევროპის მუშათა კლასის მოძრაობის თვისებები, ფსიქოლოგია და მათი სიტყვის და საქმის შორის სხვადასხვაობა. ცხადია, ჩვენ მათ გარდა სხვა მოკავშირეებიც გვჭირდებოდა და გვჭირდება. საქართველოს სახელმწიფო ისეთი მეზობლებით არის გარშემორტყმული, რომ მას სჭირია დაიკავოს მჭიდრო კავშირი და ურთიერთობა არა მარტო ევროპის მუშათა კლასთან, არამედ ევროპის სახელმწიფოებთან, რათა შესძლოს ეროვნული დროშის მფარველობის ქვეშ ჩვენი თავდაცვა ზნეობრივათ, კულტურულათ და პოლიტიკურათ განვითარება და სოციალიზმამდე მიღწევა. სხვა გზები კეთილ-ცხოვრებისათვის ყველა უარყოფითი, პრუნდე, საეჭვო და სახიფათოა ხალხისათვის. ამიტომ კარგათ უნდა ვიცოდეთ, რომ საქართველოს თვითეულ მცხოვრების, ჩვენი პარტიული ამხანაგების, მეგობრებისა და მეზობლების ოჯახისა და საერთოდ ყველას ბედნიერება, კეთილდღეობა, სიცოცხლე და მშვიდობიანობა დამოკიდებულია ჩვენი ეროვნული სახელმწიფოს სიმდიდრეზედ და სიძლიერეზედ.

ქართველი ხალხის მთელი ფიზიკური ძალა, ენერგია, ცოდნა და ქონება დამოუკიდებელ რესპუბლიკანურ სახელმწიფოს აღსადგენ-ასაშენებლად უნდა იქნას მიმართული. მხოლოდ კულტურულად განვითარებული, ეკონომიურად მდიდარი და ფიზიკურად ძლიერი საქართველოს სახელმწიფო იქნება ჩვენი მშრომელი ხალხის გონებრივი და ფიზიკური კეთილდღეობისა და ბედნიერების განმახორციელებელი.

მაშასადამე არ უნდა დავივიწყოთ, რომ ყველა ქართველისათვის ყველგან და ყოველთვის პირველ კითხვად ჯერ საზოგადო, სახელმწიფო ინტერესები უნდა იყოს და შემდეგ პარტიული, კერძო და პირადი საკითხები.

აი ჩვენი თანამედროვე ლოზუნგები და საერთო შრომისა და ბრძოლის გზა. ამ რიგათ უნდა იბრძოდენ სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წევრები, მთელი ხალხის ქონებრივი და კულტურული ცხოვრების უკეთესათ მოსაწყობათ, ყველასათვის თავისუფლების და მდიდრული ცხოვრების მოსაპოვებლად.

მაგრამ ამ ბრძოლაში სასტიკათ უნდა დაცულ იქნეს ხალხის ზნეობრივი, კაცთ-მოყვარეობის პრინციპები, მიუდგომელი მართლ-მსაჯულობა და სამართლიანობა. საზოგადოებრივ შრომაში და კერძო ცხოვრებაში ყველა ჩვენმა ამხანაგებმა და მთელმა ხალხმა უნდა უარჰყოს ყოველგვარი კერძო, ჯგუფური და ნათესაური ინტერესებისადმი დამონავება. ჩვენთვის უნდა არსებობდეს მხოლოდ ხალხისა და სახელმწიფოს ინტერესები.

ამ მიზნის მისაღწევათ ჩვენი პარტიის მეთაურებისათვის უსათუოდ სავალდებულო უნდა იქნეს მუდამ განუშორებლად ხალხის გვერდით ყოფნა; ასე რომ, ვიდრე ღარიბი ხალხი ნახევრად მშიერია, ჩვენც მასთან მშიერი უნდა ვიყოთ. ვიდრე ხალხი ნახევრად ჩაცმული და ძველ ტანისამოსშია, ჩვენც მასთან ძველი ტანისამოსით უნდა ვიყოთ; ვიდრე ხალხი უვარგის ბინებში და ქოხებში სცხოვრობს, ჩვენც მასთან ქოხებში უნდა ვიცხოვროთ; ვიდრე ხალხი მეოთხე კლასის ვაგონებით და ურმებით მოგზაურობს, ჩვენც უნდა ვერიდოთ ექსპრესებზე და ავტომობილებზე სახალხო ქონების ფლანგვას.

ჩვენ უნდა მოვიკლოთ და შევწიროთ საზოგადოებრივ სწავლა-განათლების საქმეს და ახალ თაობის კარგათ აღზრდას.

ჩვენ უნდა მოვიკლოთ და შევწიროთ სამშობლოს დამცველ ჯარების უზრუნველყოფას და სახელმწიფოს მმართველობის ინტერესებს.

ასე რომ თვითეული სოციალისტის შრომაზე, შეწუხებაზე, ტანჯვაზე და მსხვერპლზე უნდა ავაშენოთ ხალხის სიამოვნება, სიყვარული და ბედნიერება.

როდესაც ბრძოლისა და შრომის ნაყოფით სახელმწიფოს ისე მოვაწყობთ, რომ მთელი ხალხი შემოსილი იქნება; როდესაც ხალხი ურმების მაგიერ ავტომობილებით და კარგი მატარებლებით დაიწყებს მგზავრობას; როდესაც მშიერი ხალხი გაძლიერდება და ლუკმა-პურს მოიპოვებს; როდესაც ხალხი მდიდრულად მოეწყობა,—ჩვენც მასთან ერთად მხოლოდ მაშინ გავაუმჯობესებთ ცხოვრების პირობებს და ხალხთან ერთად თანასწორობით წავალთ წინ.

ამას გვიკარნახებს ჩვენ ჩვენი პარტიის მიზანი და მისწრაფება, ამას მოითხოვს ჩვენგან იმ მუშათა კლასის ინტერესები, რომლის მებაირახტრეთ მიგვაჩნია ჩვენი პარტია. აი მხოლოდ ამ გზით, იდეური სიწმინდით გაშუქებულ მოღვაწეობით შეგვიძლიან ჩვენ მშრომელთა კლასის მფარველობა და დახმარება.

მხოლოდ ამ გზით შეგვიძლიან ჩვენ დაშვებულ შეცდომათა და დანაშაულობათა გამოსყიდვა და ეროვნულ თავისუფლების დაბრუნება.

დე, უფრო მცირერიცხოვანი იყოს ჩვენი პარტიული რაზმები, მაგრამ მტკიცე და ძლიერი თავისი ეროვნული შეგნებით, სინდისით და პატიოსნებით! მაგრამ ჩვენი მუშაობა არასოდეს არ უნდა აზიანებდეს ეროვნულ საქმეს, მთელი ხალხის ინტერესებს. წარსულის და აწმყოს შესწავლა და მომავლის გათვალისწინება უნდა გვარწმუნებდეს ჩვენ, რომ ვიწრო პარტიული, ვიწრო ჯგუფური პოლიტიკა ადვილათ დაღუპავს აშენებულ სახელმწიფოს, მაგრამ ვერასოდეს ვერ ააშენებს მას.

დაქსაქსული, დაშლილი ეროვნული ძალების გაერთიანება შეიძლება მხოლოდ ისეთი დროშის ქვეშ, რომელსაც ეწერება: ყველა პატიოსან მამულიშვილების გაერთიანება ერის განთავისუფლებისა და აღდგენისათვის! ყველა ჯგუფური და პარტიული უთანხმოების დავიწყება საერთო ეროვნულ მიზნისათვის! ყველა ჯგუფები და პარტიები ერისათვის და მხოლოდ ერისათვის!

დასასრულ, მკითხველის საყურადღებოდ დავსძენ: ჩვენი პარტიის ბევრს ამხანაგს ეწყინება ამ პატარა წიგნის გამოშვება და ზოგიერთნიც ამხედრდებიან ჩემს წინააღმდეგ, ვინაიდან მათი აზრით პარტიული დისციპლინა დავარღვიე. მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ ბევრსაც სიამოვნება და თანაგრძნობას როგორც წინეთ, ეხლაც გამოიწვევს. ყოველ შემთხვევაში, ამის გამოქვეყნებით მე ერთხელ კიდევ ვიხდი ჩემს სამართლიან და სინდისიერ მოვალეობას, რათა იქნეს: **ქმნა მართლისა სამართლისა,** არა მარტო პარტიის წინაშე,—ამ თქმულებისა სახებრ: **მოყვარეს პირში უთხარი, მტერს პირს უკანაო,**—არამედ ქართველ მშრომელ კლასისა, ყველა პატიოსან ქართველ მოღვაწისა, მთელი ქართველი ერის და ჩვენი განწირული, ტანჯული და დამონავებული სამშობლოს წინაშე.

ვანო ალიხანიშვილი.

---

*) დასასრული. იხილე „კომუნისტი“ №№ 45, 47, 43.

ს. ს. ს. რ. სახ. კომისარიატის საინფორმაციო-განყოფილების ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

იურიდიული რჩევა დარიგება

მეზობლის ეზოდან წყლით სარგებლობის წესი

კითხვა

ვცხოვრობ პარკოვის ქუჩაზე № 30. ს ეზოში არ არის წყალი. ვარ ნაზე პოლიტექნიკური სასწავლებ ის. გაფუჭებული მილის გაკეთებას ჭირდება ბევრი ფული, რომელიც ც არ მაქვს. არის წყალი № 28 სახლის ეზო ბ. გთხოვთ განმარტებას მაქვს ფლება თუ არა ვხარჯო წყალი მე ბლის ეზოდან დახარჯულ წყლის ფასურის გადახდით.

ალ. მსხილაძე.

პასუხი

თუ თქვენს მეზობელს შეუთანხმდე ით და წყლის ფულსაც გადიხდით, ქვენ გაქვთ უფლება ისარგებლოთ ლით მეზობლის ეზოდან.

შეკითხვა

წლევანდელმა ყინვებმა დიდათ დაზიანეს და გააფუჭეს წყლის საზომები და მილები.

გუნიბის ჩიხის № 8 სახლის წყლის საზომიც მთელი იანვრის თვეში არ მუშაობდა. ის დაკეტილი იყო. ამიტომ წყლით სარგებლობის საშუალება ჩვენს ეზოში მოსპობილი გვქონდა. ჩვენ იძულებული ვიყავით მეზობლისთვის თითო ვედრო წყალში ½ კ. გვეძლია არამც თუ მთელ იანვრის თვეში, თებერვლის 15-დეც (თუ მეტი არა), სანამ ჩვენ არ შევაკეთეთ ის. ალმასკომის წყალსადენმა ეს იცოდა, მაგრამ იანვრის ანგარიში წყლის ფულის გადახდაზე მაინც გამოგვიგზავნეს.

გთხოვთ განგვიმარტოთ, რისთვის გვახდევინებენ ფულს, როცა ჩვენი წყლისსაზომი არ მუშაობდა.

ვალდებული ვართ თუ არა წყალსადენს იანვრის თვეში გაუსწოროთ ანგარიში.

მეთვალყურე.

პასუხი

წყლის ფულს იხდიან მოქალაქენი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კი ისინი ნამდვილად წყალს ხარჯავენ და იმის მიხედვით, თუ რამდენი დახარჯეს მათ წყალი, მუშა-მოსამსახურენი, კავშირის წევრები დახარჯულ წყლის თითოეულ ვედროზე იხდიან **—კაპეიკის ერთ მეოთხედს**, დანარჩენი—მოქალაქენი თითოეულ ვედროზე **ნახევარ კაპეიკს.** თუ კი თქვენ სახლში წყალსაზომის უვარგისობის გამო წყალი დაკეტილი იყო და თქვენ წყალი არ დაგიხარჯავთ, რაც იმთავითვე ეცნობა ქალ. წყალსადენს მაშინ თქვენ წყლის ფული სრულეით არ გადაგხდებათ, მით უმეტეს, რომ წყალსაზომი, რომლის დადგმა და შეკეთება ალმასკომის მოვალეობაში შედის, და შეაკეთე თვითონ თქვენ.

ვის უნდა მივსცე ბინის ქირა

კითხვა

მე ვცხოვრობ სასამართლოს ქუჩაზე სახ. № 16 და ოთახი მომაქირავა მდგმურმა, რომელმაც წინდაწინ გამომართვა ერთი თვის ქირა—15 მანეთი და ეხლა მთხოვს 2 თვისას—30 მანეთს, რომლის გადახდა მე არ შემიძლია, ვინაიდან ვარ პროლეტარი-სტუდენტი. არავითარ სამსახურში არ ვარ, გთხოვთ განმარტებას, ვის მივსცე ბინის ქირა და რამდენი. ოთახის სივრცე უდრის 12 კვად. არშინს.

სახ. უნივ. **სტუდ. ივანე გაბუნია.**

პასუხი.

ა | წ. პირველ მარტიდან ბინის ქირად იხდით თითოეულ კვად. **არშინზე ერთ შაურს,** თუ ვერ წარუდგენთ სახლის პატრონს **სიღარიბის მოწმობას** სათანადო სამილიციო უბნიდან.

ბინის ქირა უნდა მისცეთ სახლის პატრონს და არა მდგმურს.

აქვთ თუ არა უფლება ბინიდან გამოგვასახლონ

კითხვა

ორი კვირაა, რაც მე და ჩემი ამხანაგი ვცხოვრობთ კვირაცხოვლის ქუჩაზე № 32. ძლივს ვიშოვეთ ეს ოთახი, მაგრამ ბოლოს გამოირკვა რომ ეს ბინა ყოფილა სამხედრო კომენდანტის განკარგულებაში, რომელიც მილიციის საშუალებით სცდილობს ოთახის წართმევას. მილიციაც ყოველ-დღე მოდის და ოთახის დაბეჭდვით და ბარგის ქუჩაში გადმოყრით გვემუქრება.

გთხოვთ გვიპასუხოთ—აქვთ თუ არა უფლება ბარგის გარედ გამოყრის და ოთახის დაბეჭდვის?

და თუ აქვთ, მოვალენი არიან თუ არა სხვა ოთახი მოგვცენ?

მეორე შრ. სკოლის მოწაფე ლადო **თუთაშვილი.**

პასუხი

თუ აღნიშნული ოთახი შედის საცხოვრებელ ბინათა სამხედრო ფონდში, თქვენ ვალდებული ხართ მოთხოვნილებისათანავე დაუცალოთ იგი სამხედრო უწყებას; წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენი გამოსახლება შეიძლება მხოლოდ სასამართლოს წესით.

განქორწინებულთა ბავშვების უფლებების შესახებ

კითხვა

ა | წ. 15 იანვარს სხვადასხვა მიზეზების გამო განვშორდი ცოლს კანონიერად, ორივე მხარის ნებაყოფლობით. მხოლოდ სადავოდ დაგვრჩა ორი წლის ბავშვი, რომლის ნახვის უფლებას არ მაძლევს ყოფილი ცოლი და არც ღებულობს ჩემგან საზრდოს ბავშვისათვის, თვითონ კი (როგორც სჩანს სარწმუნო წყაროებიდან) თხოვდება.

გთხოვთ განმიმარტოთ: განქორწინების **შემდეგ შვილი რჩება თუ არა მამის კანონიერ შვილად.**

შეუძლია თუ არა მამას სურვილისამებრ ინახულოს შვილი და მიაწოდოს მას სარჩო, რომ ბავშვი არ ჩავარდეს გაჭირვებულ მდგომარეობაში.

ყოფილი ცოლი ემსახურობს ავჭალის შრომის სკოლის მასწავლებლად და ღებულობს ჯამაგირს 25 მანეთს, რითაც ვერ შესძლებს ბავშვის რჩენას.

კავშირის წევრი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის მდივანი.

პეტრე გუგუნავა.

პასუხი

საბჭოთა კანონმდებლობაში არ არსებობს არავითარი განსხვავება უფლებების მხრით ე. წ. „კანონიერ“ და „უკანონო“ შვილებს შორის, რადგანაც ყველა ესენი სრულუფლებიანი და თანასწორნი არიან ყოველგვარ უფლებებში. ბავშვების ნამდვილ მამად ითვლება ის, ვისაც ასე სცნობს ბავშვის დედა და გატარებულია მოქალაქობრივ მდგომარეობის აქტებში სათანადოდ. ბავშვი ატარებს მშობელთა იმ გვარს, რომლითაც **ისინი გატარებული არიან „მმაჩ“-ში. როდესაც ქორწინება** ისპობა განქორწინებით, ან გაბათილებით, მშობელთა შეთანხმებაზეა დამოკიდებული, თუ რომელი გვარი უნდა ატარონ შვილებმა.

თუ ამაში მშობელთა შორის შეთანხმება არ მოხდება, მაშინ ადგილობრივი სახალხო მოსამართლე აწესებს გვარს და თუ მათ შორის დავა ატყდა, მაშინ ადგილობრივ სახალხო სასამართლო აწესებს ბავშვის გვარს.

თუ მშობლები ერთად არ სცხოვრობენ, მაშინ მათ შეთანხმებაზეა დამოკიდებული, თუ რომელ მათთაგანთან უნდა იცხოვრონ მცირე წლოვანმა ბავშვებმა.

თუ ამაში შეთანხმება არ არსებობს, სადავო საკითხს გადასწყვეტს ადგილობრივი სახალხო სასამართლო.

(იხ. დეკრეტი № 28 მუხ. 104, 90, 108. 109 და 121).

მშობლები მოვალენი არიან იზრუნონ თავიანთ მცირეწლოვან შვილებზე, მათ აღზრდაზე და მომზადებაზე სასარგებლო მოღვაწეობისათვის.

მშობლების უფლება შვილზე ვრცელდება—17 წლამდე ვაჟისთვის და ქალზე 15 წლამდე.

მშობლები ერთად **ანხორციელებენ თავიანთ უფლებებს შვილზე.**

მშობელთა უთანხმოების დროს ყოველგვარი სადავო საკითხი მათივე მონაწილეობით უნდა გადაწყდეს ადგილობრივ სახალხო სასამართლოში. **(იხ. იქავე მუხ. 112, 113, 114, 115 და 119).**

გარდა ამისა თქვენ არამც თუ გაქვთ უფლება, არამედ ვალდებული ხართ მისცეთ საზრდო თქვენს ბავშვს.

ბავშვის დედ-მამად ითვლებიან ისინი, ვინც არიან ჩაწერილი მშობლებად დაბადებულთა წიგნაკებში (იხ. იქავე მუხლი 105).

ბიბლიოგრაფია

ინჟ. ვ. კაკაბაძე. „ქიმიური ომი და მშვიდობიანი მრეწველობა“ თბილისი, 1925 წ. ფასი 50 კაპ.

ამას წინედ გამოვიდა ინჟ. ვ. კაკაბაძის წიგნი „ქიმიური ომი და მშვიდობიანი მრეწველობა“, რომელიც ქართულ ენაზე პირველ ნაშრომს წარმოადგენს ამ საჭირბოროტო საკითხზე. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა ფედერაციაში „ქიმმეგობარი“ ეწევა გაცხოველებულ მუშაობას, საქართველოს ფართო მასებში მხოლოდ ეხლა იწყება მუშაობა ქიმიური ომის და მასთან დაკავშირებული საკითხების გასაცნობად და სათანადო პრაქტიკული ნაბიჯების გადასადგმელად.

ავტორი მოგვახსენებს; რომ დაარსებულია საქართველოში „ქიმიის მეგობართა საზოგადოება“. რომ „ამ საზოგადოებას მეტად საყურადღებო მიზნები აქვს დასახული და საჭიროა მას ყველა დიდის თანაგრძნობით მოვეპყრათ“; რომ მის „მუშაობაში უნდა ჩავაბათ მოსახლეების ფართო წრეები“; რომ „ყველა, ვინც ამ საზოგადოებაში აქტიურ მონაწილეობას მიიღებს, ის ხელს შეუწყობს მშვიდობიანი ქიმიური მრეწველობის განვითარებას და ამასთანავე ქვეყნის ქიმიური თავდაცვის ორგანიზაციას“.

ავტორი მარტივი და გასაგები ენით ეხება მრავალ საყურადღებო საკითხებს. აქ აწერილია ფეთქადი ნივთიერებანი, გერმანიის და სხვა ქვეყნების ქიმიური მრეწველობის მდგომარეობა, ქიმიურ საშუალებათა მოხმარების პირველი ნაბიჯები, ქიმიური საბრძოლო ნივთიერებანი და ომში გამოყენებული სხვა საშუალებანი, საბრძოლო აირებიდან თავდაცვა, მომავალი ომი წარსულთან შედარებით, მშვიდობიანი მრეწველობის განვითარების საჭიროება და ამ განვითარების შესაძლებლობა საქართველოში და სხვ.

ინჟ. ვ. კაკაბაძე თავის წიგნში ნათლად გვისურათებს იმპერიალისტური სახელმწიფოების თვალთმაქცობას: „შავი, შემზარავ ფერადებით გვისურათებდენ ქიმიურ ომს იმპერიალისტები მაშინ, როდესაც თავს ამ მხრივ სუსტად გრძნობდენ; დღეს, როდესაც ცოტად თუ ბევრად მოღონიერდენ, იმავე საქმეს მომხიბლველ, თვალწარმტაც ფერადებით გვიხატავენ... მაგრამ რა ხასიათისაც არ უნდა იყოს ომი, მის სილამაზეში და მომხიბლველობაში დღეს ვერავის დაარწმუნებენ“ და სხვა.

ავტორი ეხება საქართველოს ბუნებრივ სიმდიდრეს და იმ შესაძლებლობას, რომელსაც ის იძლევა; გარკვეულად აღნიშნავს იმ კავშირს, რომელიც არსებობს სამხედრო და მშვიდობიან მრეწველობის შორის და დასძენს: „ამოცანა შესდგება იმაში, რომ გვექნეს ქიმიური მრეწველობა მშვიდობიანი დროის, ე. ი. ისეთი, რომელიც გამოსადეგია ქვეყნის მეურნეობისათვის, და რომ მან შესძლოს სწრაფად გადაიქცეს მრისხანე სამხედრო ქარხნებად გაცემული ბრძანების თანახმად. რომ ეს შესაძლებელია და რომ ეს სწორედ ასე უნდა მოხდეს, საუცხოვოდ დაამტკიცა გერმანიამ წარსულ ომში“.

სასურველი და საჭირო იყო მხოლოდ ავტორს მეტი ადგილი დაეთმო „ქიმიური შეტევის და საბრძოლო აირების თავდაცვისათვის“. როგორც თვით ავტორი ამბობს, „ბუნების კანონის მიხედვით ყოველივე მოქმედება წინააღმდეგ მოქმედებას იწვევს“, რომ „რაიმე საბრძოლო საშუალების გამოყენების დროს უნდა მაშინვე შემუშავებული იქნეს მისი საწინააღმდეგო საშუალებაც, თორემ უამისოდ მისი გამოყენება მომხმარებლისთვის შეიძლება სახიფათო შეიქნეს“. ეს დებულება კიდევაც დამტკიცდა წარსულ ომში: არ იყო გამოგონილი ისეთი საწამლავი ნივთიერება, რომლის წინააღმდეგ აირწინაღი რომ არ გამოენახათ. ბუნება თითქოს დასცინის ადამიანის უძლურებას: უბრალო ხის ნახშირი აირწინაღში მოთავსებული იჭერდა თითქმის ყველა წარსულ ომში ცნობილ აირებს. მართალია, აირწინაღს ბევრი ნაკლი აქვს, მაგრამ მან მაინც გადაარჩინა არა ერთი და ორი მილიონი ახალგაზრდა. ქიმიური ომის განვითარებამ გამოიწვია თავდაცვითი საშუალებათა განვითარებაც. ჯარის ნაწილი, რომელმაც არ იცის აირწინაღების ხმარება, წინდაწინ განწირულია დასაღუპავად. ვინაიდან აირწინაღებში ყოფნა დიდი ხნის განმავლობაში ძნელია და თან ჯარის ნაწილებს დასვენება ესაჭიროება,—აუცილებელია საომარ უბნებში თავშესაფარების მოწყობა ან ადგილობრივი შენობების ასეთებად გადაქცევა.

ეს საჭიროა აგრეთვე მშვიდობიანი მცხოვრებთათვისაც. „არავითარი აირი არ არის საშიში, თუ კი გვაქვს აირწინაღი“... ეს უნდა შეიგნოს ყველამ და ამ მხრივ მუშაობა აწარმოვოს.

ინჟ. ვ. კაკაბაძის წიგნი შეიცავს მრავალ სტატისტიკურ ცნობებს, სქემებს და ცხრილებს. წიგნი დასურათებულია.

სასურველია ამ წიგნის ფართო მასებში გავრცელება.

კ. რ—ა.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

საქ. მ | გ. ინსპექციასთან არსებულ საშტატო კომისიისა 14 თებერვალი 1925 წ.

სავაჭრო და სამეურნეო დაწესებულებათა შტატების ნორმების დამყარების შესახებ.

§ 1. მიეცეს წინადადება ყველა რესპუბლიკანურ სავაჭრო და სამეურნეო დაწესებულებებს, რომლებიც იმყოფებიან საქართველოს ტერიტორიაზე, შეიმუშაონ თავიანთი შტატების მტკიცე პროექტები ამა დადგენილების გამოქვეყნების დღიდან სამი კვირის განმავლობაში, წარმოადგინონ განსახილველად და დასამტკიცებლად მ | გ. ინსპექციის საშტატო კომისიაში.

§ 2. მტკიცე შტატების პროექტებთან ერთად, რომლებიც ნაჩვენებია ამა დადგენილების § 1-ში, ორგანიზაციებს ევალებათ წარმოადგინონ:

ა) დებულება ან წესდება ამა თუ იმ ორგანიზაციისა და მისი სტრუქტურის სქემა;

ბ) ყველა არსებული ინსტრუქციები, წესები და სხვა ამგვარი მასალები, რომლებიც განსაზღვრავენ და აწესრიგებენ ფუნქციებსა და მუშაობის მეთოდებს როგორც ორგანიზაციის ცალკე ნაწილებისა, ისე მისი თანამშრომლებისა.

გ) მასალები ამა თუ იმ ორგანიზაციის ნაწილების და ცალკე თანამშრომელთა დატვირთვის ნორმების და რაოდენობის შესახებ;

დ) მასალები ზედმეტი მუშაობის შესახებ უკანასკნელ 6 თვის განმავლობაში ნაწილებში და ცალკე თანამდებობებზე, მათი რაოდენობა (საათები და საფასური).

ე) ცნობები დაწესებულ და ფაქტიურ გაცემულ ხელფასის რაოდენობის შესახებ ყოველ ცალკე არსებულ თანამდებობათა მიხედვით;

ვ) ცნობა შტატების შესახებ, რომელიც არსებობს უკანასკნელ ორი წლის განმავლობაში და მათი შეცვლის მიზეზების შესახებ, თუ კი ამგვარ ცვლილებებს ჰქონდა ადგილი.

§ 3. 1 §-ში აღნიშნული სავაჭრო და სამეურნეო დაწესებულებები, რომლებიც იმყოფებიან აფხაზეთის, აჭარისტანის და სამხ. ოსეთის ტერიტორიაზე, თავიანთ მტკიცე შტატების პროექტებს არდგენენ საქ. მ | გ. ინსპექციის საშტატო კომისიაში ამ რესპუბლიკებში საქ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის რწმუნებულთა სამმართველოების მეოხებით და თანდასკვნით.

მასალები წარმოდგენილი უნდა იქნეს:

ა) მტკიცე შტატების პროექტი—5 ეკზემპლიარი.

ბ) დანარჩენი მასალები—თითო ეკზემპლიარი.

საშტატო კომისიის თავმჯდომარე:

მ. კვარაცხელია.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოების მესამე რაიონული საბჭო იტყობინება, რომ კვირას, 1 მარტს, დილის 9 საათზე, მესამე რაიონის [illegible] შენობაში [illegible] რაიონულ საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა.

დღის წესრიგი:

1. დვორიანოვის მოხსენება საქართველოს საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოების შემდეგი მუშაობის გეგმის შესახებ.
2. ხეჩინოვის მოხსენება—სპორტსექციები.
3. ქალაქის საავადმყოფოს უჯრედის მდივნის ანგარიში.
4. საპნის და ზეთის ტრესტის უჯრედის მდივნის ანგარიში.
5. 1 ქართული პოლკის უჯ. მდივნის ანგარიში.

სავალდებულოა რაიონულ საბჭოს ყველა წევრების და საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოების უჯრედთა მდივნების დასწრება.

— წინადადება ეძლევათ ქვემოთ ჩამოთვლილ ამხანაგებს სამი დღის განმავლობაში დღიდან ამა განცხადებისა გამოცხადდენ ც. კ. სააღრიცხვო-განმანაწილებელ განყოფილებაში: 1) აველისოვი ხორენი, 2) ქაჯარიშვილი მალხაზი, 3) დემეტრაშვილი სოლომონი, 4) შავერდოვა სუსანა, 5) მატინიანცი კონსტანტინე, 6) ბაბაჯანოვი ლ. ალ., 7) ნიკიტინი ნიკოლოზი, 8) ნარჩემაშვილი ვარლამი.

— დღეს, კვირას, 1-ლ მარტს საღამოს 5 საათზე ცენტრალურ მუშათა კლუბში დანიშნულია ქართული ჯგუფის ქალთა კორესპონდენტების სხდომა.

დასწრება ყველა ზემოაღნიშნულ კორესპონდენტების სავალდებულოა.

— საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი იუწყება, რომ ქალთა საერთაშორისო დღის, 8 მარტის ჩასატარებლად მეორე რაიონში დამატებით მიმაგრებული არიან შემდეგი ამხანაგები: კუზმინა, დავითიანი და ზავარიანი.

თბილისის კომიტეტის მდივანი ასრიბეკოვი.

— ცენტრალურ პარტიულ კლუბში, ორშაბათს, 2 მარტს, საღამოს 6 საათზე, იწარმოებს მეცადინეობა ლენინიზმის შემსწავლელ წრეში.

— ურწმუნოთა საზოგადოების თბილისის საორგანიზაციო ბიურო დღეს, კვირას, 1 მარტს, საღამოს 7 საათზე, მუშათა ცენტრალურ კლუბის ლენინის ოთახში იწვევს ყველა ამხანაგებს, რომელნიც ეწევიან ან სურთ გასწიონ ანტისარწმუნოებრივი პროპაგანდა.

დღის წესრიგი: „საზოგადოების მიზნები და ამოცანები“, მუშაობის განაწილება მორიგი დრამატიული წარმოდგენები, საზოგადოების ცენტრალურ ბიბლიოთეკის მოწყობა და ლიტერატურული მუშაობა.

მოწვეული არიან (ან-ბანით): ადამიანი, ბაქრაძე, ბუხნიკაშვილი, გომართელი, ელიბეკიანი, ზუხტურიძე, ლაზო, ლომაური, ლოსენი, მარკარიანი, მაჭავარიანი, მედვედევი, მეტრეველი, მურადოვი, მხიტაროვი, ნოზაძე, ორლოვი, სარქისიანი, სოსნოვსკი, სტაინსკი, სტრელეცკი, სუდაკოვი, სუროვენკოვი, უშაკოვი, ჭელიძე, ჩურინ, ელიაშვილი, ზუზბაშიან, „კრასნიე ვსხოდის“, „შტურმის“ წარმომადგენლები და პროლეტ-კულტის იახელოსნოების წარმომადგენელნი.

თბ. კომიტ. მდივანი ასრიბეკოვი.

განცხადებები

საქართველოს გეოფიზიკურ ობსერვატორიის თანამშრომელნი აუწყებენ, რომ 27 თებერვალს, საღამოს 9 საათზე გარდაიცვალა ძვირფასი და დაუვიწყარი თანამოსამსახურე, ობსერვატორიის მეცნიერი კონსულტანტი

რუდოლფი თომასის ძე ასაფრეი

გამოსვენება და დაკრძალვა კვირას, 1 მარტს საკუთარ ბინიდან პლეხანოვის პროსპექტი № 150, გერმანელების სასაფლაოზე.
508 1—1

დამწუხრებული ბებია ესმა, ბიძები ევტიხი და არკადი და ბიცოლები თამარა და მარუსა ხუნდაძეები თავისი შვილებით აუწყებენ ნაცნობებს და მეგობრებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის უსაყვარლესი და დაუვიწყარი

ბივი ვალიკოს ძე ხუნდაძე

გამოსვენება სამშაბათს, 3 მარტს დღის 3 საათზე ლოტკის გორა № 36 (ნაძალადევი) 1—1 501

გულდათუთქულნი მშობლები ვალიკო და დომნიკა ხუნდაძეები ამით აუწყებენ ნაცნობ-მეგობრებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ერთად ერთი ნუგეში და საყვარელი შვილი

ბივი

გამოსვენება სამშაბათს, 3 მარტს, დღის 3 საათზე ლოტკის გორა № 36 (ნაძალადევი) 2—1 501

ეკატერინე ალექსანდრეს ასული, ნინო ზაალის ასული და ალექსანდრე ალექსანდრეს ძე ამირეჯიბი შვილებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას, 1 მარტს იქნება გადახდილი ნახევარი წლის პანაშვიდი ძვირფას და დაუვიწყარ ქმრის და სიძის

იულიანე ჩახავას

სულის მოსახსენებლად. წმ. ნიკოლ. ეკლესიაში 1-ლ საათ. 1—1 505

ღრმად დამწუხრებულნი ბიძა ნესტორი, ბიცოლა ელისაბედი, ძმები ვარლამი და ვლადიმერი, ბიძაშვილები: ვანო, გრიგორი, ელენე, ალექსანდრე და თამარა ჩახავეები, აუწყებიან ნათესავებს და ნაცნობებს, რომ კვირას, 1 მარტს, დღის 1-ლ საათზე ნიკოლოზის ეკლესიაში ნახევარ წლის გარდაცვალების გამო იქნება გადახდილი

იულიანე (ძუკუ) მაქსიმეს ძე ჩახავას

პანაშვიდი. 1—1 507

აკადემიური თეატრი
რუსთაველის თეატრი
დღეს, 1 მარტს
დემონი
სამშაბათს, 3 მარტს
ქეთო და კოტე
ნ. 887 1—1

საქართვ. სატყეო მრეწველობის
ტრესტი
აწვდის მუშებს და მოსამსახურეებს სადურგლო და გრეხილ ავეჯეულობას ნისიათ სამი თვის ვადით
ცნობებისათვის მიმართეთ: მაჩაბლის ქ. (ყოფ. სერგეევი) № 1.
ტელეფონი № 13—66
ნ. 876. 1—1

მგზავრობა

VII

ტყიბულში

(ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

ჩვენი ქვეყანა ხომ საწყალი რამეა ფართოდ დაყენებულ სანიმუშო მრეწველობით.

ყოველ დაწინაურებულ სახელმწიფოს განსაკუთრებით ახასიათებს იქ განვითარებული სამთომადნო მრეწველობა.

ქვა-ნახშირის ამოღება და მისი მოხმარება მაჩვენებელია იმის, თუ რამდენათ არის ქვეყანაში განვითარებული ფაბრიკა-ქარხნების მუშაობა, ანუ საერთოდ წარმოება.

მთელ საქართველოს ასავალ-დასავალზე მხოლოდ ტყიბულში სწარმოებს ქვა-ნახშირის ამოღება. მაზუთის შემდეგ მხოლოდ ამითი გაიზომება მთელი ჩვენი ინდუსტრიალური ცხოვრება.

ტყიბულის ნახვა უეჭველათ საინტერესოა.

ქუთაისიდან დილით გადის მატარებელი. საერთოდ მთავარი ხაზიდან ცალკე მოწყვეტილი რკინისგზის შტოები რაღაც ნაბიჭვარ რამეს წარმოადგენს.

აქ სულ ზედმეტათ არის ცნობილი ყოველივე კეთილმოწყობა. აი მაგალითად—მხოლოდ ერთი უდღეური [illegible] მგზავრებისთვის. ეს ხსოვნა ალბათ იმ დრო და ჟამის მონატოვარია, როცა რკინის გზა პირველათ შემოვიდა ჩვენში. საქმე თითქოს ქონდრის კაცებისთვის არის გაკეთებული—პირდაპირ იჭედებიან მათ შუა მგზავრები. წესიერათ აქ 30 კაცი უნდა იყვეს. ნამდვილათ კი 70—80 მგზავრია. მაშ წარმოიდგინოთ, თუ როგორ [illegible] აქ ხალხი ერთი ერთმანეთს.

მივილავთ ნელ-ნელა გულ-დამშვიდებით. რაღაც 25 ვერსია გასავლელი და ამას უნდებით სამ საათზე მეტს.

რომელიმე ამერიკელი ალბათ კიდევაც დაბერდებოდა ამ მატარებელში, სანამ მივიდოდა ტყიბულამდის. მაგრამ ჩვენ დალოცვილი ქვეყნის შვილები ვართ და ამერიკელებივით არაფერი გვეჩქარება ამ წუთი-სოფელში.

აქაური ბუნების სილამაზე ზეწარგადაფარებულია ზამთრის ერთფეროვნებისაგან. იგი უნდა აიწეროს საკუთრივ მაშინ, როცა მთელი ეს არე-მარე ჩაფლულია გაზაფხულისდა შემოდგომის ნადიმობაში. მხოლოდ მაშინ შეიძლება თამამათ მოევლოს ადამიანის ხარბი თვალი აქაურ პალიან მთებს, წყალწითელს ხრამებს და იმ ფერადებს, რომელთაც სთხზავს ნაირნაირად ზაფხულის ჯადოქრობით აღელვებული ბუნება. ეხლა კი მოსჩანს მხოლოდ ტანწვრილი შიშველი ხეები და გაყინული თოვლი.

დაბლა ხრამებში უფრო დიდია თოვლი. მთებიდან კი თითქმის ჩამოწმენდილია, ან ძალიან თხლათა ძევს კიდევ.

შუა გზის ცოტა გაცილებით თითქმის უეცრივ გაიხსნენ ყველა მთები და თქვენ თვალწინ წარმოსდგება კავკასიონის ქედის უმაღლესი გვირგვინი—იალბუზი.

მარმარილოს უწვდენელ პირამიდასავით ატყორცნილა ცის კამარაში და შორიდან მოტრფიალე თვალი ვერ ძღება ვერც მის სიმაღლით, ვერც მის სითეთრით.

ძალაუნებურად გებრალება ყველა, ვინც ვერა ჰხედავს დედა-მიწის გულზე უხვათ გაბნეულ სიდიადეს და სილამაზეს. ეს ალბათ ბევრ სისაღესა და გაშლილობას შეიტანდა ადამიანის სულიერ და გონებრივ კარჩაკეტილობაში.

გვერდზედ მოსჩანან ამაყი რაინდებივით სხვა თეთრი მწვერვალებიც, მაგრამ იალბუზს არ უნდა მოშორდეს თვალი.

ათი წლის ბავშვი ღიმილით იშვერს თითს და შეჰხარის თავის დედას:

— დედა! ხედავ იალბუზს, რამსიმაღლეა!

ვუცქერი ბავშვის მობრწყინავე თვალებს და ასე მგონია, იალბუზის დანახვით მან უკვე ძვირფასი რამ შეიძინა ცხოვრებაში.

შუადღისას ვეღირსეთ ტყიბულში მისვლას. მაღაროებამდის 4—5 ვერსია კიდევ. მატარებელი მხოლოდ სამი საათის შემდეგ წავა იქით.

მაშ ისევ ფეხით გაუტიოთ. მუხლის გასაშლელად და მისახედ-მოსახედათ სწორედ ვითხრათ საამური არის ასეთი გასეირნება.

დილას ქუთაისში ათი გრადუსი სითბო იყო. აქ ეხლა მზეზე თერამეტი გრადუსი მაინც იქნება. უკვე მცხელა. პალტოში სიარული აღარ შემიძლია.

გზაზე რამდენჯერ გავგრილე გული მთებიდან მონავარდე ბროლასანი ჩანჩქერებით!

ტყიბულს ბაზარიც ჰქონია, სადაც მოვაჭრეები უფრო მეტია, ვიდრე მუშტრები. ქუჩაში ისევ არის დახროვილი ორი არშინის სიმაღლე თოვლი.

რკინისგზის არდიგარდმოც თეთრ კედლებათ მოსდევს ორი ადლის სიმაღლე თოვლი.

მატარებელი მხოლოდ ორ დღეს ყოფილა თურმე შეჩერებული. ყოველდღე ასი კაცი მუშაობდა გზის გაწმენდაზე. დღევანდელ გაწმენდილს ხვალ ისევ ავსებდა თოვლი, მაგრამ გაუწმენდავათ არ შეიძლებოდა, რადგან აქ მატარებლების შეჩერება უეჭველათ გამოიწვევდა თბილისის ტრამვაის შეჩერებასაც, თუ ორ-სამ დღეში არ მიაწოდებდენ ნახშირის საკმაო მარაგს.

დღესაც აღარც კი სჯერათ ხალხს, თუ იმოდენა თოვლი იყო.

ეხლა ნამდვილი გაზაფხულის მზეა და ერთ-ორ კვირაში მხოლოდ მოგონებაღა დარჩება ამ საჟენის სიმაღლე თოვლზე.

ზამთარს აქ ზარალი თითქმის არ მიუყენებია. გარშემო სოფლებში კი პირუტყვის საკვები შემოლევიათ და ამ მხრივ გაჭირვებას განიცდის გლეხკაცობა, ვინც რკინის გზას უდგება, მათთვის კი არის თივის შოვნა. კოოპერატივს ამ შემთხვევაში საკმაო უნარი გამოუჩენია და მოუმარაგებია თივა, რასაც საფასურათ აწვდის ყველა მსურველს.

ძლივას ვნახე ნამდვილი გლეხკაცი, რომელიც გულახდილათ ლოცავდა კოოპერატივს.

— კოოპერატივმა დიდი საქმე გვიქნა. ვინც კი ამ რკინის გზასთან ახლო ვართ. ისე სულ დაგვეღუპებოდა სიმშილით საქონელი. საფასურათ ვიღებთ, მაგრამ ამაზეც დიდი მადლობელი ვართ, რომ შოვნა მაინც არის. ისე რა გვეშველებოდა, აბა თქვენ თვითონ იფიქრეთ!

⁂

მაღაროებთან ძიახლოვებისას ორ ტოტათ იყოფა რკინის გზა. ერთი მიდის ახალ მაღაროსაკენ, მეორე—ძველისკენ.

სწორეთ ძველ მაღაროსთან შევხვდი მთავარ ინჟინერს, რომელმაც მრავალი საყურადღებო ცნობა მომცა აქაურ ძველ მაღაროში თურმე შარშანდელს აქეთ ცეცხლია გაჩენილი. ეხლაც ისევ უკიდია. ასეთი ცეცხლი ზოგჯერ 20 წელიწადზე მეტსაც გრძელდება თურმე. ეს მაღარო უკვე სავსებით გაუქმებულია და მუშაობა აღარ სწარმოებს.

ინჟინრის სიტყვით — წინდაწინვე სჩანდა, რომ ცეცხლი გაჩნდებოდა, რადგან ნახშირის გამოღების სისტემა შესაფერათ არ იყო მოწყობილი. მაგრამ თავი მაინც ვერ დავაღწიეთ.

გაზაფხულიდან სხვა ადგილებში დავიწყებთ მუშაობას ამ ძველი მაღაროს გარშემო, რადგან ღირსებით აქაური ნახშირი სჯობია ახალ მაღაროისას.

— როგორ მიდის საერთოდ როგორც ნახშირის გამოტანის, ისე მის გასაღების საქმე?

— მუშაობა ეხლა ბევრათ უკეთესად არის მოწყობილი, ვიდრე წინეთ. მენშევიკების დროზე ხომ ლაპარაკიც არ ღირს. მაშინდელი ნახშირი არაფერში არ გამოდგებოდა. ეხლა კი მთელი გაუმჯობესება შევიტანით ნახშირის დაწმენდა-დახარისხებაში და ამგვარათ საუკეთესო სახმარათ გავხადეთ იგი.

„მაგალითად ტრამვაიმ უკვე გაანება თავი მაზუთის ხმარებას და მხოლოდ ჩვენი ნახშირით მუშაობს“.

— ღირებულობით რა უფრო იაფი ჯდება? მაზუთი თუ ნახშირი?

— ჩვენ ისეთ ფასებში ვაწვდით, რომ არას გზით მაზუთზე ძვირათ არ დაუჯდეთ.

— რასაც იმუშავებთ, სულ საღდება?

— სულ ერთიან. მარაგათ აღარაფერი გვრჩება.

— რამდენს იმუშავებთ თვეში?

— 300—400 ათას ფუთამდე. ზაფხულში კი მეტი იქნება, რადგან სხვა მაღაროებსაც ავამუშავებთ. ეხლა კი მხოლოდ ახალ მაღაროში სწარმოებს მუშაობა.

— რამდენი მუშა გეყოლებათ სულ?

— სამასზე მეტი. ყველა მუშები დატვირთული არიან და კარგათაც ასრულებენ საქმეს.

— თვით ნახშირის მარაგი ხომ საკმაოთ მოიპოვება?

— ჯერ სულ მცირედი პროცენტიც კი არ არის გამოტანილი. სხვათა შორის ტყიბულის ქვა-ნახშირის მადანი უმდიდრესად უნდა ჩაითვალოს იმ დროს, როდესაც დონეცის ბასსეინში პლასტები არ სცილდებიან ერთ საჟენს, აქ თორმეტ საჟენამდის არის. ეს იშვიათი სიმდიდრეა საქართველოსთვის. საერთოდ ჩვენი ნახშირის ბაზარი ჯერ ისევ საქართველოა და ჩვენც ამ ფარგლებში უნდა ვეცადოთ ისევ მის გაფართოებასო.

⁂

თვით მაღაროების არე-მარე ძალიან ვიწრო და სულშეხუთულია.

მე ველოდი აქ დახარისხებულ ნახშირის უშველებელ ზვინებს, როგორც ეს შეხვედრია უცხო ქვეყნებში, მაგრამ ამის მსგავსი არაფერია. აქ გამოტანა მაღაროდან და გაგზავნა ერთია, რადგან მოთხოვნილებას ძლივს აკმაყოფილებენ.

ახალ მაღაროსთან საუცხოვო კოხტა სახლებია ამ ბოლო დროს აშენებული მუშების საცხოვრებლად.

ძველ მაღაროებთან კარგა მოზრდილი კლუბიც არის, სადაც გულს ართობს და ისვენებს მაღაროებში დაქანცული მუშა.

ხელფასი მუშის მანეთ-ნახევარს არ აღემატება.

— ამნაირ მუშაობაზე ეს ძალიან ცოტა არის, შემოჩივის ერთი მუშა, მაგრამ რა გაეწყობა, ალბათ მეტის ატანა არ შეუძლიან საქმესო.

— რამდენ საათსა მუშაობთ?

— შიგ მაღაროში ექვს სათ'ს. გარეთ კი რვას. შემდეგ მაღაროში რამდენ საათსაც მეტს ვიმუშავებთ იმდენი ერთი ორათ დაგვეწერება.

— ისე რომ მოწყობილი ხართ წესზე? ისეთი თვალსაჩინო ნაკლი არის რამე?

— ისე დასაჩივლი არაფერია. ბინები ყველასა გვაქვს. სასადილოები კოოპერატიულათ არის მოწყობილი და შეღავათიანათ გამოვდივართ. წელიწადში ორჯერ ფეხსაცმელებიც გვეძლევა. ალბათ როცა გაუმჯობესდება საქმე, ჩვენც მოგვემატება რამე.

⁂

მაღაროს სიღრმე პირდაპირ იქნება ნახევარ ვერსამდის. მუშაობა სწარმოებს პირდაპირის მიმართულებით და არა სართულ-სართულ, როგორც ეს არის მოწყობილი ნახშირის დიდ საწარმოვო რაიონებში.

თვით მაღაროში მომუშავე ყოველ მუშაზე მოდის დღიური დატვირთა 150 ფუთამდე და ზოგჯერ მეტი საერთო ჯამით კი, გარეთ მომუშავეების მითვლით, თვითოეულ მუშაზე ანგარიშობენ 50 ფუთ ნახშირის დატვირთას.

მაღაროდან დატვირთულ რონოდებს ეზიდებიან თვით მუშები.

საერთოდ ისეთი შთაბეჭდილებაა, რომ ტყიბულის ნახშირის საქმე უფრო და უფრო წარმატებით მიმდინარეობს და შესამჩნევ ადგილს დაიჭერს ჩვენს ეკონომიურ ცხოვრებაში.

⁂

ტყიბულის იქითა სოფლებში დიდი ნეკლულევანება ყოფილა საქონლის საკვებისა. ამაზე შემომჩივლეს იქიდან მოსულმა გლეხებმა. რომ არ დაიხოცოს სიმშილით, ბევრი წინდაწინვე კლავს ოჯახის მარჩენალ საქონელს, რაც ღარიბ გლეხკაცობას უფრო მეტ გაჭირვებაში ჩააგდებს და სახელმწიფო დახმარებაც შემდეგ უფრო მეტი დასჭირდება.

გლეხების სიტყვით, იქაურ აღმასკომს ამ მხრივ არავითარი ცნობები არ შეუკრებია და არა ცდილან დახმარების მიღებაზე.

სამაზრო აღმასკომში უკვე საკმაო ცნობებია მრავალი თემიდან. თუ ზოგიერთი ჩამორჩა იქაურ აღმასკომების დაუდევრობით, იქაც უნდა საჩქაროთ იყვეს გამოკვლეული გლეხობის გაჭირვება, ან რა სახის დახმარებაა იქ აუცილებელი და ეცნობოს სამაზრო აღმასკომში. ცენტრიდან უკვე გამოთხოვილია ქუთაისის მაზრისათვის საკმაო თივა და სიმინდი. მათ წესიერ განაწილებისათვის საჭიროა, რომ ყველა რაიონებიდან იყვეს მიწოდებული საკმაო სწორი ცნობები, რომ დახმარების განაწილებაც წესიერათ იყვეს გატარებული.

⁂

საღამოზე იმავე სწრაფი მატარებლით და ისეთივე კომფორტით დავბრუნდი ქუთაისში, როგორც წაველი დილით.

გზაში ბევრ საყურადღებო მასალებს ჰკრეფავს კაცი გლეხების ბაასიდან სოფლის მდგომარეობის შესახებ, რასაც ვეცდები შემდეგში გავუზიარო მკითხველებს.

ფუხარა.

23 თებ. ქუთაისი.

მეცნიერება და ტეხნიკა

ოქსფორდის უნივერსიტეტის ლექსიკონი.

ოქსფორდის (ინგლისში) უნივერსიტეტმა როგორც იქნა დაამთავრა თავისი ლექსიკონის გამოცემა. ლექსიკონი შეიცავს 39.652 სვეტს ანუ 4 443.264 სტრიქონს. ამ ლექსიკონის შედგენაზე მუშაობდენ განუწყვეტლივ 68 წლის განმავლობაში.

ეინშტეინის მორიგი გამარჯვება.

ეინშტეინის შეფარდებულობის თეორიის ძიებით, სინათლის მოძრაობის სისწრაფე დედა-მიწის ბრუნვის მიმართულებით და წინააღმდეგი მიმართულებით, არ უნდა იყოს ერთგვარი. პირველ შემთხვევაში სინათლემ ცოტა უნდა დაიგვიანოს.

ცნობილი ამერიკელი მეცნიერის მაიკელზონის ცდამ, რომელიც მან მოახდინა ჯერ კიდევ წარსული საუკუნის 80-იან წლებში, ეს აზრი არ დაადასტურა და ამიტომ დღემდი მაიკელზონი ეჭვის თვალით უყურებდა ეინშტეინის თეორიას.

ღრმა მოხუცებულმა მაიკელზონმა განიზრახა ერთხელ კიდევ გაემეორებია ცდა, რათა საბოლოოთ დარწმუნებულიყო მის სისწორეში და

ო, საკვირველებავ!

ცდამ, რომელიც მან მოახდინა უკანასკნელად, მრავალი წლის მომზადების შემდეგ, ახალი ბრწყინვალე გამარჯვება მიანიჭა ეინშტეინის თეორიას.

ქრონიკა

საქ. ცაკში

— **ხონის ჰიდროელსადგურის** გასამთავრებლად ხონის-აღმასკომის შუამდგომლობა სათანადო დახმარების აღმოჩენის შესახებ, ცაკმა განსახილველათ გადასცა კომისართა საბჭოს.

— **სახალხო კომისართა** საბჭოს გადაეცა აგრეთვე ახალციხის სამაზრო აღმასკომის შუამდგომლობა ახალციხის მაზრის გლეხობისათვის სესხად მიცემულ თესლის ნაწილის პატიების შესახებ.

— **გვარის გამოცვლა.** საქ. ცაკმა მიიღო და გამოსაქვეყნებლათ დაამტკიცა დადგენილების პროექტი მოქალაქეთა მიერ სახელი და გვარის გამოცვლის შესახებ.

— **მშრომელ ქალთა საერთაშორისო დღე.** საქ ცაკმა იუსტიციის სახ. კომისარიატს მიანდო გამოიმუშაოს ამნისტიის პროექტი მშრომელ ქალთა საერთაშორისო დღესასწაულის გამო, (8 მარტისათვის). ამასთან ერთად იუსტიციის სახ. კომისარიატს მიენდო გამოყოს სასამართლოებში ქალების მიერ აღძრული საქმეები, გაარჩიოს ისინი 1—8 მარტამდე და შეძლებისდაგვარათ დააკმაყოფილოს ქალთა შუამდგომლობანი.

— **ქალთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.** საქ. ცაკმა შუამდგომლობა აღძრა ა | კავ. ცაკის წინაშე, გადადოს 5 ათასი მან. ქალთა მდგომარეობის გასაუმჯობესებელ კომისიის განკარგულებაში და განთავისუფლებული იქნას ყოველგვარ გადასახადისაგან ხსენებულ კომისიის ყველა წარმოებები.

— **გლეხთა სასახლისათვის.** საქ. ცაკის პრეზიდიუმმა მიიღო დებულების პროექტი გლეხთა სასახლის შესახებ, მიღებულია აგრეთვე გლეხთა სასახლის საბჭოს და პრეზიდიუმის ინსტრუქციის პროექტი.

—

— **აბაშის ელსადგური.** საქ. მ.-გ. ინსპექციამ საჭიროთ სცნო მხარი დაუჭიროს აბაშის მთლიან კოოპერატივის შუამდგომლობას ელექტროტრესტის წინაშე, აბაშის ჰიდროელსადგურისთვის სესხის მიცემის გაგრძელების შესახებ.

— **ტყის დასაცავათ.** მიწად-მოქმედების სახ. კომისარიატი მიწა-ტყის კავშირთან ერთად აწყობს ტყის კვირეულს 10 მარტიდან მთელ საქართველოში. კვირეულის მიზანია გლეხობას აუხსნას-განუმარტოს ტყის მნიშვნელობა და მისი დაცვის აუცილებლობა.

— **მიწად-მოქმ. სახ. კომისარიატის** სატყეო განყოფილებას მიმდინარე წლის პირველ მეოთხედში საქ. ტყეებიდან შემოუვიდა 122,000 მან., დაიხარჯა—45,000 მან.

— **ქართული ჯარის პოლიტ-განყოფილებამ** გადაწყვიტა სისტემატიურათ მოაწყოს პოლიტ-ხელების და სამხ. მასწავლებელთა საინსტრუქტორო თათბირები.

— **მსწრაფლ-დამხმარე ავტო-ეტლები.** ა.-კ. საგარეო ვაჭრობის კომისარიატმა საზღვარ-გარეთიდან მიიღო ორი ავტო-ეტლი თბილისის სასწრაფო საექიმო დამხმარე ეტლისათვის.

— **დამზღვევ სალაროს** და კავშირების მთავარ გამგეობების თათბირმა გამოსთქვა სურვილი, რომ საავადმყოფოებში მწოლიარე დაზღვეულ ავადმყოფებს ჯამაგირებიდან არ გამოუბარონ საავადმყოფოებში წოლის ქირა.

— **ექიმის თანაშემწენი.** საქ. ჯანსახკომი 1—15 მარტამდე მოახდენს სამხედრო ნაწილების ყოფილ ფერშლების და მოწყალების დების გამოცდას, რის შემდეგ ისინი მიიღებენ სასკოლო ექიმის თანაშემწის წოდებას.

— **საშუამავლო ბიუროში** აღრიცხვაზე მყოფი უმუშევრები ვალდებულნი არიან 1—15 მარტამდე განაცხადონ სურვილი ბიუროში აღრიცხვაზე დარჩენის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში მოხსნილი იქნებიან აღრიცხვიდან.

— **ვენახების სივრცე.** ამ ჟამად საქართველოში ითვლება 30,071 დესეტ. ვენახი.

— ა.-კ. **საგეგმო კომისიამ** შეადგინა ცალკე კომისია, რომელსაც მიენდო ა.-კავკასიაში ტრანსპორტის საქმის გასაფართოებელ გეგმის შედგენა.

ჩაუბარებელი დეპეშები.

1. ჭიათურიდან—საგანგებო სამართველოს, 2. როსტოვიდან—მაევკის, 3. როსტოვიდან—მალშევა, 4. ხარკოვიდან—გაბუნიას, 5. მოსკოვიდან—კარაშვილს, 6. ხონიდან—ხოჯუას, 7. ოზურგეთიდან—სფმეს პრეზიდიუმს, 8. ველისციხიდან—კარსლელიშვილს, 9. ნაძალადევიდან—სანიკიძეს, 10. ქუთაისიდან—ცეცქირიძეს, 11. ხარკოვიდან—შაუნდავს, 12. ბასარგეჩიდან—სურგუნავას, 13. ბათომიდან—ნემსიწვერიძეს, 14. ბათომიდან—ტერმინასოვს, 15. ცესიდან—ბალაშვილს, 16. ეკატერინოსლავიდან—შლუგლეიტს, 17. სამარადან—ლაზარენკოს, 18. კობიდან—შულპმანს, 19. კალკუტიდან—მურადოვს.

შემთხვევები

— **შეიარაღებული თავდასხმა.** (ერწოს რაიონი) 22 თებერვალს ღამის 12 საათზე სოფ. ნადოკრის სიანთგორის შუა გზაში ახალგაზრდა კომკავშირის წევრებს, რიცხვით 7 კაცს, რომლებიც კრებიდან ბრუნდებოდენ, თავს დაესხა სამი შეიარაღებული ყაჩაღი ცნობილ ყაჩაღ გიორგი ბიძინაშვილის მეთაურობით. კომკავშირელებისათვის წაურთმევიათ თოფები და ტყვიები.

— **ქურდობა.** 26 თებერვალს ღამით მთავარ ამუხების პარკში გაქურდული იქნა ალექსანდრე ბარნაბიშვილის ბინა, საიდგანაც წაღებულია სხვადასხვა ნივთები.

— 26 თებერვალს, საღამოს 5 ს., შერემეტევის ქ. № 20-ში გაქურდული იქნა ა. ფეიქრიშვილის ბინა.

— 27 თებერვალს დღისით ალექსანდროვის ქ. № 19-ში მორგებულ გასაღების საშვალებით გაქურდული იქნა ლიდა ზეინკო—რატჩევისის ბინა, წაღებულია სხვადასხვა ნივთები 170 მან.

— **გვამის აღმოჩენა.** გუშინ შუადღეს სოღან-ლუღის გზაზე ნაპოვნი იქნა უცნობ მამაკაცის გვამი. კვლევა-ძიებ სწარმოებს.

— 26 თებერვალს ბებუთოვის ქ. № 60-ში გაქურდული იქნა ტიგრან ყაზარიანის ბინა. წაღებულია სხვადასხვა ნივთები.

— 26 თებერვალს დღისით პლეხანოვის პრ. № 113-ში გაქურდული იქნა მორგებულ გასაღების საშვალებით ზურაბ ოსიპოვის ბინა.

— **გაიქცა** და მიიმალა თბილისის აღმასკომის შემოსავალ-გასავლის სალაროს მოლარე ესტატე მაჭავარიანი, რომელმაც სალაროდან გაიტაცა 10,000 მანეთი, შემოსული საღრბო და სხვა მარკების გაყიდვიდან.

— **ავტომობილის დაჯახება.** გუშინ საღამოს თავისუფლების მოედანზე უადრესად აჩქარებული მოტოციკლეტი, რომელზედაც იჯდა ბერიუტჩევი, დაეჯახა ავტომობილს. სრულიად შემთხვევით უბედურება თავიდან იქნა აცილებული.

ხელოვნება

ახალი ლიტერატურული გაზეთი

ა. წ. 8 მარტიდან იწყებს გამოსვლას პროლეტარულ მწერლობის ახალი ფრონტის ყოველკვირეული სამხატვრო-სალიტერატურო გაზეთი „პროლემაფ“.

გაზეთში იქნება უმთავრესად შემდეგი განყოფილებები: 1. მოწინავე, 2. საქართველოს ლიტერატურის და ხელოვნების თანამედროვეობა, 3. პროლეტარული ლიტერატურის და კულტურის საკითხები, 4. პროლეტარულ ლიტერატურის ნიმუშები (ლექსი, პროზა, იუმორი, 5. ფელეტონი, 6. მუშათა შემოქმედება, 7. მუშათა კულტურული მოძრაობა (შენიშვნები მუშკორების, სოფ. კორესპონდენტებს, ახკორების მუშათა კლუბების და სოფლის სახლოვნო ცხოვრებაზე), 8. კინო, 9. თეატრი, 10. ოპერა, 11. საქართველოს და უცხოეთის ხელოვნების ქრონიკა, 12. ბიბლიოგრაფია. გარდა ამისა გაზეთში დრო და დრო მოცემული იქნება საზღვარგარეთელ და რუსულ ლიტერატურის ნიმუშების თარგმანები, ქართულ ლიტერატურულ თანამგზავრების ნიმუშები გაზეთში ფართე ადგილი დაეთმობა პასუხისმგებელ მუშკოთა და მუშების აზრს ხელოვნებაზე და სხვ.

გაზეთში თანამშრომლობენ: პროლემაფის კოლექტივის გარდა; ამხ. ამხ. ფ. მახარაძე, არ. მიქაძე, ვ. ბახტაძე, ჩიხლაძე („მუშა“) კალაძე, ის. თალაკვაძე, გალაქტიონ ნეცუბიძე, ა. კაკელია, შ. დუდუჩავა, დ. გვაზავა, ძიგრაშვილი, ნ. ზომლეთელი, ს. ეული, ი. გედევანიშვილი, შ. ნავთლუღელი, პ. ყაბლაძე, ქ. ფრანგიშვილი, ა. პაპავა, ეპ. კახიძე, და სხვა პარტიული და საბჭოთა მუშაკები, კორესპონდენტები, კლუბის და პროფკავშირების მუშაკები.

გაზეთის ცალკე ნომერი ეღირება 10 კაპ. თვიურად 40 კაპ. ხელისმოწერა სწარმოებს დღეიდან. გაზეთის გავრცელება პროფესიონალურ და პარტიულ ორგანოთა დახმარებით. სპეციალურ მწრუნველებს გაზეთის გასასაღებლად დაეთმობათ 10 პროც.

რედაქციის დროებითი მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 24 „მნათობი“-ს რედაქციაში.

პროლემაფის კოლექტივში

მუშათა უჯრედებში

— 1. **ტყავტრესტის უჯრედში,** მორიგი მეცადინეობა ორშაბათს, საღ. 5 ს. მომხსენებელი ბ. ბუჩიძე.

— **მთავარ სახელოსნოს უჯრედში,** სამშაბათს, საღ. 5 საათზე, პლეხანოვის კლუბში შესდგება კრება ლიტწრის, მომხსენებელი ნ. ზომლეთელი, პ. ქიქოძე.

— 3. **ქართულ მუშფაკის უჯრედში,** ბიუროს სხდომა, ხუთშაბათს, საღამოს 7 საათ.

— 4. **ტრამვაის უჯრედში,** მორიგი მეცადინეობა, დღეს კვირას, საღამოს 6 ს. ხელმძღვანელი დ. რინდელი.

— 5. **პარტსკოლაში,** ხუთშაბათს, ლექციების შემდეგ შესდგება კურსანტების საერთო კრება. თემა: „პროლეტარულ ლიტერატურის პერსპექტივა ჩვენში“, მომხსენებლები: რ. კალაძე და პ. ქურიძე.

—

— **ჟურნალი „პროლემაფ“.** გაზეთ „პროლემაფის“ გამოსვლასთან ერთად, ორი დღის შემდეგ (10-ს) იბეჭდება და გასაყიდათ გამოვა ჟურნალი „პროლემაფ“. ორგანო „პროლემაფის“ კოლექტივის. ჟურნალი შეიცავს დაახლოებით 160 გვერდს და ეღირება არა უმეტეს 1 მანეთისა.

— **კონცერტი.** ორშაბათს, 9 მარტს, სახალხო კონსერვატორიის დიდ დარბაზში შესდგება ფრიად საინტერესო დიდი კონცერტი, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ ფორტეპიანზე დამკვრელნი: ა. დ. ვირსალაძისა და ნ. ს. ცატუროვისა, მომღერლები: ეკილიო ვაგი, ლიდია სპანიოლი, დავით ახვლედლაძე და შალიკო ცირღილაძე და ვიოლონჩელისტი მიხეილ ცოვიანოვი. პროგრამაში შედიან: სონატა როიალისათვის და ვიოლონჩელისათვის, დუეტები, არიები და რომანსები ქართველ და უცხოელ კომპოზიტორებისა, და სხვა. აკომპანიატორი: ნ. ა. გრიქუროვისა, ე. ი. ცოვიანოვისა.

„**ხელოვნება**“. გამოვიდა ჟურნალი „ხელოვნება“ № 9.

— „**ტარიელ მკლავაძე**“. ორშაბათიდან, 2 მარტიდან კინოებში—„არფასტო“, „აპოლო“ და „სოლეიში“ წავა ახალი კინო სურათი „ტარიელ მკლავაძე“. დადგმა პერესტიანის.

— **კონსერვატორიაში.** ორშაბათს, 2 მარტს გაიმართება საკონცერტო საღამო პროფ. შულგინს კლასის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოთ.

— დღეს, კონსერვატორიაში გაიმართება კონსერვატორიის მოწაფეთა მორიგი დილა.

— **რუსთაველის თეატრში** დღეს წარმოდგენილი იქნება ოპერა „დემონი“ ივ. ფილაიშვილის დირიჟორობით.

— **ცირკში**—დღეს ფრანგული ჭიდაობა.

დღეს კინოებში

— აპოლო—„სადაფის ბავშვი“

— არფასტო—„უცნობი ქალი—მისი ცოლი“.

—სოლეი—„ფარაონის ცოლი“.

— მინიონი—„ფარაონის ცოლი“.

— პალას—„წითელი პარტიზანები“.

— აისი—„სიყვარულის ბუდე“.

მუშათა ცხოვრება

ორიოდე სიტყვა იუბილეების შესახებ

(წითელი თეატრის ქართული სექტორის საყურადღებოდ)

გაზ. „კომუნისტი“-ს მუშკორთა ინიციატივით ამ რამდენიმე ხნის წინად დაისვა საკითხი იმის შესახებ, თუ ვის უნდა გადაეხადოს იუბილე ამა თუ იმ საზოგადო მოღვაწეობისათვის. ეს საკითხი მუშკორთა კრებაზე დაისვა იმის გამო, რომ ამ ბოლო ხანებში ნამეტნავად დამახინჯებული ხასიათი მიიღო ზოგიერთმა პირების სახალხო მოღვაწეების ასპარეზზე გამართულმა ასეთმა დღესასწაულებმა, რასაც ერთნაირი ეპიდემიური ხასიათი მიეცა, და ვისაც უნდა, თუ არ უნდა გაიძახის—„მეც ვენახვდიო“. ამის გამო, რომ ბოლო მოღებოდა უთავბოლო დი უნიადაგო იუბილეებს, კრებამ გადასწყვიტა ამ საკითხის გაშუქება მომხდარიყო პროფორგანოების პასუხისმგებელ ამხანაგების და აგრეთვე ხელისუფლების დასტურით.

ამ მიზნით საქართველოს პროფკავშირის საბჭოს პრეზიდიუმმა 5 თებერვალს რიგს გარეშე პირველ საკითხად დასვა ეს კითხვა, რომელმაც ასეთი დასკვნა გამოიტანა ამის შესახებ: „ვინაიდან იუბილეების გამართვა და მისი ნებართვის მიცემა მხოლოდ ხელოვნების უმთავრესს კომიტეტის ფუნქციას შეადგენს, ამისთვის კიდევ განმეორებით მიეცეს წინადადება უკანასკნელს, რომ მის ნებადაურთველად არავითარი იუბილეები რესპუბლიკის მასშტაბით გამართული არ იქნეს და აგრეთვე ეთხოვოს საბჭოთა საქართველოს სახალხო კომისარიატს ამის დადასტურება დეკრეტის გამოცემით ამ საკითხის გარშემო.

ამ აზრის იყო ამხ. ყურულაშვილი და ამხ. მიქაძე პრეზიდიუმის კრებაზე 5 თებერვალს, რაც ერთხმად იქნა მიღებული იმ დროს.

ეხლა საჭიროა გავიგოთ ისეთი მუშაკების მოღვაწეობა, რომელნიც რამდენიმე ათი წლობით უმწიკვლოდ ემსახურებიან მუშათა კლასის გათვითცნობიერებას და მის კულტურულ დონეზე დადგომას.

აი ამ პირთა შორის განსაკუთრებული მოღვაწეობა მიუძღვის ძველ მუშაკს, დღესაც დაზგაზე მომუშავეს რკინის გზის მთავარ სახელოსნოს სადურგლო განყოფილებაში **გიორგი ჯაბაურს, რომელსაც წრეულს შეუსრულდა 35 წლის სასცენო და სახალხო მოღვაწეობა.** პირველად მან ჩაუყარა საძირკველი სახალხო სცენას 1890 წლიდან და დღემდის ის შეუწყვეტლივ განაგრძობს მუშათა კლასის სამსახურს როგორც წითელი თეატრის სცენაზე, აგრეთვე მთავარ სახელოსნოშიაც მუშად.

კარგი იქნებოდა, რომ **გიორგი ჯაბაურის 35 წლის მოღვაწეობის** იუბილეის გამართვას და მის მოწყობას თავის თავზე მიიღებდეს წითელი თეატრის ქართული სექტორის შემადგენლობა, რომელთა შორის გიორგი ჯაბაური დღესაც მუშაობს თავგამოდებით.

მუშა ყანი.

პასუხი ამხ. შანიძეს

(იხ. „კომუნისტი“ № 38)

გაზ. „კომუნისტი“-ს მე-№ 38-ში, მოთავსებული იყო წერილი ამხ. გ. შანიძის მიერ შემდეგი სათაურით: „**როდის მოგვცემენ შრომის ხელფასს**“.

გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად საჭიროდ მიმაჩნია ახსნა-განმარტებით უპასუხო საჯევახო-ჩოხატაურის გზაზე ნამუშევარ მუშებს: პირველად თქვენ გაინტერესებთ, გაიგოთ თუ ვინ ეპატრონება დღეს ხსენებულ გზას, კერძო პირი თუ სახელმწიფო, ამის შესახებ უნდა გიპასუხოთ შემდეგი: ჩვენ როდესაც წარსულ წელს დავაარსეთ აქ საამშენებლო დამხმარე კომიტეტი, ჩვენი მიზანი იყო დავხმარებოდით ამ გზის აღდგენაში ადგილობრივ მთავრობას. რაში გამოიხატებოდა ჩვენი დახმარება? ჩვენი დახმარება გამოიხატებოდა იმაში, რომ ჩვენ უნდა შეგვეგროვებინა ფული სხვადასხვა შემოწირულების სახით, საღამოების მოწყობით და სხვ. აგრეთვე უნდა მიგვეწოდებინა გზისთვის საჭირო ხელსაწყო—იარაღი; რა გავაკეთეთ ჩვენ? ამის შესახებ მე სრული ანგარიში მქონდა მოთავსებული ა. | წ. გაზეთ „მუშის“ მე № 11-ში (14 იანვარში). მე შევაგროვე სულ (რასაკვირველია ამხანაგების დახმარებით) 9.054 მ. და 32 კ. ამაში ფულად გადავეცი ადგილობრივ მთავრობას 8.454 მ. ასაფეთქებელი მასალას მოხმარდა 942 მ. და 34 კ. რაზედაც ოფიციალური დოკუმენტები ხელთა მაქვს. ბევრმა ჩვენმა ამხანაგებმა და და მოქალაქეებმაც იციან, თუ რა ძრომა გადამხდუდი და როგორ თავგადადებული ვიყავი. რომ არ ჩავგმლოდა ეს ჩვენი დაწყებული საქმე; დიდი საქმე ვიკისრე და მე მგონი პირნათლადაც შევასრულე ჩემი მისია, რაც კი შემეძლებოდა და ეხლა ჩემდა დამოუკიდებელი მიზეზების გამო შევწყვიტე ისეთი მათხოვრობა ფულების შეკრებისა, როგორსაც მე ვაწეოდი მაშინ.

ეხლა თქვენ გინდათ გაიგოთ, თუ ვინ არის იმ გზის ბატონ-პატრონი? რასაკვირველია, ადგილობრივი მთავრობა.

ცენტრალურმა მთავრობამაც. პირველ რიგში დასვა ხსენებული გზის შეკეთების საკითხი და აი სწორედ ამხ. მუშებო! ჯერ მე არ ვიცი თქვენ როგორ პირობებში მუშაობდით; რამდენი მიიღეთ შრომის ხელფასი და რამდენი გერგებათ კიდევ. ყოველ შემთხვევაში თქვენი გასასწორებელი ფულის თანხა მაინც კი მაქვს გადაცემული ადგილობრივ მთავრობისათვის და მიაკითხეთ მას, მხოლოდ ჩემი მხრიდან ვსთხოვ ოზურგეთის აღმასკომს წარმომადგინოს სრული ანგარიში.

ყოფილი საჯევახო-ჩოხატაურის გზის საამშენებლო კომისიის თავმჯდომარე **ს. მეგრელიშვილი**

კანონს გარეშე ზედმეტი მუშაობა ქურდობაა

(ტრამვაის ადგილკომის საყურადღებოდ).

ტრამვაის სახელოსნოში ორ დურგალს დირექციისაგან აქვთ ნარდათ აღებული მიბმულ რონოდების შეკეთების საქმე. თუ აქნობამდის ახალი სისტემის მიბმული რონოდები კეთდებოდა რამოდენიმე დურგლის ხელით, ეხლა ორ კაცს ჩაუგდია ხელში ეს საქმე და თავიანთ სურვილის დაგვარად აწარმოებენ მას. მათი მუშაობა კანონს გარეშე სწარმოებს. ყურადღებას არავინ აქცევს მათ განუსაზღვრულ მუშაობას. კვირა დღით მუშაობა, სამუშაო დღე ათი და თორმეტი საათი, ნაცვლად რვისა—მათთვის ხშირი მოვლენაა.

კოლექტიური ხელშეკრულება მათთვის არ არსებობს—კანონის ძალით ტრამვაიზე ზედმეტი მუშაობა სასტიკად აკრძალულია.

ადგილკომო, მიაქციე ყურადღება ამ გარემოებას და შენ მაინც ასწავლე ამ მუშებს კანონიერი მუშაობის წესი.

მუშა **დურგალი.**

ეს საქმე მაინც ვერ მოაგვარეს

(პლეხანოვის კლუბის გამგეობის საყურადღებოდ)

1922—23 წლის და 1923—24 წლის სეზონში პლეხანოვის კლუბის ქართულ დრამწრის მუშაობა დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობდა. კვირაში მიდიოდა სამი ქართული წარმოდგენა ადგილობრივ დასის ძალებით, საზოგადოებაც ყოველთვის ბლომად ესწრებოდა. მაგრამ 1924—25 წლის სეზონი კი ძალიან მოიკოჭლებს, თითქოს ამ წელში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ამ თეატრს, სამი რეჟისორი მოიწვიეს, მაგრამ კვირაში თითო წარმოდგენის მეტს ვერ ახერხებენ, „მსახიობებსაც“ იწვევენ, რითაც კლუბს ზედმეტ ხარჯს აკისრებენ საქმე მაინც ვერ გამოკეთდა. საჭიროა ყურადღება მიაქციოთ.

მუშკორი ყაკი

—

უცხადებთ მადლობას

რკინის გზის მუშფაკის სტუდენტთა კომიტეტი და ამავე მუშფაკის კულტკომისია თავის ულრმეს მადლობას უძღვნის ამხ. **გიგო ჟამიერაშვილს**, რომელმაც არ დაიშურა თავისი ენერგია და მხატვრული ნიჭი და შემოსწირა ჩვენი მუშფაკის ლენინის კუთხისთვის ამხ. **ლენინის სურათი** (მთელი სიდიდით). აგრეთვე მადლობას უცხადებთ იმ პირთ, რომლებმაც გაიღეს თავისი წვლილი ამ დიად საქმისთვის.

ვიმედოვნებთ, რომ მომავალში ლენინის კუთხე უფრო მეტად აღორძინდება და მოგვეცემა საშუალება უკვდავ ვყოთ ჩვენი ბელადის ხსოვნა.

სტუდკომის დავალებით

ლარიხველი.

[illegible] მუშათა [illegible] არ გაეხება

„კომუნისტი“-ს მე-11 ნომერში მოთავსებული სათაურით: „**ალაგმეთ ექსპლოატატორი**“ წერილის შესახებ საადგილ-მამულო ქვე | განყოფილების გამგემ გვაცნობა, რომ ბაღი, რომლის მუშებზედაც არის ლაპარაკი, აღმასკომისაგან იჯარით 9-წლის ვადით გადაცემული აქვს ჯანმრთელობის სახკომს, რომელიც მამულის ყოველ საქმეში არის პასუხისმგებელი.

აღმასკომის საინფ. მაგიდის გამგე **ვარდოსანიძე.**

ვაწარმოებთ ძიებას

თქვენი გაზეთის მე-289 ნომერში სათაურით: „**განა ესეც პედაგოგია**“ მოთავსებულ წერილის შესახებ აღმასკ. განათლების განყოფილებამ გვაცნობა, რომ მე-3 საბავშვო სახლის ხელმძღვანელ ბახიაზე იკრიბება ცნობები და სწარმოებს ძიება.

—

წყლის მიცემა შეუძლებელია

(იხ. „კომუნისტი“ № 240)

„კომუნისტი“-ს მე-240 ნომერში მოთავსებული წერილი სათაურით: „**ვიხრჩობით უწყლობით**“ რის შესახებ გაცნობებთ, რომ ალექსანდროვის ქუჩაზე მდებარე № 28 სახლზე **ირიცხება წყლის ვალი 301 მან. და 74 კაპ.** ამის გადახდისთვის თავს არ იწუხებენ არც მდგმურები და არც კომისია, და ამიტომ იქ წყლის გაღება შეუძლებელია, მით უმეტეს სახლის ახალი წყლის კომისია ერთხელაც არ დაინტერესებულა ამ საკითხის ჩვენთან გამოსარკვევად.

—

ფაბრიკა-ქარხნებში

მეოთხე თამბაქოს ფაბრიკა კ. მარქსის სახელობის

მუშების კულტმდგომარეობა.

წ.-კ. უცოდინარი მუშათა შორის 30 კაცია. აქედან ნაწილი, ჰასაკს გადაცილებულნი არიან, ნაწილი გაგზავნილ იყო სკოლებში, მაგრამ უადგილობის გამო არ იქნენ მიღებული განზრახვა იყო თვით ფაბრიკაში მოეწყოთ სკოლა, მაგრამ უადგილობის გამო არც ეს მოხერხდა.

საკლუბო მუშაობა.

ფაბრიკასთან არსებობდა საკუთარი კლუბი, მაგრამ ის დაიკეტა და გადავიდა ც. მ. კლუბში. ადგილობრივ კი დარჩა მხოლოდ ქართული დრამწრე, რომელიც მართავს წარმოდგენებს.

გაიხსნება კუთხეები.

კლუბის დახურვით განთავისუფლებულ შენობაში ახლო ხანში გაიხსნება „ლენინის“ და „წითელი“ კუთხეები.

მენშევიკების დროს ეს მასსა ჩარეული იყო საზოგადო მუშაობაში და ეს აძლევდა მათ საშუალებას დაყრდნობოდა ამ მასას, რომელიც მუდამ ირკვეოდა პოლიტიკურ კუთხეებში, მას ყოველთვის ესმოდა ეს თუ ის შექმნილი პირობები, ამიტომ ხელისუფლებამ რომ ამას მეტი ყურადღება მიაქციოს, კარგი იქნება.

როცა ჩვენ ვლაპარაკობთ ხოლმე წარსულზე, კარგათ ვიხსენიებთ სოც დემოკრატიის პარტიას 1917 წლამდე, რაც ხალხში გამოძახილს ჰპოებს, ხოლო შემდეგში კრიტიკის ქარ-ცეცხლში ვატარებთ მას, ამის შემდეგ ისმება საკითხი გადაფასებისა და მისვლა ლოღიკურ დასკვნამდე ადვილია.

ეს არის მიდგომის საკითხი. აღსანიშნავია, რომ როცა გურიის ყოფილ მენშევიკების კოლექტივმა ფურცელი გამოუშვა, სადაც წარსულს ლანძღვა-გინებით იხსენიებდენ, ამან ვერ ჰპოვა გამოძახილი ფართო მასსაში; მხოლოთ ჩვენმა გამოსვლამ ხალხი მოალბო და უკეთესი შთაბეჭდილება დასტოვა.

დასავლეთ საქართველოში გლეხი სჩივის შემდეგ გარემოების შესახებ. როცა მას რაიმე გასაყიდი აქვს, ამისთვის არ მოიპოვება ბაზარი; თუ თითონ წაიღო სადმე შორს, მაშინ ეს გზა მას უჯდება მეტი, ვიდრე გასაყიდი საგანი. ამიტომ საჭიროა გურიაში და სამეგრელოშიც წარმოკავშირმა ფართოთ გახსნას თავისი განყოფილებები, რომ გლეხს მიეცეს საშუალება იქვე გაყიდოს თავისი ნაწარმოები ხელსაყრელ ფასში.

თუ რამდენათ უხეშია ზოგან ადმინისტრატიული ძალა პროვინციაში უნდა აღვნიშნო შემდეგი ფაქტი. სოფ. ნაგომარში უნდა გამოეყვანათ გლეხები ბეგარაზე სამუშაოთ. ღამე ჩამოუარეს მილიციონერებმა. ერთი მათგანი მიადგა აღმასკომის თავმჯდომარის ბინას, რომელიც სახლში იმ დროს არ იმყოფებოდა, მილიციონერმა ჩააცივდა მის 17 წლის ქალიშვილს, რომ ახლავე ადგეს და წამოვიდეს სამუშაოთ ურმით ბეგარაზე. (რასაკვირველია მილიციონერმა არ იცოდა თუ ეს სახლი აღმასკომის თავმჯდომარისა იყო). ასეთ შემთხვევას, რასაკვირველია, სხვაგანაც ექნება ადგილი.

ოქტომბრის 7 და 8 რიცხვს მიღებული რეზოლიუციის თანახმად, ჩვენ გადაწყვეტილი გვაქვს რუსეთში პოლიტიკურ გადასახლებულებთან მოსალაპარაკებლათ წასვლა. მიზანი წასვლისა ის არის, რომ გავიგოთ მათი აზრი ჩვენი პლატფორმის შესახებ. იმედიც გვაქვს ასეთ განწყობილებას შევხვდებით იქ. ეს ჩვენ მოგვცემს საშუალებას უფრო მეტი ინტენსივობით განვაგრძოთ მუშაობა ფართო მასსებში, ამავე დროს იმედი გვაქვს გადასახლებული მუშები და გლეხები დავაბრუნოთ სამშობლოში.

გრ. ლორთქიფანიძის შესახებ ჩვენ იმ აზრისა ვართ, რომ მასში მოხდა ერთნაირი გარდატეხა და თუ ისთვით არ დაგვეთანხმება წამოსვლაზე, ვფიქრობთ მისი შემწეობით ჩვენ გამოგვყვებიან სხვები. ჩვენ გვქონდა თათბირი აგრეთვე ადგილობრივ ინტელიგენციასთან. უნდა აღვნიშნო, რომ მათში არის დიდი გარდატეხა. მან უნდა გამოსთქვას თავისი აზრი და როდესაც საუბრის დროს მასთან მსჯელობა გვქონდა, ეჩვენოდა, რომ პირველი წარმოთქმული სიტყვა უფრო მკვახე იყო ჩვენს წინააღმდეგ, ხოლო შემდეგ აზრთა გაცვლა-გამოცვლისა ყველა მიდიოდა იმ დასკვნამდის, რასაც ჩვენ ვაღიარებთ.

იგივე მეორდება გაზეთისთვის წერილის დაწერის დროსაც. პირველათ ისინი უნდობლათ გვიყურებდენ, შემდეგ კი დაგვიახლოვდენ და უფრო ახლო მოეიდენ ჩვენთან.

მასწავლებელთა ყრილობაზე მთავრობის წარმომადგენელის მ. ორახელაშვილის მიერ წარმოთქმულმა სიტყვამ ბევრზე კარგი შთაბეჭდილება იქონია. ისინი მივიდენ იმ დასკვნამდის, რომ შესაძლებლათ აღიარებენ თანამშრომლობას. ასე მოხდა მთელ რიგ ინტელიგენციაში.

ჩვენ აგრეთვე ვიყავით ჩეკაში და ვინახულეთ ანდრონიკაშვილი და სხვები. მათ გაუზიარეთ ჩვენი აზრი. მათ გამოსთქვეს ის აზრი, რომ ისინი სოც.-დემოკრ. არალეგალურ მუშაობას სთვლიან დამღუპველათ და ახლა არიან არალეგალურ ცეკასთან ბრძოლაში დავეხმაროთ, აგრეთვე ლეგალურ მუშაობასაც არ თვლიან საჭიროთ და ამ მხრივ დახმარების გაწევას შეგვპირდენ. ხოლო შეგვედავენ, ჩვენ რწმუნებულთათვის შემუშავებულ პუნქტების მე-100 პუნქტის შესახებ და სთქვეს; ეს საკითხი დიდი საკითხი არისო; მაგრამ ამაზეც ვიფიქრებთ და შემდეგ მოგცემთ ჩვენს პასუხსო. ხოლო გიზო ანჯაფარიძე ამაშიც დაგვეთანხმა და ყველა ჩვენი დებულება მიიღო.

ჩვენ ხელთ გვქონდა გადასახლებულების თეზისები და რადგან ეჭვი გვეპარებოდა და არ ვიცოდით სუზდალელების იყო ის თუ ტაშკენტელების, ამის გამოსარკვევათ ჩვენ ვინახულეთ კ. ქარცივაძე, რომლისგანაც გავიგეთ, რომ თეზისების შემმუშავებელი ყოფილა სუზდალში. მან განაცხადა, რომ ის სავსებით იზიარებს ჩვენს მუშაობას, და დასძინა: მე რომ გარეთ ვყოფილიყავ, სასტიკად შევებრძოლებოდი აგვისტოს გამოსვლებსო.

ვინახულეთ აგრეთვე გრ. გიორგაძე, რომელიც სავსებით იზიარებს ჩვენს აზრს და ამის შესახებ სთქვა ძან: ჩვენ უკვე 23 წელს გამოუშვით შესაფერი რეზოლიუცია და ამის შემდეგ ჩვენ ფაქტიურად ჩამოვშორდით ყოველგვარ არალეგალურ მუშაობას და აგრეთვე პარიტეტულ კომიტეტსაც და არ ვიცი რატომ ვიმყოფები ციხეში; ბევრი ჩვენგანი გარეთ რომ იყოს უსათუოდ მოვიდოდა თქვენთან სამუშაოდო.

ჩვენი გაზეთი აქამდის ატარებდა შემთხვევითი ხასიათს, ახლა ჩვენ მოვიწვიეთ ერთი ამხანაგი, რომელიც შეუდგება მუშაობას და გაზეთს მისცემს გარკვეულ ხასიათს.

საჭიროთ მიგვაჩნია გაზეთში გაშუქებულ იქნას საბჭოთა კონსტიტუციის დებულებანი ქართველი მასისთვის და აგრეთვე მე-12 ყრილობაზე მიღებულ რეზოლიუციის გაშუქება.

ინტელიგენციის ჩარევა საქმეში შესაძლებელია და ადვილი საქმეა, ხოლო ამისათვის საჭიროა პატარ-პატარა კრებები, რომელსაც სჯაბაასის ხასიათი ექნება და ამნაირად ისინიც დაიწყებენ ჩვენთან მუშაობას. ამას ჩვენ სისტემატიურად ვაწარმოებთ და ნაყოფიც დიდი აქვს.

ჩვენი აზრით ძალიან კარგი იქნება თუ ხელისუფლება შესაძლებლად ჩასთვლის კ. ქარცივაძის და გიორგაძის განთავისუფლებას, რომელნიც ჩადგებიან ჩვენს რიგებში.

ონიაშვილს უკვირს, რომ ხელისუფლება მის გულწრფელობას არ უჯერის და ამდენხანს არ ანთავისუფლებენ.

ტრამვაის მუშები თხოულობენ აქაც მოხდეს კრება. ისინი მომხადებული ხალხია. ამბობენ მოისმინონ ჩვენი გულწრფელი ლაპარაკი, დაესწრონ ჩვენს კრებას; სერგო ორჯონიკიძე, მ. ორახელაშვილი, მ. კახიანი. აქ უკვე არსებობს საინიციატივო ჯგუფი, რომელიც მოაწყობს ფართო კრებას.

ციხეში ორმა ოფიცერმა გვაცხადა, რომ ისინი სდგებიან საბჭოთა პლატფორმაზე და მხად არიან იმუშაონ ამ ნიადაგზე. გვთხოვენ ვიშუამდგომლოთ მათ შესახებ.

უნდა აღვნიშნო საერთოდ, რომ დიდი უმუშევრობაა პროვინციაში და კერძოთ გურიაში.

მარტო რკინის გზაზე 938 უმუშევარია.

შორაპნის მაზრაში ჩვენი მუშაობა მიმდინარეობს ძალიან კარგათ.

რაც შეეხება სამეგრელოს, იქ მოისუსტებს და ჩვენ ვრაცხთ საჭიროთ იქ შეიქმნას ცენტრი, რომელსაც ჩვენთან ექნება უშუალო კავშირი. სამეგრელოს განსავითარებელი მდგომარეობა აქვს როგორც მდებარეობით, ისე ენის მხრივ. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ჩვენს მუშაობას აქ ხელს არ უწყობენ.

კახეთშიც იგივე მდგომარეობაა, რაც სამეგრელოში. პარტიულ ამხანაგებს უნდა მიეცეს დასტური ცენტრიდან, რომ მათ ჩვენს მუშაობას ხელი შეუწყონ.

საზოგადოთ მუშაობა თუ ასეთი ინტენსივობით გაგრძელდა, მაშინ შეიძლება მუშაობა დამთავრდეს ექვს თვეში.

ჩვენი მუშაობით გვინდა მივაღწიოთ იმ შედეგებს, რომ ქართველი ხალხის მოსახლეობა 100 პროც. თუ არა, 95 პროც. მაინც დაეხმაროს ხელისუფლებას აღმშენებლობითი მუშაობაში და შეიქმნეს ისეთი განწყობილება, რომ ის სავსებით დადგეს საბჭოთა სოციალისტურ გზაზე.

მუშათა კომისიის თავმჯდომარე

მ. ძამანაშვილი.

წერილები პროვინციიდან

თელავის საბჭოს საქმიანობა

ქალაქის საბჭოს კომუნალურ სექციამ უკვე დაიწყო მოქმედება. სექციაში ჩაეწერა 18 საბჭოს წევრი. პირველი სხდომა მოხდა 21 თებერვალს.

სექციის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ამხ. მ. კუჭუაშვილი, მდივნათ—ამხ. ვ. პაატაშვილი. პირველ სხდომას დაესწრო აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. გ. ქურციკაშვილი, რომელმაც მოხსენება გააკეთა სექციის მნიშვნელობის და მომავალ მუშაობის შესახებ.

პირველად სექციამ გადასწყვიტა ჯერ მიაქციოს ყურადღება ისეთ საკითხებს, რომელნიც ითხოვენ სასწრაფო გადაწყვეტას და დამუშავებული მასალა წარუდგინოს საბჭოს მახლობელ სხდომას.

ასეთ საკითხებად მიჩნეულ იქნა: 1) წყალდიდობის საშიშროება, რომელიც მთელ ქალაქს საფრთხეს უმზადებს, 2) სასაკლაოში წყლის გაყვანა, ურომლისოდაც ეხლა ქუჩაში მიმავალ მღვრიე და უწმინდური წყლით ირეცხება ხორცი და 3) ქალაქის სახლების ნგრევის წინააღმდეგ ზომების გამონახვა.

პირველ საკითხზე გამოყოფილ იქნა კომისია, რომელმაც სასწრაფოდ უნდა დაათვალიეროს ტეხნიკოსთან ერთად თელავის რიყე და თავისი მოსაზრება წარუდგინოს სექციის შემდეგ სხდომას.

სასაკლაოს წყლის შესახებაც არჩეულ იქნა კომისია, რომელსაც დაევალა ადგილობრივ წყლების დათვალიერება და ხარჯთ-აღრიცხვის შედგენა, მხოლოდ ქალაქის შენობების ნგრევის შესახებ სექციამ დაავალა კომუნალურ მეურნეობის გამგეს, შემდეგ სხდომაზე, მოახსენოს ყველა ამის შესახებ გამოცემული მთავრობის დადგენილება და განკარგულებანი და აგრეთვე თავისი მოსაზრება.

დასასრულ სხდომამ დაადგინა, რომ სექციის კრებები ხდებოდეს ყოველ კვირა ხუთშაბათობით.

მეორე დღეს ამორჩეულმა კომისიებმა დაათვალიერეს ქალაქის რიყე თვით სათავიდან დაწყებული ხიდამდე.

თავის თავად ეს რიყე არაფერს წარმოადგენს, თითქმის სულ მშრალია, მაგრამ ავდრის დროს მისი ცივ-გომბორის მთიდან დაქანებული კალაპოტი ვერ იტევს ხოლმე მოზღვავებულ წყალს, გადადის ნაპირებზე და დიდ ზიანს აყენებს ქალაქს. ბევრი სახლი წაუღია ამ რიყეს, ბევრი დუქნები ძირიანად აუღია და არა თუ სახლი და დუქანი, მთელი უბანი—ასფალტიანათ წაიღო და ადამიანის მსხვერპლიც ბევრი იყო.

ეს ჩვეულებრივ დროს და ახლა ამას ზედ მიუმატეთ წრევანდელი ზამთრის დიდი თოვლი, რომლითაც სავსეა ამ რიყის სათავის მთელი ღელეები, რომელიც გაზაფხულზე და ზაფხულში წვიმის დროს წამოვა თელავისაკენ და აუწერელი იქნება ის უბედურება, რომელიც მოელის მთელ ქალაქს, თუ ეხლავე არ იქნა ზომები მიღებული—ნაპირების გამაგრებით.

კომ. სექციის კომისიამ ნახევარი დღე მოანდომა ამ რიყის ნაპირების გასინჯვას და საშინელი სურათი დაეხატა. ალაგ-ალაგ რიყის კალაპოტი აწეულია და საკმარისია პატარა ნიაღვარი, რომ მთელ ქალაქზე დაიდოს წყალმა გზა.

ამ ადგილებს მოუნდება აუცილებლივ გამაგრება, რომლის სიგრძე დაახლოვებით იქნება სულ 120—160 საჟენი.

სიმაგრების გაკეთებას უნდა კარგი მოზრდილი თანხა, რომელიც აღმასკომს არ მოეპოვება და თუ ცენტრი არ დაეხმარა რიყის სიმაგრის გაკეთებაში, თელავს, როგორც ვთქვი, აუცილებლივ დიდი საფრთხე მოელის.

ვან—ლი.

მისაბაძი მაგალითი

ულრმეს მადლობას უცხადებთ ამხანაგ ვლადიმერ ალექსანდრეს ძე გორდელაძეს და შალვა ონისიმეს ძე თურმანიძეს, რომლებმაც დახმარება აღმოუჩინეს სოფ. ილმის ქოხ-სამკითხველოს (შორაპნის თემში): პირველმა გამოუწერა სამკითხველო გაზეთი „კომუნისტი“ ერთი თვით, მეორემ კი შემოსწირა ორი წიგნი.

ვთხოვ ყველა შეგნებულ ამხანაგებს, ვისაც შესტკივა გული სოფლად კულტურული საქმისადმი, მიჰბაძონ ამ ამხანაგებს.

ნ. თ.

მიეშველეთ გლეხობას

სამხთოს თემი (გურია)

საერთოთ საქართველოში, განსაკუთრებით კი დასავლეთ გურიაში, გლეხობა ეწაფება კულტურულ მცენარეების მოშენებას, როგორიც არიან ნარინჯოვანი მცენარეები: ლიმონი, ფორთოხალი, მანდარინი და სხვა. ამ უკანასკნელის წარმოება შეადგენს ერთ უმთავრეს შემოსავლიან წყაროს აქაური გლეხობისას. გასულ წელს მანდარინის მოსავლიანობამ მოლოდინს გადააჭარბა. თუ ეს მოსავლიანობა, როგორც ამბობენ დღეს გლეხები, „გამოსათავი“ და უკანასკნელი არ არის. არაჩვეულებრივი, მოულოდნელი ზამთარისა და ყინვების გამო სამხთოს თემში თითქმის სრულიათ განადგურებულია ლიმონი და ფორთოხალის ხეები და საშიშ მდგომარეობაშია მანდარინები. ამ მცენარეების მოშენება ჩვენში ახალი საქმეა და დღეს სასოწარკვეთილებაში ვარდება გლეხობა.

არავინ არ იცის, თუ როგორ მოუქცეს ამ მცენარეებს, რომ ისინი გამოაცოცხლოს და გამოაჯანსაღოს.

აუცილებელი საჭიროა, სათანადო დაწესებულების მიერ იქნას მიღებული ზომები, რომ დასავლეთ გურიაში სასწრაფოთ და საკმარისათ დაიგზავნოს გამოცდილი და ნარინჯოვან მცენარეების კარგი მცოდნე აგრონომები, რათა გლეხობას თავის დროზე მიეცეს რჩევა-დარიგება, თუ როგორ მოექცეს ყინვებისაგან დაზიანებულ მანდარინებს და ლიმონებს, სადაც ასეთები სრულიათ არ გამხმარან და რომ გამოუცდელმა და უცოდინარმა ხელმა სრულიად არ მოუსპონ სიცოცხლე დამზრალ მანდარინებს. მათი შველა ჯერ კიდევ შესაძლებელია, თუ მეურნე საჭირო დარიგებებს დროზე მიიღებს.

სახახან-სარჩარჩალიძე.

სოფ. სირიაჩქონის სალიკვიდაციო სკოლა

(სენაკის მაზრა)

ს. სირიაჩქონში გ. წ. 1-დეკემბრიდან გახსნილია წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლა.

პირველ ხანებში მოზრდილები მორცხვობდნენ.

დიდი მუშაობა დასჭირდა ადგილობრივი სკოლის გამგეს, რომ გაეხსნა ეს სკოლა.

სკოლაში ირიცხება 37 მოსწავლე. აქედან სისტემატიურათ მეცადინეობას ესწრება 20 კაცი. ესენი ახალგაზრდები არიან—15-დან 25 წლამდე.

მეცადინეობა სწარმოებს ადგილობრივი 7 წლედის შენობაში—საღამოობით ორ-ორი საათი.

დიდი უმრავლესობა მოწაფეებისა დამაკმაყოფილებლად კითხულობს და სწერს, ანგარიშიც იციან.

მოკლე ხანში ისინი დაასრულებენ სალიკვიდაციო სკოლას.

ლიკვიდატორი.

პროვინციის ქრონიკა

— **ახალციხის აღმასკომმა** დაამტკიცა სამაზრო სატყეო კომიტეტის მიერ წარდგენილი გეგმა ტყეების ექსპლოატაციის შესახებ.

— **გზების შეკეთება.** სოფ. ტოლის (ქვ. რაჭა) გლეხებმა დაადგინეს თავიანთი საშუალებებით შეაკეთონ ყველა უვარგისობაში მოსული სასოფლო გზები.

— **სოფ. გიორგეთის** (კაბილი, ალაზანგალმა) გლეხებმა მიმართეს სიღნაღის აღმასკომს დახმარების აღმოსაჩენად, წყალდიდობისაგან ზიანის მიყენების თავიდან ასაცილებლად წინასწარ ზომების მიღების საქმეში.

— **სოფ. შუამდგომლობა.** სოფ. თედელეთის, ხაბიეთის, ჯალაბეთის და ხინაგურის მცხოვრებლებმა (ოსებითაა დასახლებული) შუამდგომლობა აღძრეს სადაც ჯერ არს შორაპნის მაზრაზე, როგორც უფრო დასახმარ ადმინისტრატიულ ერთეულზე, მიწერის შესახებ.

— **სამტრედიაში.** რკ. გზის მუშებმა დაარსეს საბინაო აღმშენებლობის დახმარე კომიტეტი.

— **შორაპნის მეფუტკრეთა** ამხანაგობამ გადასწყვიტა გააფართოვოს მეფუტკრეობის საქმე და შეიძინოს საჭირო სკები,

— **ზემო-სვანეთში** ამ ჟამად გახსნილია 22 წ.-კ. უცოდინარობის სალიკვიდაციო პუნქტი, სადაც სწავლობს წ.-კითხვის 646 გლეხი, აქედან 75 ქალია.

— **სკოლები სვანეთში.** ზემო-სვანეთის სამაზრო აღმასკომის ცნობით ზემო-სვანეთში ამ ჟამად არსებობს 20 პირველდაწყებითი სკოლა სადაც სწავლობს 995 მოსწავლე.

2 მარტიდან კინო-თეატრებში აპოლო, არფასტო და სოლეიში დაიდგმება ახალი სურათი

„ტარიელ მკლავაძის მკვლელობის საქმე“

მთავარ როლებს ასრულებენ: **ნატა ვაჩნაძე, კოტე მიქაბერიძე და მათე ქადაგიძე.** რეჟისორი ი. ნ. პერესტიანი. ოპერატორი ა. დიღმელოვი. ს. ს. ს. რ. სახკინმრეწველობის გამოშვება.

თქვენ გახდებით სურათის მონაწილე, რადგან სურათის აგებულება არაჩვეულებრივია. მაყურებლების, სეანსების დროს დარბაზში შესვლა შეუძლებელი იქნება

სეანსების ნამდვილი დასაწყისი:
1 სეანსი — 6 ს. 15 წუთი.
2 „ — 8 „ „ „
3 „ —10 „ „ „

880 1—1.

საბჭოთა კავშირის საგარეო ვაჭრობის

ბანკი

გამგეობა: მოსკოვი, პეტროვკა 3, მისამართი დეპეშისათვის: „როსკომბანკი“, მოსკოვი, განყოფილებანი და სააგენტოები: **თბილისი** ლენინგრადი, ოდესა, ვორონეჟი, კიევი, ბაქო, ხარკოვი, ნოვოროსიისკი და **სტამბოლი**

გარანტიები და კრედიტები შეღავათიან პირობებში სავაჭრო ორგანიზაციებისათვის საფრანგეთთან და ამერიკასთან

ყოველგვარი საბანკო ოპერაციები ამ ქვეყნებთან შეღავათიან პირობებში.

ნ. 884 1—1.

საბჭ. კავშირის გაერთიანებულ სახელმწიფო აბრეშუმის ფაბრიკებს სახ. მეურნ. უმაღლესი საბჭო

„აბრეშუმის ტრესტი“

„ШЕЛК ТРЕСТ“

მიღებულია დიდძალი აბრეშუმის ქსოვილები

ტანსაცმელისათვის	კოსტიუმებისათვის	მანტო-პალტოსათვის	სარჩულისათვის	ქუდებისათვის	საბნებისათვის
შიფონეი, კრეპ-დე შინი, ფაი-დეშინი, პადე-სინ, ლიონეზი, ენჟელეზი, ლიუზვენი, ლიბესტიუ, ტაფტა, შენგალინი ფულიარი	მაუდი, სატინ-დუბლი, ბარმეზი, ტუალ, ტიუსორ, პოპლინ, ფაი, არმიურ, ტაფტა ფასონ.	სატენ-გრეკი, შარმეზი, მაუდი სქესი, ტიფტა ფაი, აბრეშუმის ტილ ხავერდი ვალიური.	ფელიარი, რადიი, კანაური, სიურა, როდომე, სატენ-მერვოლიე, სატენ-დიი-შეს, ლიბერტი ორმაგი, ბენგალინი ფერადი.	შიფონი, კრეპ-დეშინ, ლიბერტი, რეპსი, ფაი, სატენ-მარველიე სხვადასხვა ფერის.	ატლასი, ტურ-მალამა, საპირეები დამზადებული **შარფებისათვის** გაზი, მუსლინი, შიფონი, კრეპ-დეშინი.

კრეპ-დეშინის კუპონები
პლიუში, ხავერდი,

ფასებით მოსკოვის პრეისკურანტების მიხედვით

ნის. 883—1—1

წითელი ქსოვილი დროშებისათვის,
თავსაფრები, ესპანური შარფები,
საპირეები საბნებისათვის,
ტერ-მალამა, კაშნეები

სოლოლაკის ქ., № 3.

გადავიდა კამოს ქუჩაზე № 17 (დიდი მთავრის ქ. ვორონცოვის ხიდის ახლოს)

მედიცინის დოქტორი

ა. ა. მონსე

შინაგან ორგანოების და ნერვულ სისტემის ავადმყოფობა ელექტრონის სხივებით წამლობა.

მიღება დილით 10—12 საათ. საღამოს 5—7 საათამდე, გარდა კვირისა

25—13

მედიცინის დოქტორი

კერძო

გინეკოლოგიური და ქირურგიული

საავადმყოფო

ტერაპევტიული განყოფილებით

სტაციონალურ ავადმყოფთა, გარ და გადამდებ და სულით ავადმყოფთა მიღება ყოველ დროს. ამბულატორიული მიღება შინაგან და გინეკოლოგიაში, ქირურგიულ და შინაგან ავადმყოფთა დილის 10—2 საათამდე და საღამოს 7—8 საათამდე.

სოლოლაკი, რტიშჩევის ქ. № 13

ცნობების მიღება: ექიმ შახნაზაროვს ტელეფონით № 7—14—4

ნის 372 —100—63

ექიმი

ნ. ა. ჯანდიერი

შინაგანი და ქალთა ავადმყოფობანი. იღებს ავადმყოფებს საღამოს 4—7 საათამდე.

სომხის ბაზარი № 3. № 202.

25—17

შეღავათიან ფასებში ვიძლევი

მათემატიკის

გაკვეთილებს: (არით. ალგ. გეომეტრ. და ტრიგონ.) და ვასწორებ ჩამორჩენილ მოწაფეებს. პლეხანოვის ქ. № 25 (შესავალი ალექსის ქ. № 5) ნახვა 9—1 ს. 3—7 ს.

ნის. 854. 5—5

ექიმი

ალექსანდრე ქორქია

მეანობა და ქალთა სნეულებანი მიღ. ავადმყ. 4—6 ს. საღ. პლეხანოვის პრ. № 65.

25—14.

ქ. თბილისის მე-5 უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი

ი. გველაშვილი აცხადებს, რომ 6 მარტს 1925 წ. დილის 11 საათზე, ანდრეევის ქუჩა № 59, საჯარო ვაჭრობით იქნება გაყიდული ქონება ლეონტი და მარიამ ბარკალაიებისა, რომელიც შესდგება სახლის ავეჯეულობისაგან დასაკმაყოფილებლად ნესტორ ლეჟავასი, ქ. თბილისის მე-11 უბ. სახალ. სასამართლოს აღმასრულებელ ფურცლებით № 1164 და № 1165. ქონება შეფასებულია გასასყიდათ 385 მანეთში. 466 1—1

ექიმი ვ. ნ. ჩუპრინინი

საბჭოთა ქ. № 87 (ყოფ. ჩერქეზიშვილის)

შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი, ვენაში შეშხაპუნება.

მიღება დილით 10—11 საათ. საღამოს—5—6 საათ.

25—13

ელექტრონით და სინათლით

სამკურნალო

საწოლებით რენტგენი დ'არსონვალი

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ

მიღება 2—3 და 6—8 სათ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20. 9205 25—18

ვერსად

თქვენ ვერ იყიდით უფრო იაფად

ამას შვრებიან მხოლოდ

„წითელი მეწვრილმანე“

(პუშკინის ქ. № 4) ელოდეთ მათ მოსვლას თქვენ სახლთან

არავინ

თქვენ არ მოგიტანს შინ ყოველგვარ საჭირო საგალანტერეო საქონელს

ნ. 878. 1—1

ბათომის კომუნალური მეურნეობა

ბალანსი

აქტივი. **1924 წლის 1-ლ იანვრისათვის.** **პასივი.**

აქტივი.

1. სალარო:		
ა) ჩერვონული მანეთები	600—00	
ბ) ქაღალდის ფულის ნიშნები 71.369.000 მ.	1—72	
გ) უცხოეთის ვალიუტები	33—55	635—27
2. %% ქაღალდები:		
ა) 6 პროც. ოქროს მომგებიანი სესხის ბილეთები	2180—00	
ბ) დაკვეთილი აქციები სააქციონერო საზოგადოება „ვზოკ“-ს	1680—00	3860—00
3. საკრედიტო დაწესებულებანი:		
ა) სახელდახელო ანგარიშები	10366—90	
ბ) შესანახად მიბარებული განძეულობა და ვალიუტები	1752—38	12119—28
4. ქალაქის ქონება:		
ა) უძრავი ქონება	5862729—00	
ბ) მოძრავი ქონება	247281—59	
გ) ქონება საწარმოეო დარგებში	747115—18	6857125—77
5. მასალები:		
ა) წყალსადენის საწყობში	33970—26	
ბ) ელვისის სადგურის საწყობში	27034—20	61004—46
6. დებიტორები:		
ა) სხვადასხვა პირები და დაწესებულებანი	76689—31	
ბ) ურთიერთ შორის ანგარიშები საწარმოეო დარგებთან	183225—36	
გ) ანგარიშ ქვეშ მყოფნი პირები (ავანსები)	35332—01	
დ) მუშა-მოსამსახურენი	4155—55	299402—23
7. ხარჯები მომავალი საბიუჯეტო წლისა:		
1924 წლ. ხარჯთ-აღრიცხვის ანგარიშში გაწეული ხარჯები		5594—88
ბალანსი		**7289741—89**

პასივი.

1. თანხები:		
ა) სათადარიგო	283600—89	
ბ) საწარმოეო დარგებისა	747115—18	
გ) გიდრო ელვისის სადგურის აგებისა	1100—00	
დ) თანხები უძრავ ქონებაში	5862729—00	
ე) თანხები მოძრავ ქონებაში	247281—59	7141826—66
2. შეუსრულებელი ხარჯები:		
ა) გაუნაღდებელი ასიგნოვკები	738—16	
ბ) გადაუხდელი ჯამაგირები	8868—14	
გ) შეუსრულებელი ხარჯები 1923 წ. ბიუჯეტით	22110—68	31716—98
3. კრედიტები:		
ა) სხვადასხვა პირები და დაწესებულებანი	5814—67	
ბ) ურთიერთ შორის ანგარიშები საწარმოეო დარგებთან	50833—73	
გ) სამრეწველო მუშაობა	1507—19	
დ) მუშა-მოსამსახურენი	159—63	
ე) გარდამავალი თანხები	2966—72	61281—94
4. მესაწინდრენი:		
შემოტანილი საწინდრები სხვადასხვა პირთა		4763—80
5. შემოსავალი მომავალი საბიუჯეტო წლისა:		
1924 წლ. შემოსავლის აღრიცხვის ანგარიშში		152—51
ბალანსი		**7289741—89**

ბათომის კომუნალური მეურნეობის გამგე **ს. უუფარაძე.**

საფინანსო-საანგარიშო განყოფილების გამგე **ლ. ძოძაშვილი.**

მთავარი ბუხჰალტერი **ი. სიორიძე.**

ნ. 849 1—1

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭოთა რესპუბლიკის

შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატი

აცხადებს, რომ საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს

„სატყეო მრეწველობის ტრესტის“

წესდება დამტკიცებულია საქართველოს უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს მიერ 1925 წ. 2 იანვარს.

ა-კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის
1—1 ნ. 882 საქმეთა მმართველი: **ეირანოვი.**

თბილისის საბაჟო

აცხადებს, რომ 5 მარტს, დილის 10 საათზე დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა,

რომლითაც გაიყიდება კონტრაბანდი საქონელი: შევიოტი, ტყავები, აბრეშუმის და ბამბის ჩულქები, საგალანტერეიო, საპარფიუმერიო და სხვა საქონელი.

ნ. 869 1—1 საბაჟოს გამგე: **ბურჯანაძე**

ამიერ კავკასიის სოც. ფედერ. საბჭოთა რესპუბლიკის

შინა-ვაჭრობის სახალხო

კომისარიატი

ამით აცხადებს, რომ საქართველოს სოც. საბ. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს „პოლიგრაფტრესტის“ წესდება დამტკიცებულია საქართველოს უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს მიერ 1924 წლის 10 ნოემბერს.

ა | კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის საქმეთა
1—1 ნის. № 882. მმართველი: **ეირანოვი.**

ს. ს. ს. რ. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი

აცხადებს

რომ ა | წ. 10 მარტს, დღის 12 საათზე კომისარიატის შენობაში (ყოფ. კადეტთა კორპუსი) ოთახი № 9 დანიშნულია შეჯიბრება სპეციალურ დანიშნულების იზოლიატორის (ყოფ. მეტეხი) შენობის კაპიტალური შესაკეთებლად სამუშაოს გაცემის შესახებ.

განცხადებები მიიღება დაბეჭდილ კონვერტის საშუალებით საღერბო გადასახადის გადახდით.

მსურველთ შეჯიბრებაზე მონაწილეობისათვის აუცილებლივ უნდა შემოიტანონ კომისარიატის სალაროში საწინდარი არა ნაკლები 5 პროცენტისა გამოცხადებულ თანხის ჯამისა.

დაწვრილებითი ცნობის მიღება შეიძლება კომისარიატში ოთახი № 9, ინჟინერ **პეგუშინთან** დღის 12—1 საათამდე.

ნ. 881 3—1

ამიერ-კავკასიის სოც. ფედერ. საბჭოთა რესპუბლიკის

შინა-ვაჭრ. სახალხო კომისარიატი

ამით აცხადებს, რომ დატვირთვა-გადმოტვირთვის და საარტელო საბაჟო სამუშაოს მწარმოებელი ამიერ-კავკასიის სააქციონერო საზოგადოების— შემოკლებულად „ზაკპოგრუზ“-ის წესდება დამტკიცებულია ამიერ-კავკასიის უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს მიერ 1925 წელს, 10 თებერვალს (ოქმი № 6 § 18).

დროებითი მისამართი: სასახლის ქუჩა № 6.

ა | კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის საქმეთა
1—1 ნის. № 882. მმართველი: **ეირანოვი.**

პარასკევს, ექვს მარტს შესდგება

ცეკავშირის რწმუნებულთა ყრილობა

დღის წესრიგში სდგას შემდეგი საკითხები:

1. ცეკავშირის გამგეობის მოხსენება მის საქმიანობაზე საანგარიშო ხნის განმავლობაში (მომხს. ამხ. ელერდაშვილი).
2. სარევიზიო კომისიის მოხსენება (მომხ. კორძაია და ობოლაძე).
3. ფინანსიური ანგარიშები (მომხ. ლოცუტოვი).
4. საბჭოს მოხსენება.
5. მომავალ მოქმედების გეგმა და ხარჯთ-აღრიცხვა (მომხ. ელერდაშვილი).
6. ცეკავშირის წესდების განხილვა და დამტკიცება (მომხ. ვ. კანდელაკი).
7. საბჭოს დებულების დამტკიცება (მომხ. ვ. კანდელაკი).
8. „ცენტროსოიუზ“-ში და ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირში წევრათ შესვლა (მომხ. ვ. კანდელაკი).
9. მიმდინარე საკითხები.
10. ცეკავშირის გამგეობის და სარევიზიო კომისიის არჩევნები.
11. „ცენტროსოიუზი“-ს რწმუნებულთა ყრილობაზე დელეგატების არჩევა.

5 მარტს შესდგება ცეკავშირის საბჭოს და მუშათა კოოპერატ. რწმუნებულების სხდომა

ნ. 867 2—1 **ცეკავშირი.**

დავკარგე პირადობის მოწმობა გაცემული ბანძის რაიაღმასკომის მიერ 1924 წლ. ოქტომბრიდან № 1.407 დომენტი სიმონის ძე ჯიქიას სახელობაზედ. ჩაითვალოს გაუქმებულად. 500 1—1

დავკარგე სამხედრო ნუსხა გაცემული ახალ-ხიბულის რაიაღმასკომის მიერ დრიმინტი ჭანტურიას სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 503 1—1

დავკარგე მე, ზაჰესის საამშენებლო უბანზე მომუშავემ ალექსანდრე სოლომონის ძე ხამხაძემ ამშენებელთა კავშირის დროებითი საწევრო ბარათი № 356. ჩაითვალოს გაუქმებულად. 502 1—1

დავკარგე ცნობის მოწმობა დ. ხაშურის მცხოვრებმა გრიგოლ სვიმონის ძე შენგელიამ. ჩაითვალოს გაუქმებულად. 499 1 1

დავკარგე პირადი წიგნაკი № 3097 მოცემული ქ. ხონის სამხედრო მაგიდისაგან კორნელი კონსტანტინეს ძე ბახტაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 506 1—1

დავკარგე თბილისის მე-5-თე ტექნიკუმის დამთავრების მოწმობა № 825 ნინო იბრამიძის სახელზე ჩაითვალოს გაუქმებულად. 417 1—1

დავკარგე ტრანსპორტის კავშირის წევრმა სერაპიონ ტაიშვილმა საწევრო წიგნაკი № 439. თვალოს გაუქმებულად. 504 1—1

ტირაჟი—19.300

„ზარია ვოსტოკა“-ს სტამბა, საშა წულუკიძის ქ. № 4